სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის

მონიტორინგი ქართულ მედიაში

MDF
მედიის განვითარების ფონდი

პროექტი „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის და ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მედიის განვითარების ფონდი MDF და ის შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) შეხედულებებს.

MDF
მედიის განვითარების ფონდი

სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის

მონიტორინგი ქართულ მედიაში

15 აპრილი-15 აგვისტო, 2013

პროექტის შესახებ

საქართველოს გაეროს ასოციაციისა და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, მედიის განვითარების ფონდი-MDF ქართულ მედიაში სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის მონიტორინგს ახორციელებს.

პროექტის მიზანია ქართულენოვან მედია საშუალებებში უმცირესობების თემატიკის კვალიფიციური გაშუქების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებულ პრობლემებზე საჯარო დისკუსიის ხელშეწყობის გზით.

მედიის განვითარების ფონდი პროცესის მონაწილე სუბიექტებს, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, მედიას და სხვა დაინტერესებულ პირებს ყოველკვირეულად მონიტორინგის შედეგებს ელექტრონული ბიულეტენის სახით აწვდიდა.

პროექტი 6 გაზეთის (ასავალ-დასავალი, რეზონანსი, 24 საათი, ქრონიკა, ალია, კვირის პალიტრა); 6 ტელევიზიის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2, კავკასია, მაესტრო და მე-9 არხი) დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და თოქ-შოუების, ასევე მედია-კავშირ „ობიექტივის“ პრაიმ-ტაიმის თოქ-შოუს დაკვირვებას ითვალისწინებდა.

მონიტორინგი ხორციელდებოდა ასევე იმაზე, თუ რამდენად ახდენენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა ინსტიტუტები რეაგირებას შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ენის გამოვლინებებზე, ასევე დისკრიმინაციის ფაქტებზე საჯარო დისკურსში.

მონიტორინგი 15 აპრილიდან 15 აგვისტოს ჩათვლით განხორციელდა.

რეგულაციები

პროფესიული სტანდარტების ერთიანი დოკუმენტი, რომელსაც ყველა სახის მედია – ბეჭდურიც და ელექტრონულიც, სახელმძღვანელო სტანდარტად მიიჩნევდა, საქართველოში დღესდღეობით არ მოქმედებს. ასევე არ არსებობს მედია დავების განხილვის ტრადიცია, რომელიც ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა.

სამაუწყებლო მედიისათვის შემუშავებულია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომლითაც, სხვა საკითხებს შორის, უმცირესობების გაშუქების თემატიკაც რეგულირდება. საზოგადოებრივ მაუწყებელში მოქმედებს შიდა ქცევის კოდექსი, ხოლო ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრებზე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის დებულებები ვრცელდება (იხ. დანართი 1).

უნდა აღინიშნოს, რომ მაუწყებელთა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსები უმცირესობათა თემატიკის გაშუქების დეტალურ რეგულაციებს მოიცავს და მათში დემოკრატიული მედიის საერთაშორისო გამოცდილებაა ასახული. ამდენად სასურველია, რომ ისინი არა მარტო ელექტრონული, არამედ სხვა მედიის ჟურანალისტებმაც პროფესიულ და სამოქალაქო პრინციპად მიიღონ.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეფუძნება მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის (MDI), მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების ცალკეულ ინდიკატორებს როგორიცაა ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის დაუშვებლობა; სიზუსტისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა.

კვლევა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კუთხით განხორციელდა. განსხვავებული მიდგომები იყო გამოყენებული სატელევიზიო ახალი ამბების, სიუჟეტებისა და სარედაქციო სტატიების მიმართ. ამ კატეგორიის შემთხვევაში ნეგატიურად შეფასდა ის ჟურნალისტური მასალები, სადაც არსებითად დარღვეულია სიზუსტის პრინციპი ან ფაქტები და კონტექსტი არასრულყოფილად არის გადმოცემული, ასევე ადგილი ჰქონდა ჟურნალისტთა მხრიდან დისკრიმინაციას, ხოლო რესპონდენტთა მხრიდან დისკრიმინაციის შემთხვევაში, დაცული არ ყოფილა პროფესიული სტანდარტი. პოზიტიურად შეფასდა ისეთი მასალები, რომლებიც ფაქტობრივი თვალსაზრისით არსებითად სრულყოფილია და დაცულია ანტიდისკრიმინაციული სტანდარტები, ასევე ისეთი მასალები, რომლებიც უმცირესობების ეთნიკურ თუ რელიგიურ დღესასწაულებს, მათ პრობლემებს ასახავს. ნეიტრალურად კი — ისეთი მასალები, სადაც მეტ-ნაკლებად სრულყოფილად არის გადმოცემული საკითხის არსი, თავად ჟურნალისტები არ არიან დისკრიმინაციის წყარო და ისინი მხოლოდ საზოგადოებრივ განწყობებს ასახავენ.

ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული ინტერვიუების, ასევე სატელევიზიო თოქ-შოუების შემთხვევაში როგორც რესპონდენტთა, ასევე ჟურნალისტთა მხრიდან ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის შემთხვევების იდენტიფიცირება მოხდა და დარღვევების ტიპოლოგია განისაზღვრა; ასევე ის, თუ როგორ რეაგირებს ჟურნალისტი ასეთ გამოხატვაზე — იზიარებს რესპონდენტის მოსაზრებას, თავად გამოხატავს მსგავსს პოზიციას თუ ოპონირებას უწევს რესპონდენტს.

კვლევაში ცალკე გამოიყო დაუსაბუთებელი პარალელები, რომელთაც ხშირად ჟურნალისტები ან რესპონდენტები უმცირესობების თემატიკასთან უსაფუძვლოდ აკავშირებენ, რაც უმცირესობათა შესახებ არასწორი ფაქტებისა და სხვადასხვა სპეკულაციების გავრცელებას უწყობს ხელს.

კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევაც, თუ ვინ არის სიძულვილის ენისა და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის წყარო — მედია თუ რესპონდნენტები. ამიტომ ანგარიშში ცალკე არის გამიჯნული მედიისა და რესპონდნეტთა ამ ტიპის გამოხატვები და მოცემულია რესპონდნეტთა კლასიფიკაცია ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

სარჩევი

1. სატელევიზიო ახალი ამბები 8
   1.1. ეთნიკური უმცირესობები 12
   1.2. რელიგიური უმცირესობები 13
   1.3. სექსუალური უმცირესობები 17
   1.4. გენდერული თემატიკა 22

2. სატელევიზიო თოქ-შოუები 23
   2.1. ეთნიკური უმცირესობები 26
   2.2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია 29
   2.3. სექსუალური უმცირესობები 31
   2.4. სექსისტური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია 36

3. ბეჭდური მედია 37
   3.1. ეთნიკური უმცირესობები 40
   3.2. რელიგიური უმცირესობები 43
   3.3. სექსუალური უმცირესობები 48
   3.4. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია 56

4. რესპონდენტები 57
   4.1. ეთნიკური უმცირესობები 60
   4.2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია 67
   4.3. სექსუალური უმცირესობები 71
   4.4. სექსისტური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია 90

5. სიძულვილის ენა 91
   5.1. ჟურნალისტები 94
   5.2. პოლიტიკოსები 95
   5.3. საზოგადოების წარმომადგენლები 96

6. დაუსაბუთებელი პარალელები 101
   6.1. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები 103
   6.2. სექსუალური უმცირესობები 104

7. სამოქალაქო სექტორი 107

8. რეკომენდაციები 111

9. დანართი 115
   დანართი 1. პროფესიული სტანდარტები 117
   დანართი 2. ტერმინოლოგიის განმარტება 125

1. სატელევიზიო ახალი ამბები

საანგარიშო პერიოდში ტელევიზიების დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებების 194 სიუჟეტი გაანალიზდა, საიდანაც 67 – პოზიტიური, 105 – ნეიტრალური, 22 – ნეგატიური იყო.

ტელევიზიების დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები



თემატიკის მიხედვით კი მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:



ყველაზე მეტი სიუჟეტი უმცირესობათა თემებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში („მოამბე“) გავიდა, ხოლო დამოუკიდებელი თემების მხრივ, გამორჩეული როგორც საზოგადოებრივი არხი, ასევე ტელეკომპანია მაესტრო იყო.

1. 1. ეთნიკური უმცირესობები

მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები

- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია სატელევიზიო ახალ ამბებსა და მიმდინარე მოვლენებში ძირითადად მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემების გაშუქებისას იჩენდა თავს. აღსანიშნავია, რომ ეს თემები მეტწილად ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან უცხოელებისა და მთავრობისადმი უკმაყოფილების ასახვის კუთხით იყო წარმოჩენილი და ნაკლებად იყო დაბალანსებული უცხოელი ინვესტორის, ან შესაბამისი ოფიციალური უწყების (ეკონომიკის სამინისტრო) პოზიციით. მსგავსი ინციდენტები სრულფასოვან ჟურნალისტურ გამოძიებას საჭიროებს, რაც მონიტორინგის პროცესში არცერთ მედია საშულებას არ ჩაუტარებია, საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით.
- გორის რაიონის სოფელ არცევის მოსახლეობის დაპირისპირება ინდოელ ინვესტორებთან შედარებით დაბალანსებულად გააშუქა ტელეკომპანია „იმედმა“ („ქრონიკა“, 26 აპრილი)[1]. მართალია, სიუჟეტი სრულყოფილ სურათს არ ქმნის, მაგრამ შეიცავს როგორც ინვესტორის პოზიციას, ასევე პრემიერ-მინისტრის პოზიტიურ გზავნილებს და აღნიშნავს, რომ ეკონიმიკის სამინისტრომ კომენტარისაგან თავი შეიკავა.
- რუსთავი 2-მა („კურიეირი“, 22 ივნისი) დაარღვია ქცევის კოდექსის 31-ე მუხლი, როდესაც მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული კონფლიქტის გაშუქებისას[2], გამოიყენა ერთ-ერთი რესპონდენტის ციტატა[3], რომელიც სიძულვილის ენას შეიცავდა. მედია საშუალებას შეეძლო, თავი შეეკავებინა მსგავსი გამოხატვის ტირაჟირებისგან, რადგან იმ სოციალური პრობლემის არსის აღწერისთვის, რომელიც სიუჟეტის ფოკუსში იყო, აღნიშნული ციტატის მოყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. თავად სიუჟეტში არასწორადაა გადმოცემული პრობლემის არსი და იგი ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავს. ჟურნალისტს ანალიგიური დაპირისპირების სხვა მაგალითები მოჰყავს და სამთაწყაროს შემთხვევაში, ხაზგასმას აკეთებს იმაზე, რომ სოფელი „აზერბაიჯანის საზღვარზე უკანასკნელი ქართული დასახლებული პუნქტია“, რითაც სიტუაციის კიდევ უფრო დრამატიზებას ახდენს.
- მიწის საკუთრებასთან წარმოქმნილ დავებზე რუსთავი 2-ის პოსტსკრიპტუმის სიუჟეტი (28 აპრილი)[4] მართალია, სხვადასხვა მხარის მოსაზრებებს მოიცავს, მაგრამ ის გაჯერებულია ადგილობრივთა ქსენოფობიური, დისკრიმინაციული გამოხატვებით უცხოელთა მიმართ[5] და დაუსაბუთებელ პარალელბსაც შეიცავს[6].
- იდენტურ დავაზე (სოფელი კარალეთი) სიუჟეტი[7] გაცილებით დაბალანსებულად ტელეკომპანია „იმედმა“ (22 ივნისი) მოამზადა, სადაც ადგილობრივთა შედარებით ნეიტრალური კომენტარებია შერჩეული და აქცენტი სოციალურ პრობლემებზე კეთდება.
- „მაესტროს“ „ახალ ამბებში“ (19 აპრილი)[8] კონფლიქტი სოფელ ქვემო არცევის მცხოვრებლებსა და უცხოელ ინვესტორს შორის ცალმხრივად, მხოლოდ ადგილობრივების პრეტენზიების საფუძველ-

[1] http://www.myvideo.ge/?video_id=2021782

[2] http://www.myvideo.ge/?video_id=2079309

[3] **ანზორ ჩუხრუკიძე, სოფელ შინდისის მკვიდრი:** „ჯერა ხმლითა და მახვილითა გვკაფავდნენ ეს მუსულმანები, ქართველებსა გვავიწროვებდნენ, გვხოცავდნენ და გვულეტავდნენ, ახლა ვინ არიან ესენი? ან უფროსი არა ყავთ, ან უმცროსი არა ყავთ, ან მთავრობა არ არი? რომელი მთავრობის იმედი უნდა გქონდეს, რო ეს მუსულმანები მოგვაშორონ აქედან“.

[4] http://www.myvideo.ge/?video_id=2022953

[5] **გიორგი მძინარაშვილი, სოფელ დიცის მკვიდრი:** „მოსული იყვნენ თათრები, ეგ ურჯულო ხალხი. მაგათ დაიპატრონეს ჩვენი მიწა-ადგილი“. **სოფელ დიცის მკვიდრი (უტიტროდ):** „ამ მიწის გულისთვის ჩაიხოცნენ ქართველები ცხინვალში. ინდოიელები შემოდიან. ინდოელებს აქ რა უნდათ, კაცო“.

[6] **შოთა ვაზარაშვილი, სოფელ დიცის მკვიდრი:** „ეს ინდოელები აიღებენ რუსულ პასპორტებს, ძალიან კარგად არიან ერთმანეთში. მერე ეს რუსები თავიანთ მოქალაქეობას მისცემენ, შემოვლენ ტანკები, დადგებიან აქ და არავინ ჩანს, რომ იმათ წინააღმდეგობა გაუწიოს“.

[7] http://www.myvideo.ge/?video_id=2077056

[8] http://www.myvideo.ge/?video_id=2025355

ზეა გადმოცემული. სიუჟეტში მოცემულია 4 რესპონდენტის კომენტარი, რომელთაგან 2 ადგილობრივი მკვიდრია, 1 ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, 1 მექანიზატორი, რომელიც დამკვეთის სამუშაოს ასრულებს და საერთოდ არ ფიგურირებს სამუშაოს დამკვეთის – ინდოელი ინვესტორის პოზიცია. ჟურნალისტი არც იმას უთითებს, ჰქონდა თუ არა კონფლიქტის მეორე მხარესთან დაკავშირების მცდელობა და რა მიზეზით არ არის წარმოდგენილი მათი პოზიცია. ამასთანავე ჟურნალისტს არც ფაქტობრივი მონაცემები აქვს გადამოწმებული ოფიციალურ უწყებებაში (საჯარო რეესტრი), კერძოდ, რა ფართი იყო სარეზერვოდ გამოყოფილი ადგილობრივებისთვის საძოვრებად, რა ნაწილის გასხვისება მოხდა და რამდენად საკმარისია ადგილობრივებისთვის დარჩენილი ფართი. გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელიც კი, გიორგი ხიდაშელი სიუჟეტში ვარაუდებით საუბრობს: „იჯარით არის გაცემული, გული მიგრძნობს, გაყიდული“. პრობლემა მხოლოდ რესპონდენტების ემოციური შეფასებებით არის გაშუქებული, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ადგილობრივთა განწყობებს.

- პარლამენტის მიერ უცხოელების მიერ მიწის შეძენაზე გამოცხადებული მორატორიუმის თემა ყველაზე კვალიფიციურად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა (22 ივლისი)[9] და „მაესტრომ“ (19 ივლისი)[10] გააშუქეს.

ჩინელების თემა

- 28 აპრილის პოსტსკრიპტუმის სიუჟეტი (რუსთავი 2) პოზიტიურია იმ თვალსაზრისით, რომ ის იმ მოარულ ჭორებს პასუხობს, რომლის თანახმად, თბილისში ვაზისუბანში 126 000 ჩინელის ჩამოსახლება იგეგმება. სიუჟეტი განმარტავს პროექტის კომერციულ მხარეს, რაც ახალი უბნისა და 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის ოლიმპიური სოფლის მშენებლობას ითვალისწინებს, ასევე ასახავს იმ ფობიებსა და ზოგ შემთხვევაში სიძულვილს[11], რაც ადგილობრივებს ჩინელების მიმართ აქვთ.

ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება

- პოზიტიურია ტელეკომპანია „მაესტროს“ დაინტერესება ეთნიკური უმცირესობების სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლებისა და სახელმძღვანელოების თარგმნის თემით (7 ივლისი). როგორც წესი, მედია ძირითადად უმცირსობებთან მიმართებით, მიმდინარე თემებით ინტერესდება, რაც მეტწილად ნეგატიური კონტექსტის მატარებელია ან ოფიციალურ ღონისძიებებს აშუქებს. აღნიშნული სიუჟეტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ რედაქცია არსებული პრობლემით თავად დაინტერესდა და ამ თემაზე დამოუკიდებელი სიუჟეტი მოამზადა.

1.2.რელიგიური უმცირესობები

- ცალკეული გამონაკლისების გარდა, რელიგიური თემატიკა ძირითადად ნეგატიური მოვლენების გაშუქების მხრივ იყო აქტუალური.

---

[9] http://www.myvideo.ge/?video_id=2099443

[10] http://www.myvideo.ge/?video_id=2097801

[11] **ადგილობრივი მკვიდრი:** „არავის არ უნდა საერთოდ ეს ჩინელები. ერთმა ხმა რომ ამოიღოს ვინმემ, ჯოხით იქნება თუ რა იქნება, ყველა აყვება მაგას“.
ადგილობრივი მკვიდრი: „ეგენი უნდა გავრეკოთ ყველა. სად ქართველი რომ იმუშავებს და ქართველი წესიერად გააკეთებს თავის საშმობლოსთვის, სად ვიღაც ჩინელი რომ გააკეთებს“.

ციხისძირის ინციდენტი

- 14 აპრილს, სოფელ ციხისძირში სამხედრო პოლიციის თანამშრომლების მიერ მოქალაქეებისათვის რელიგიურ ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი ყველა მედია საშუალებამ მხოლოდ გამოძიების ოფიციალურ ვერსიაზე დაყრდნობით (სხეულის განზრახ დაზიანება) გააშუქა.
- ამ მხრივ გამონაკლისი იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი („მოამბე", 15 და 19 აპრილი), სადაც აქცენტი ქმედებისათვის რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის მიცემის აუცილებლობაზე გაკეთდა[12].
- მართალია, რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულის კუთხით სიუჟეტი ტელეკომპანია „იმედს" არ განუვრცია, მაგრამ 18 აპრილის „ქრონიკა"ერთადერთი საინფორმაციო საშუალება იყო, სადაც ინციდენტი რელიგიურ ნიადაგზე შეუწყნარებლობის პრობლემის სახით იყო განზოგადებული და მასში თავად რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლების შეფასებები ფართოდ იყო გადმოცემული[13].
- აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარელებულ პირთა აღმსარებლობის მითითება ამ ინციდენტთან მიმართებაში ყველა მედია საშუალებამ სტანდარტის დაცვით მოახდინა, რადგან დანაშაულის მოტივაცია სწორედ მათი რელიგიური კუთვნილება იყო და ამ ფაქტორს გაშუქების თემასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა.

სამთაწყაროს ინციდენტი

- სატელევიზიო მედია ვრცლად აშუქებდა დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში ადგილობრივი მუსლიმებისათვის ლოცვის უფლების ხელყოფის ცალკეულ ინციდენტებს. ცალკეული გამონაკლისების გარდა, ყველაზე კვალიფიციურად და თანმიმდევრულად აღნიშნული ინციდენტები საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქა, ხოლო „რუსთავი 2"-მა და მაესტრომ კი ყველაზე სრულყოფილად ასახეს გარკვეული ინციდენტები.
- ფაქტობრივი უზუსტობები გამოიკვეთა ტელეკომპანიების „იმედისა" (31 მაისი, 29 ივნისი)[14] და რუსთავი 2-ის (29 ივნისი)[15] სიუჟეტებში, სადაც კონფლიქტის მიზეზად არა მოქმედ სამლოცველოში ლოცვის უფლების ხელყოფაა დასახელებული, არამედ მეჩეთის აშენება, რაც არასწორი ინფორმაციაა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლების (სანდოობა და სიზუსტე) დარღვევაა.
- ტელეკომპანია მე-9 არხის სიუჟეტებში კი ადგილი ჰქონდა სარედაქციო ინტერპრეტაციას და ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემის ნაცვლად, აქცენტი გარე ძალების მიერ კონფლიქტის პროვოცირებაზე გაკეთდა, თუმცა სიუჟეტში არ ყოფილა დაკონკრეტებული, ვინ არიან ეს ძალები და რაში გამოიხატება მათი პროვოკაციული ქმედება. ამასთანავე ექსპერტების საერთო მოსაზრებად არასწორად არის განზოგადებული ერთ-ერთი ექსპერტის თვალსაზრისი, რომელიც სრულად თავად რესპონდენტის სიტყვებს არ შეესაბამება (30 მაისი)[16].
- კონფლიქტის ხელოვნურ პროვოცირებაზე აქცენტი მე-9 არხის 7 ივნისის[17] სიუჟეტშიც გაკეთდა, ხოლო ლოცვის ჩაშლის მიზეზად სხვა არხებისგან განსხვავებით, არა პოლიციის მიერ ლოცვის

[12] http://www.myvideo.ge/?video_id=2013161
http://www.myvideo.ge/?video_id=2016950
[13] http://www.myvideo.ge/?video_id=2016917
[14] http://www.myvideo.ge/?video_id=2054852
http://www.myvideo.ge/?video_id=2054847
http://www.myvideo.ge/?video_id=2084000
[15] http://www.myvideo.ge/?video_id=2081995
[16] http://www.myvideo.ge/?video_id=2055869
[17] http://www.myvideo.ge/?video_id=2061561

დროს ხოჯას წაყვანა დასახელდა, არამედ მრევლის სიმცირე და უცნობის მიერ მუსლიმთა სულიერ წინამძღვარზე გაკეთებული ზეწოლა. სხვა არხების სიუჟეტებთან შედარება ასევე გარკვეული კადრების მანიპულირების საფუძველს იძლევა. სიუჟეტში დაღვეულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლები (სანდოობა და სიზუსტე), მე-18 (2) მუხლი (მიუკერძოებლობა), ასევე მე-13 (9) მუხლი. მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „ინტერვიუების, ჩაწერილი მასალის, მათ შორის საარქივო მასალის რედაქტირებისას, მაუწყებელმა არ უნდა დაამახინჯოს რესპონდენტის ციტატა, ან არ უნდა მოახდინოს სხვა სახით აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა ვიზუალური ან აუდიო მანიპულაციებით, დასმული კითხვების მნიშვნელობის შეცვლით ან კონტექსტიდან ამოვარდნილი კადრების გამოყენებით“.

- პოლიციის მიერ ლოცვის დროს მუსლიმთა სულიერი წინამღვრის წაყვანის ფაქტი ყველაზე სრულყოფილად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და რუსთავი 2-მა (7 ივნისი)[18] გააშუქეს.
- მონიტორინგის ქვეშ მყოფი მედია საშუალებებიდან ერთადერთი ტელეკომპანია, რომელმაც გადმოსცა, თუ როგორ არ შეუშვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, სამთაწყაროს რწმუნებულმა გულო ნადირაშვილმა სოფელში მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები ტელეკომპანია რუსთავი 2 იყო. კურიერის 31 მაისის[19] კადრებში ჩანს, როგორ მიმართავს სოფლის რწმუნებული მიკროავტობუსში მყოფ სამუფტოს წარმომადგენელს, რომ „სოფელი არ არის თანახმა და მიბრძანდით“, ხოლო თავად ადრესატი [მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელი] ყვება, რომ მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას და მუქარას ჰქონდა ადგილი. რუსთავი 2-ისგან განსხვავებით, აღნიშნული ინციდენტის გადმოცემისას, საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტში (27 მაისი) ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დისკრიმინაციული პოზიცია[20] წარმოდგენილია როგორც ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის სიტუაციის მოგვარების მცდელობა.
- ინციდენტი, როცა ხოჯას სახლში 200-მდე ადგილობრივი თანასოფლელი შეიჭრა, ყველაზე კვალიფიციურად ტელეკომპანია მაესტრომ (29 ივნისი)[21] კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებულ მასალაზე დაყრდნობით გააშუქა და იგი სამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხითაც განავრცო.
- „იმედის“ 5 ივლისის სიუჟეტში[22] სინქრონის გარეშე, ჟურნალისტის პერიფრაზით არის გადმოცემული დედოფლისწყაროს გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის შეფასება, რომ სოფელში რელიგიური თემით სპეკულაცია გახშირდა, ხოლო სპეკულაციის შესახებ ამ შეფასების შემდეგ მოცემულია სოფლის ყოფილი რწმუნებულის მეუღლის ციური ტაკიძის ბრალდება ირაკლი შიოლაშვილის მიმართ, რომ მისი მეუღლის სამსახურიდან დათხოვნა სწორედ რელიგიური მოტივით მოხდა, რაც გარკვეულწილად ქმნის აღქმას, რომ ეს ბრალდებაც სპეკულაციურია.
- მოამბის 5 ივლისის[23] სიუჟეტში ერთ-ერთი რესპონდენტის სინქრონთან შეუსაბამოა თავად ჟურნალისტის განზოგადება, რომელსაც იგი მთელი სოფლის მოსახლეობის პოზიციად ასახელებს. კერძოდ, იმის საილუსტრაციოდ, რომ სოფლის მოსახლეობა პოზიციას არ იცვლის, მოყვანილია ერთ-ერთი სამთაწყაროელის სინქრონი[24], რომელიც რეალურად კომპრომისზე საუბრობს და ამდენად არარელევანტურია თავად ჟურნალისტის შეფასებასთან.

---

[18] http://www.myvideo.ge/?video_id=2061464
http://www.myvideo.ge/?video_id=2061703

[19] http://www.myvideo.ge/?video_id=2055852

[20] **გულო ნადირაშვილი, სოფლის რწმუნებული:** „შევთავაზეთ, თუ მოსახლეობა თანახმა იქნება სამლოცველოსი, ვერავინ დაუშლით... მაგათი მუფტი ჯემალი ადაძე სოფლის მოსახლეობის დაუკითხავად შევიდა იმ შენობაში და ლოცვის რიტუალის ჩატარება დაიწყო“.
ავთო შაინიძე, საკრებულოს წევრი: „ხალხი ძალიან აგრესიულია ერთი რამის გულისთვის: ოფიციალურად მეჩეთი არ უნდა დაიდგას, არის ერთი აზრი, ოფიციალურად არ უნდა იყოს“. http://www.myvideo.ge/?video_id=2051056

[21] http://www.myvideo.ge/?video_id=2084020

[22] http://www.myvideo.ge/?video_id=2087819

[23] http://www.myvideo.ge/?video_id=2088101

[24] **სამთაწყაროს მკვიდრი, უტიტროდ:** „წინ ვერ აღუდგები, მაგრამ ყოველივე მხარეს, რომელიც ჯობია, ყოველთვის მოლაპარაკება და ყოველთვის დაიხიოს ყოველივე ძალამ უკან, გენაცვალე, და რაც სოფელს ესაჭიროვება, ისე გავაკეთოთ ყოველივე“.

- მართალია, რუსთავი 2-ის "P.S."-ის 7 ივლისის სიუჟეტი[25] მთლიანობაში პოზიტიურია, რადგან ის კონფლიქტის არსს განმარტავს, თუმცა მასში მოყვანილი ერთ-ერთი ადგილობრივის ქსენოფობიური სიტყვები[26] ნეგატიური კონოტაციის მატარებელია და ამ ტიპის მასალაში ჟურნალისტს შეეძლო, თავი აერიდებინა მისი ციტირებისთვის.
- გაშუქების მხრივ სატელევიზიო ახალ ამბებში მეტი ყურადღება დაეთმო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სამთაწყაროელებთან შეხვედრას, ვიდრე იმავე პერიოდში ხოჯას მიერ სოფლის დატოვებას[27].
- მნიშვნელოვანია, რომ სამთაწყაროში მუსლიმთა ლოცვის თემით „მაესტრო" არა მხოლოდ ინცდენტების დროს ინტერესდებოდა, არამედ კახეთის საინფორმაციო ცენტრზე დაყრდნობით, მცირედი სინქრონი (10 აგვისტო)[28] მოამზადა იმის შესახებ, რომ 9 აგვისტოს შემდეგ სოფელში ლოცვები აღარ ჩატარდებოდა. მოყვანილია მუსლიმთა სამმართველოს მუფთის მოადგილის ადამ შანთაძის სიტყვები, რომ ზეწოლისა და მუქარის ფაქტების გამო, სამთაწყაროელი მუსლიმები სამლოცველო სახლში სალოცავად აღარ გადიან.

დაპირისპირება სოფელ ჭელაში

- საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი ტელეკომპანი იყო, რომელიც ადიგენის სოფელ ჭელაში მინარეთთან დაკავშირებული კონფრონტაციით გაცილებით ადრე დაინტერესდა (მოამბე, 26 ივლისი)[29], ვიდრე სხვა ტელეკომპანიები, სადაც ამ თემის აქტუალიზაცია მხოლოდ მოგვიანებით, სახელმწიფო სტრუქტურის მიერ მინარეთის დემონტაჟის კვალობაზე მოხდა.

სადავო საკულტო ნაგებობები

- პოზიტიურია საზოგადოებრივი მაუწყებლის (მოამბე, 3 ივნისი)[30] დაინტერესება ნორაშენის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოებით და სომხურ და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის სადავო საკულტო ნაგებობების თემის განვრცობით, რაც სიუჟეტში დაბალანსებულად არის წარმოდგენილი.

რელიგიურ მოტივზე დაუსაბუთებელი აპელირება

- ტელეკომპანია „იმედის" 1 აგვისტოს 8 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში[31] ბათუმში მარიამ კოჩალიძის მკვლელობის ვერსიად რელიგიური მოტივაციაა შემოთავაზებული. რედაქცია ყოველგვარი გადამოწმების გარეშე ავრცელებს გარდაცვლილის დედის ემოციურ ფონზე გაკეთებულ განცხადებას, თითქოს მკვლელობაში ბრალდებულმა ირანის მოქალაქემ მარიამის მსხვერპლთშეწირვა მოახდინა. გამოშვების ანონსში კი საინფორმაციოს წამყვანმა, ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე განაცხადა, შემდეგი: „მსხვერპლთშეწირვის რიტუალი და კონფლიქტი რელიგიურ

---

[25] http://www.myvideo.ge/?video_id=2089113

[26] **სამთაწყაროს მკვიდრი (უტიტროდ):** „ჩემს შვილიშვილს არ ეტყვიან – შენი დედა, შენი თათარიო [როცა გაიგებენ, რომ სამთაწყაროდან არის]? ამას ვერიდებით ყველა და არ გვინდა".

[27] http://www.myvideo.ge/?video_id=2091981
http://www.myvideo.ge/?video_id=2091185
http://www.myvideo.ge/?video_id=2091983
http://www.myvideo.ge/?video_id=2091141

[28] http://www.myvideo.ge/?video_id=2111043

[29] http://www.myvideo.ge/?video_id=2101376

[30] http://www.myvideo.ge/?video_id=2056619

[31] http://imedi.ge/index.php?pg=prs&id_pr=619&id=20; http://www.myvideo.ge/?video_id=2106416

ნიადაგზე. საქმის ახალი დეტალები ბათუმიდან“, რითაც რედაქციამ გამოძიების პროცესში მყოფი ინციდენტი თავად შეაფასა რელიგიურ კონფლიქტად, ხოლო მსხვერპლთშეწირვა დადასტურებულ ფაქტად წარმოაჩინა. ტელეკომპანია იმედმა დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 (1, 2), მე-14 მუხლების დებულებები, რაც მაუწყებელს ავალდებულებს, უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება; ასევე დაირღვა მე-18 (2) მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, „პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს.“ რედაქციას არ მიუღია გონივრული ზომები, ფაქტების სიზუსტის გადასამოწმებლად. რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაული საქართველოს კანონმდებლობით დამამძიმებელი გარემოებაა, თუმცა, ჟურნალისტს გარდაცვლილის მშობლის მიერ მიწოდებული ვერსია ოფიციალურ გამოძიებასთან არ გადაუმოწმებია, მან კომენტარისათვის გარდაცვლილის ნათლიას მიმართა. ქცევის კოდექსი ავალდებულებს მაუწყებელს, ინფორმაცია ორ ურთიერთდამოუკიდებელ წყაროსთან გადაამოწმოს: „როგორც წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს ინფორმაცია.“ ამასთანავე იმედის საინფორმაციო სამსახურმა დაარღვია კოდექის 31-ე მუხლი, რომლის თანახმად, „მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას“ რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე, და ასევე, 33-ე მუხლი. 33-ე (1) მუხლის მიხედვით, „მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას“. იმედის შემთხვევაში კი სიუჟეტის ანონსში ინციდენტი რელიგიურ კონფლიქტად იყო სრულიად დაუსაბუთებლად შეფასებული.

აბორტის აკრძალვის შესახებ პატრიარქის ინიციატივა

- აბორტის აკრძალვის შესახებ საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ინიციატივის შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში მოსაზრებათა პლურალიზმი სრულად არ ასახულა, არ ყოფილა გადმოცემული საქართველოში მოქმედ სხვადასხვა კონფესიათა დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი.

რელიგიური დღესასწაულები

- პოზიტიური გაშუქების მაგალითებია მუსლიმთა რელიგიური დღესასწაულის რამაზანის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლისა (მოამბე, 10 ივლისი)[32] და მაესტროს (21 ივლისი)[33] მიერ მომზადებული სიუჟეტები.

1.3. სექსუალური უმცირესობები

17 მაისის მოვლენები

- ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი 17 მაისის აქციის დაშლასთან დაკავშირებული მოვლენები ბეჭდვით მედიაზე გაცილებით დაბალანსებულად სატელევიზიო მედიამ გააშუქა. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიების საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში

[32] http://www.myvideo.ge/?video_id=2091146
[33] http://www.myvideo.ge/?video_id=2098247

ვრცლად იყო წარმოდგენილი 17 მაისის შემდგომ განვითარებული მოვლენები – მოქალაქეთა საპროტესტო მიმართვა, საქმის სამართლებრივი მსვლელობა, აქცია – „არა თეოკრატიას“ და კონტრაქცია, ასევე 17 მაისის აქციის დაშლის შემდეგ გახშირებული ძალადობრივი ქმედებების ცალკეული ინციდენტები – სიღრმისეული ანალიზი სატელევიზიო მედიას მაყურებლისათვის არ შეუთავაზებია.

- ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც 17 მაისის მოვლენების გაშუქების დროს გამოიკვეთა, ტერმინოლოგიური უზუსტობა იყო. დღის გამოშვებებში[34], ტელეკომპანიების უმრავლესობამ, მათ შორის, რუსთავი 2-მა, იმედმა, მე-9 არხმა ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის ორგანიზატორები ლგბტ-ის წარმომადგენლებად და სექსუალურ უმცირესობებად მოიხსენიეს. მოგვიანებით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წამყვანმა ამ უზუსტობისთვის ბოდიში მოიხადა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დღის გამოშვებებში ჟურნალისტები აქციის მონაწილეებს, ჩართვის დროს, კვლავ ლგბტ-ის წარმომადგენლებად მოიხსენიებდნენ. ანალოგიური ვითარება იყო ტელეკომპანია იმედის ეთერშიც. მე-9 არხის 9 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში კი წამყვანები აქციის ორგანიზატორებს კვლავ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებად აცხადებდნენ, ხოლო ერთ-ერთ სიუჟეტში გავიდა ჟურნალისტის სინქრონი, სადაც მათ გეებს უწოდებენ[35]. ტელეკომპანია „იმედის“ 18 მაისის 8 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში ლგბტ უფლებადამცველები კვლავ ლგბტ-ს წარმომადგენლებად არიან მოხსენიებული. ამ მხრივ გამონაკლისი იყო ტელეკომპანია „კავკასია“, მაესტროსა და რუსთავი 2-ის საღამოს გამოშვებები.

ადამიანის სექსუალური ორიენტაცია, ისევე როგორც მისი რელიგიური მრწამსი, ეთნიკური თუ პოლიტიკური კუთვნილება ან სხვა მახასიათებელი თვითიდენტიფიცირების სფეროა. თუკი პიროვნება არ ახდენს მისი სექსუალური ორიენტაციის იდენტიფიცირებას, ჟურნალისტთა მხრიდან აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა სექსუალურ უმცირესობებად მოხსენიება არასწორია და პროფესიული სტანდარტის დარღვევაა.

- ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უზუსტობა ტელეკომპანია იმედის წამყვანმაც დაუშვა, როდესაც აქცია სანქცირებულად მოიხსენია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა შეკრებებისა და მანიფესტაციების სანქცირებას არ ცნობს. აღნიშნულ შემთხვევაში ქცევის კოდექსის იმ ნორმის დარღვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც სიზუსტის დაცვას და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანისგან დაცვას ითვალისწინებს.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის 17 მაისის 8 საათიან მოამბეში[36] დარღვეული იყო ბალანსი რესპონდენტთა შერჩევის თვალსაზრისით, კონტრაქციის მონაწილეთა სასარგებლოდ. მართალია, ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეთა ჩაწერა, მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ობიექტურად წარმოადგენდა სირთულეს, თუმცა საღამოს გამოშვებაში ტელეკომპანიას შეეძლო თანაზომადად წარმოედგინა უფლებადამცველები, ვინც ძალადობასა და ძალადობის მსხვერპლთა კონსტიტუციურ უფლებებზე ისაუბრებდა.
- მე-9 არხმა და იმედმა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ის ნორმაც (მუხლი 12-13) დაარღვიეს, რომელიც ფაქტების სიზუსტის დაცვას ითვალისწინებს. კერძოდ, ტელეკომპანია მე-9 არხმა 17 მაისის დღის 13 საათიან გამოშვებაში გაავრცელა ინფორმაცია პოლიციის მიერ ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ, რისი 14 საათიან გამოშვებაში უარყოფა მოხდა, თუმცა დაშვებული უზუსტობის გამო რედაქციას ბოდიში არ მოუხდია. ფაქტობრივი უზუსტობების თვალსაზრისით გამორჩეული იყო ტელეკომპანია „იმედის“ (8სთ) 17 მაისის სიუჟეტი[37], რომელიც შეეხებოდა 2012 წლის 17 მაისის

[34] ვინაიდან მედია საშუალებები პირდაპირ ეთერში აშუქებდნენ რუსთაველზე, აქციის დროს განვითარებულ მოვლენებს, 17 მაისს გამონაკლისის სახით დაკვირვება დღის საინფორმაციო გამოშვებებზეც ხორციელდებოდა.

[35] http://tv9.ge/?l=G&m=3&sm=17&id=2175

[36] http://1tv.ge/video/18156

[37] http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=imedi&seekTime=17-05-2013%2020:30

აქციას და 2010 წლის ბათუმის გეი აღლუმს, რომლის ჩატარების ნამდვილობა არცერთი წყაროთი არ დადასტურებულა, თუმცა სიუჟეტში ბათუმის აქცია, როგორც რეალური ფაქტი იყო გადმოცემული. სიუჟეტი გაუმართლებელ განზოგადებას შეიცავდა, თითქოს სასულიერო პირები, მართლმადიდებელი მრევლი და არასამთავრობოები ყოველწლიურად ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს ერთიანდებიან და ძალადობა ლგბტ უფლებადამცველთა მიმართ კანონზომიერებაა.

- გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ჰომოსექსუალობას ავადმყოფობად მოიხსენიებენ რესპონდენტები. მხოლოდ მაესტროს 17 მაისის 9 საათიან გამოშვებაშია აღნიშნული, რომ ჰომოსოქსუალობა დაავადებათა ნუსხიდან ამოღებულია.
- ზოგიერთ გამოშვებაში შესაძლებელი იყო იმ ადამიანთა იდენტიფიცირება, ვინც კონტრაქციის მონაწილეთა ძალადობის სამიზნე იყო. მაგალითად, კურიერის (რუსთავი 2) 17 მაისის დღის ეთერში გავიდა კადრები ავტობუსიდან, რომელიც პოლიციამ ძალადობის ადგილიდან გაიყვანა და სადაც ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეები ისხდნენ. მითითებული იყო ავტომობილის მარშრუტი, რაც იმ პირობებში, როცა კონტრაქციის მონაწილეები მთელ ქალაქში დასდევდნენ აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, გაუმართლებელი იყო.
- ქრონიკის სიუჟეტში (10 მაისი)[38], რომელიც 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის სამზადისს შეეხება, მართალია, ყველა მხარის პოზიციაა წარმოდგენილი, თუმცა ჟურნალისტის ფრაზა „საზოგადოების დიდი ნაწილი ამ საკითხზე თანხმდება და თითქმის ყველა მათგანი ამბობს, რომ პარლამენტის შენობის წინ 17 მაისის აღნიშვნა დაუშვებელია“, მოვლენისადმი საზოგადოებაში უარყოფით დამოკიდებულებას აღვივებს. ჟურნალისტის მიერ ქუჩაში ჩატარებული გამოკითხვა არც მეთოდოლოგიური და არც პროფესიული სტანდარტით არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მან განზოგადება საზოგადოების დიდი ნაწილის სახელით მოახდინოს.
- 17 მაისის შემდეგ განვითარებული მოვლენების გაშუქებისას, მედიამ ნაკლებად მოახდინა აქცენტირება ინციდენტში ეჭვმიტანილთა მიმართ გამოძიების მიერ წაყენებული ბრალის ადეკვატურობაზე და იმაზე, თუ რა სასჯელს ითვალისწინებს კანონმდებლობა მსგავსი ქმედებებისთვის. მხოლოდ რუსთავი 2-მა აღნიშნა, რომ წაყენებული მუხლი ნაკლებად მძიმე კატეგორიას განეკუთვნება. ხოლო ტელეკომპანია მე-9 არხის 9 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში (23 მაისი)[39] გადაცემის წამყვანმა საკითხი ისე წარმოაჩინა, თითქოს სახელმწიფოს თეოკრატიასა და სეკულარულ მიდგომებს შორის ჰქონდეს არჩევანი გასაკეთებელი: „ვინ უნდა მიიღოს სასჯელზე გადაწყვეტილება — სასამართლომ თუ ეკლესიამ?“
- ტელეკომპანია „იმედმა“ სამი სიუჟეტი მიუძღვნა ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილის, არქიმანდრიტ ანთიმოზ ბიჩინაშვილის განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს გავრცელებული კადრები იმის თაობაზე, რომ ის იგინება („დაგხოცავთ, თქვენი დე...“) დამონტაჟებულია. რესპონდენტის მხრიდან აქცენტი გინების უარყოფის ფაქტზე და არა ძალადობისკენ მოწოდებაზე („დაგხოცავთ“) კეთდება. თავის მხრივ, მედია საშუალებას არ მიუღია არავითარი ზომა, რათა მაყურებლისთვის მიეწოდებინა სრულფასოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება დამონტაჟებული ყოფილიყო აღნიშნული კადრები, რომელი მედია საშუალების მიერ იყო გავრცელებული და რა ადასტურებდა ხმის ფალსიფიცირების ფაქტს. უფრო მეტიც, აღნიშნული კადრები არ უჩვენებია მე-9 არხს და ნაწილობრივ აჩვენა (მხოლოდ გინება და არა ძალადობისკენ მოწოდება) „იმედმა“, რაც მაყურებელს შესაძლებლობას მისცემდა, თავად შეეფასებინა ბრალდების ადეკვატურობა. ტელეკომპანია „იმედში“ (20 მაისი)[40] გავიდა არქიმანდრიტის სინქრონი, სადაც ის აცხადებს, რომ გინების ხმა მაშინ არის დადებული, როდესაც ის ზურგით დგას. რუსთავი 2-მა (23 მაისი)[41] გააშუქა არა ზურგით, არამედ წინა ხედით და პროფილში გადაღებული კადრები, სადაც თვალნათლივ

[38] http://www.myvideo.ge/?video_id=2034738
[39] http://www.myvideo.ge/?video_id=2049220
[40] http://www.myvideo.ge/?video_id=2044942
[41] http://www.myvideo.ge/?video_id=2049188

ჩანს, რომ არქიმანდრიტის მხრიდან გინებასა და ძალადობისკენ მოწოდებას აქვს ადგილი. აღსანიშნავია, რომ რუსთავი 2-ის გარდა, სხვა საინფორმაციო საშუალებებს ამ ინციდენტის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია არ მოუმზადებიათ, რითაც მაუწყებლობის ქცევის კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლები (სიზუსტე) დაირღვა, რაც მაუწყებელს ინფორმაციის მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით გადაცემას ავალდებულებს;

- ტელეკომპანია „იმედმა“ და „მაესტრომ“ ორ თანაზომად პეტიციად წარმოადგინეს საზოგადოების მიმართვა ხელისუფლების სახელზე, რომლითაც ხელმომწერები (22 აპრილისთვის 12 000 ადამიანი) 17 მაისის აქციის დამრბევთა სათანადო დასჯას მოითხოვდნენ და ალტერნატიული მიმართვა, რომელიც ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ „იმედი“ (ქრონიკა, 20 მაისი) აღნიშნავს, რომ მეორე წერილზე ხელმომწერების ვინაობა უცნობია. ამასთანავე „ქრონიკის“ წამყვანი პირდაპირ ციტირებს ტექსტს მეორე პეტიციიდან, რომლის ხელმომწერთა ვინაობა უცნობია („დღეს გამოქვეყნებული კიდევ ერთი პეტიცია კი საქართველოს კანონმდებლობით, გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრების წესის პროპაგანდის აკრძალვას ითხოვს“)[42];
- ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით 17 მაისს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის გაშუქებისას, მედია საშუალებებმა თავდაპირველად ნაკლებად გაამახვილეს ყურადღება დოკუმენტის შინაარსობრივ ნაწილზე და მხოლოდ სამოქალაქო სექტორის მხრიდან გამოთქმული პროტესტის კონტექსტში მოხდა ფოკუსირება კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ ფორმულირებებზე. პოზიტიური იყო ის, რომ მაესტროს 9 საათიან (21 ივნისი)[43] საინფორმაციო გამოშვებაში ხსენებულ დასკვნასთან დაკავშირებით რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლის პოზიციაც იყო ასახული;
- კომიტეტის სხდომაზე მმართველი პარტიის წარმომადგენლის (თამაზ მეჭიაური, ქართული ოცნება) გაკეთებული ჰომოფობიური განცხადებები[44] დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (17 ივნისი)[45] მხოლოდ რუსთავი 2-მა ასახა;
- 17 მაისის აქციის დაშლაში მონაწილე სასულიერო პირების მიმართ სასამართლო პროცესი მედიამ ძირითადად დაცვის მხარის და სასულიერო პირთა მხარდამჭერების პოზიციების წარმოჩენით, ცალმხრივად გააშუქა და ბრალდების მხარის კომენტარები წარმოდგენილი არ ყოფილა. გარკვეულწილად ეს პოზიცია დაბალანსებული იყო 17 მაისის მოვლენების წინაისტორიის გადმოცემით ზოგიერთ მედია საშუალებაში (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე; რუსთავი 2, კურიერი, 15 ივლისი)[46]. თუმცა, შემდგომი პროცესების გაშუქებისას (23 ივლისი, 1 აგვისტო) მომხდარის წინაისტორია არც აღნიშნულ ტელეკომპანიებს გადმოუციათ. ამასთანავე არცერთ მედია საშუალებას არ გაუვრცელებია იმ ეპიზოდის ამსახველი კადრები, რომელშიც ერთ-ერთი სასულიერო პირი გაამართლეს; ხოლო ზოგიერთმა საინფორმაციომ (მე-9 არხი, კავკასია, 1 აგვისტო)[47] სარედაქციო ტექსტში არასრულყოფილად გადმოსცა აღნიშნული ეპიზოდი, როცა მღვდლის მხრიდან მხოლოდ გინებაზე გაამახვილა ყურადღება და არა მუქარაზე, როგორც ეს გავრცელებულ ვიდეოკადრში იყო ასახული („მოგკლავთ, თქვენი...“).

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინტიმური კადრები

- სოციალურ ქსელებში უფლებადამცველ გიორგი ფარესიშვილის დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული ინტიმური კადრები, რაც ჰომოსექსუალურ სცენებს შეიცავდა და შემდგომ განვითარებული მოვლენები სატელევიზიო მედიამ მაქსიმალურად დელიკატურად, პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამართული საპროტესტო აქციის კონტექსტში გააშუქა. მედიამ ძირითადად

---

[42] http://www.myvideo.ge/?video_id=2044942; http://www.myvideo.ge/?video_id=2044634

[43] http://www.myvideo.ge/?video_id=2076977

[44] **თამაზ მეჭიაური, ქართული ოცნება:** „საქართველოში თუ მხოლოდ და მხოლოდ ისინია დასაცავი, მათი უფლებები, ვისაც ერთი ადგილის ცოტა გაფართოებული ფუნქციებით უნდა რომ იამაყონ და სხვასაც გაუწიონ ამისათვის პროპაგანდა, მიმაჩნია რომ სწორები არ ვიქნებით“.

[45] http://www.myvideo.ge/?video_id=2070143

[46] http://www.myvideo.ge/?video_id=2094673
http://www.myvideo.ge/?video_id=2119379

[47] http://www.youtube.com/watch?v=tWdjeVMHwWk
http://www.myvideo.ge/?video_id=2109723

თავი აარიდა პირდაპირ იმის იდენტიფიცირებას, რომ გავრცელებული კადრები ჰომოსექსუალურ სცენებს შეიცავდა;

- აღნიშნულ თემაზე ყველაზე დაბალანსებული სიუჟეტი კავკასიამ (4 მაისი)[48] მოამზადა. სიუჟეტში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ფარესიშვილის წინააღმდეგ სამი ადამიანის სექსუალური ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა და არ არის დაკონკრეტებული ამ პირთა სქესი, რაც სექსუალური ურთიერთობის ტიპოლოგიაზე წარმოდგენას შექმნიდა. კადრების გავრცელების წყარო, ვებ-გვერდი – kvercxebi.com, რომელიც გავრცელებიდან გარკვეული დროის შემდეგ დაიბლოკა, სიუჟეტში მხოლოდ ვიზუალურად არის ხილვადი. სიუჟეტი არ შეიცავს ინციდენტის იმ ეპიზოდს, როდესაც რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამოსულ უფლებადამცველებს რამდენიმე მოქალაქე გინებით მიმართავდა და „პედერასტებად“ მოიხსენიებდა. გინებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი მხოლოდ სიუჟეტის ავტორის მხრიდან არის აღნიშნული;
- მე-9 არხის საინფორმაციო (3 მაისი)[49] სიუჟეტში, რომელიც პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამართული აქციის მონაწილეების წინააღმდეგ რამდენიმე მოქალაქის პროტესტს ასახავს, მაქსიმალურად არის დაფარული გინება, გარდა ერთი სინქრონისა, სადაც ერთ-ერთი მოქალაქე აქციის მონაწილის რელიგიური მრწამსით ინტერესდება: „ქრისტიანი ხარ? წადი იოანე ოქროპირის მცნება მაინც წაიკითხე. წადი, შენი...“

  უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ფრაგმენტი, სადაც პირის სექსუალური ცხოვრების დაცვის უფლების საპირწონედ ქრისტიანობაა მოყვანილი, არცერთ არხზე არ გასულა. სასურველია, მსგავსი სტერეოტიპების დამკვიდრებას, მედიამ თავი აარიდოს;
- რელიგიურ თემებთან პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამართული აქციის დაუსაბუთებელ დაკავშირებას ტელეკომპანია „იმედის“ 8 საათიანი ქრონიკა (4 მაისი)[50] ახდენს. გადაცემის წამყვანი აცხადებს, რომ ფარული გადაღებების წინააღმდეგ აქციაზე გამოსულ უფლებედამცველთა მიმართ რამდენიმე მოქალაქის „პროტესტი აქციის აღდგომის წინა დღეებში გამართვამ გამოიწვია“. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კომენტარი სიუჟეტში არცერთ რესპონდენტს არ გაუკეთებია და ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, იგი არარელევანტური და სპეკულაციური იქნებოდა მთავარ თემასთან მიმართებით, რომელიც ერთის მხრივ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ხოლო მეორე მხრივ, იმ ადამიანის დაშანტაჟებას შეეხებოდა, ვინც კორუფციულ გარიგებებში მაღალი თანამდებობის პირებს ამხელდა. ქრონიკაში ასევე გავიდა კადრები, სადაც აქციის მონაწილეებს „პედერასტებად“ მოიხსენიებენ.

სასამართლო დავა

პოზიტიური იყო „მოამბის“ (25 ივნისი)[51] მიერ მომზადებული სიუჟეტი ორგანიზაცია „იდენტობის“ საკონსტიტუციო სარჩელის შესახებ, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს ორი ბრძანების ანტიკონსტიტუციურად ცნობას შეეხება. აღნიშნული ბრძანების თანახმად, სისხლის დონაციისათვის რისკ-ჯგუფების ჩამონათვალში ნარკომანიასთან, შიდსით დაავადებულებთან და სხვა კატეგორიებთან ერთად ჰომოსექსუალობაც ფიგურირებს.

სექსუალური უმცირესობების თემა არჩევნების დისკურსში

- მიუხედავად იმისა, რომ 27 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე ნაძალადევის რაიონში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა თამარ კორძაიამ თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ერთსქესიანთა ქორწინებისადმი გამოხატა, 28 აპრილის „იმედის“ 8 საათიან ქრონიკაში[52], რომელიც შუალედური არჩევნების შეფასებას ეხებოდა,

[48] http://www.myvideo.ge/?video_id=2029313
[49] http://www.myvideo.ge/?video_id=2029299
[50] http://www.myvideo.ge/?video_id=2029320
[51] http://www.myvideo.ge/?video_id=2079445
[52] **შალვა ნათელაშვილი:** „ვულოცავ ნახალოვკას. თქვენ ივანიშვილის წარმომადგენელი, ჰომოსექსუალისტების დამცველი ქალბატონი ღირსეულად წარმოგადგენთ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში“. http://www.myvideo.ge/?video_id=2023407

ჟურნალისტმა აღნიშნულ თემაზე შალვა ნათელაშვილის სინქრონი, თითქოსდა თამარ კორძაია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ემხრობოდა, ისე გაავრცელა, რომ არც კი აღუნიშნავს, რეალურად რა მოსაზრება აქვს „ქართული ოცნების“ კანდიდატს აღნიშნული საკითხისადმი, რაც არასწორი ინფორმაციის ტირაჟირებას უწყობს ხელს.

- ქრისტიან-დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი თარგამაძის ინიციატივა, საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვების თაობაზე, რომელიც კონსტიტიციაში ტრადიციული ქორწინების დაკანონებას ითვალისწინებს და თავად თარგამაძის განცხადებით, ერთსქესიანთა ქორწინების პრევენციას მოახდენს, ტელეკომპანიებმა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ერთგვაროვნად გააშუქეს. ერთადერთი გამონაკლისი იყო „იმედის“ 6 აგვისტოს სიუჟეტი[53], სადაც საკითხის ინიციატორთა და პოლიტიკოსთა გარდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ლგბტ უფლებადამცველი ორგანიზაციის „იდენტობის“ წარმომადგენელთა პოზიცია იყო გადმოცემული.

არცერთ მედია საშუალებას ბეგრაუნდში არ აღუნიშნავს, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება საქართველოში დღის წესრიგში არ დამდგარა და არცერთი ჯგუფი მსგავსი მოთხოვნით არ გამოსულა. ჟურნალისტებს ამ ჰიპოტეტურ საკითხზე შეკითვა არც თავად ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის ინიციატორისთვის დაუსვამთ, რაც მაგალითია იმისა, თუ როგორ უკრიტიკოდ ახდენს მედია იმ საკითხების ტირაჟირებას, რასაც მას სთავაზობენ.

1.4. გენდერული თემატიკა

- გენდერული თემატიკა ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ოფიციალური და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებების გაშუქებისას ფიგურირებდა. თუმცა დამოუკიდებელი თემების მხრივ გამორჩეული იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი, ასევე ტელეკომპანია „იმედი“.
- პოზიტიურია „მოამბის“ (6 აგვისტო)[54] დაინტერესება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალთა პრობლემებით და ამ თემაზე ერგნეთიდან და ხურჩადან მომზადებული რეპორტაჟი.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პოლიტიკურ პროცესში ქალების ჩართულობის შესახებ მომზადებული სიუჟეტიც (23 ივლისი)[55] პოზიტიურია, თუმცა მასალაში, რომელიც სტერეოტიპების რღვევას ეძღვნება, მაკიაჟის გაკეთების კადრები სტერეოტიპების კიდევ უფრო გაღრმავებას უწყობს ხელს.
- პოზიტიურია ასევე „იმედის“ სიუჟეტი (22 ივლისი),[56] რომელიც შეეხება თავად დისკრიმინაციულ მოვლენას, როცა მომავალ მეუღლეებს და დედამთილებს ქალები ქალიშვილობის დადგენის მიზნით ექსპერტიზაზე მიჰყავთ. ეს ქმედება როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მხრიდან, ასევე ქუჩის გამოკითხვის დროს ნეგატიურად და პიროვნების შეურაცხმყოფელად არის მიჩნეული.
- ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის პროტესტი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წინააღმდეგ, რომელიც ქალიშვილობის დადგენის მიზნით ექსპერტული ცნობების გაცემას შეეხება, ტელეკომპანიებმა მაესტრო, იმედი და მე-9 არხი საღამოს მთავარ გამოშვებებში ვრცლად გააშუქეს (30 ივლისი)[57]. იმედის და მე-9 არხის სიუჟეტებში სხვა მოსაზრებებთან ერთად წარმოდგენილია ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის კომენტარი, რომელიც გენდერული ნიშნით დისკრიმანაციას შეიცავს.

[53] http://www.myvideo.ge/?video_id=2109043
[54] http://www.myvideo.ge/?video_id=2109025
[55] http://www.myvideo.ge/?video_id=2099258&rc=1
[56] http://www.myvideo.ge/?video_id=2099465
[57] http://www.myvideo.ge/?video_id=2106419
http://www.tv9.ge/?l=G&m=1&sid=0&id=5370
http://www.myvideo.ge/?video_id=2104161

2. სატელევიზიო თოქ-შოუები

სატელევიზიო თოქ-შოუების დროს პოზიტიურად შეფასდა ისეთი გადაცემები, როდესაც წამყვანები უმცირესობების თემატიკას თავიანთ გადაცემებში განიხილავდნენ და კვალიფიციურად აშუქებდნენ, ასევე შემთხვევები, როდესაც წამყვანები კვალიფიციურად რეაგირებდნენ რესპოდენტთა დისკრიმინაციულ გამოხატვებზე. ნეიტრალურად შეფასდა გაშუქება, როდესაც წამყვანები მეტ-ნაკლებად ნეიტრალურად მოდერირებდნენ; ხოლო ნეგატირად შემთხვევები, როდესაც დისკრიმინაციის წყაროდ თავად ჟურნალისტები გვევლინებოდნენ ან ისინი რესპონდენტთა პოზიციებს იზიარებდნენ და არ რეაგირებდნენ მათი მხრიდან არასწორი ინფორმაციის ტირაჟირებასა და დისკრიმინაციულ გამოხატვებზე.

საერთო სურათი, სადაც ნეგატიური გაშუქების დიდი წილი მედია-კავშირ „ობიექტივზე“ მოდის, ხოლო პოზიტიურის — საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ასე გამოიყურება:



თემატიკის მიხედვით ასეთი სურათი გამოიკვეთა:

ეთნიკური უმცირესობები: პოზიტიური — 4, ნეიტრალური — 9, ნეგატიური — 21; **რელიგიური უმცირესობები:** ნეიტრალური — 3, ნეგატიური — 12; **სექსუალური უმცირესობები**: პოზიტიური — 8, ნეიტრალური — 12, ნეგატიური — 39; **გენდერული თემები:** ნეგატიური — 3.



2.1. ეთნიკური უმცირესობები

არმენოფობია

- ოპოზიციის 19 აპრილის აქციასთან დაკავშირებით გაკეთებული არმენოფობიული განცხადებები სატელევიზიო თოქ-შოუების ფოკუსშიც მოექცა.
- მაესტროს „კვირის არგუმენტების“ (19 აპრილი)[58] ერთ-ერთმა რესპონდენტმა არმენოფობიის პრობლემა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსთან მიმართებაში წამოჭრა, თუმცა გადაცემის წამყვანმა იმ საბაბით, რომ ისინი ოპოზიციის აქციაზე სასაუბროდ იყვნენ მიწვეულები და არა პოეზიაზე, თანაც ჯანსუღ ჩარკვიანი გადაცემაში არ მონაწილეობდა, ეს საკითხი არ განავრცო და საუბრის თემა შეცვალა.
- ქსენოფობიის თემა, როგორც პრობლემა მოწვეულ სტუმრებთან ერთად ვრცლად იყო განხილული საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „აქცენტებში“ (19 აპრილი)[59]. თუმცა, ამავდროულად, როდესაც გადაცემის ერთ-ერთი სტუმარი ნათია მეგრელიშვილი სომხური სეპარატიზმის საფრთხეზე საუბრობდა და ვაჰაგან ჩახალიანი, როგორც სეპარტისტული მოძრაობის ლიდერი მოიხსენია, გადაცემის წამყვანმა აღნიშნული პიროვნება გარდაცვლილად გამოაცხადა, მოგვიანებით კი პროდიუსერის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შეცდომა შეასწორა. ინფორმაცია ჩახალიანის გარდაცვალების შესახებ სააგენტოების მიერ იყო გავრცელებული და მოგვიანებით არ დადასტურდა. ჟურნალისტს გადაუმოწმებელი ინფორმაციის ტირაჟირება არ უნდა მოეხდინა.

ანტიჩინური განწყობები

- ანტიჩინური განწყობები, რომელთა ტირაჟირება როგორც მედიის, ასევე რესპონდენტთა მხრიდან ხდებოდა, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, საკუთრებით საკითხებთან კავშირში გამოიხატებოდა.
- ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული სპეკულაციის საგანი იყო თბილისის ზღვაზე ჩინური კომპანიის მიერ წარმოებული მშენებლობა, რომელიც მედიის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ჩინური ქალაქის და ჩინური დასახლების მშენებლობის სახით არის საზოგადოებისთვის მიწოდებული.
- ანტიჩინური თემატიკა პარლამენტის შუალედური არჩევნების დისკურსშიც იყო აქტუალური. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გადაცემის წამყვანმა არჩევნებში მონაწილე სუბიექტის, ლეიბორისტთა კანდიდატის მიერ ჩინური ქალაქის მშენებლობაზე გავრცელებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა მოახდინა, საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუ „დიალოგი“ (24 აპრილი) იყო. გადაცემის წამყვანმა დააზუსტა, რომ თბილისის ზღვაზე მიმდინარე მშნებლობის პროცესი ჩინელების ჩამოსახლებას არ გულისხმობდა და დეპუტატობის კანდიდატს ნაძალადევის ამომრჩეველთა პრობლემებზე კონცენტრირებისკენ მოუწოდა[60].

მაგალითები:

კავკასია, სპექტრი, 3 მაისი
დავით აქუბარდია: „ჩვენ თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, მართლა უცხო ძალა წაგვართმევს საქართველოს, რასაც ზვიადი ამბობს და მე ხშირად დავდივარ თბილისის ზღვაზე, გული მისკდება,

[58] http://www.myvideo.ge/?video_id=2015160
[59] http://www.myvideo.ge/?video_id=2015031
[60] http://www.myvideo.ge/?video_id=2019977

კაცო, ინტენსიური მშენებლობა მიდის ჩინელები გვინდა კიდე აქა, ჩვენ თვითონ უმუშევრებითა გვაქვს სავსე მთელი ქალაქი“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2028612

ობიექტივი, ღამის სტუდია, 2 და 10 მაისი
ნინო რატიშვილი: „აჭარის საკითხი, მიწების საკითხი გროვდება, ძალიან ბევრი პრობლემა გროვდება... მერე შეიძლება იყოს ძალიან გვიან. ჩინური ქალაქი რომ აშენდეს...“
„ჩვენი ადგილი აღარ იქნება მალე“.
http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=11794
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11855

ობიექტივი, ღამის სტუდია, 13 მაისი
ირმა ინაშვილი, ობიექტივის დამფუძნებელი: „ჩვენთან იმ ჩინურ მაღაზიაში ყველა შედის და ყველა ქართველი ყიდულობს იმ პროდუქციას. სომხეთში, ერევანში არ შედიან ხომ, რამდენადაც მე ვიცი?.. ვერ მოიკიდეს ფეხი პრაქტიკულად“.

ანტითურქული განწყობები

- ანტითურქული განწყობების გაღვივებას სატელევიზიო თოქ-შოუებში ძირითადად მედია-კავშირი „ობიექტივი“ ახდენდა, რომელსაც როგორც რესპონდენტების შერჩევის, ასევე ჟურნალისტთა გაცხადებული პოზიციების თვალსაზრისით, მკვეთრად გამოხატული ანტითურქული სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა.
- „თურქეთის, როგორც ოკუპანტის“ წარმოჩენას და რუსული ოკუპაციის საპირწონედ წარმოჩენას „ობიექტივის“ წამყვანები და მათი რესპონდენტები მუდმივად მიმართავდნენ.
- ერთადერთი გამონაკლისი, როცა ჟურნალისტმა რესპონდენტის მხრიდან აღნიშნულ თემაზე არასწორი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირება მოახდინა, საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუ „დიალოგი“ (24 აპრილი)[61] იყო.

მაგალითები:

კავკასია, სპექტრი, 30 აპრილი
დავით აქუბარდია: „ყველაზე მთავარი ამ მემარცხენე იდეოლოგიის არის სოციალური სამართლიანობა. ეს თუ დომინანტი არ გახდა, ან თურქები შეგვჭამენ ან პაკისტანელები, ელემენტარულად ქვეყანა დაინგრევა“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2058759

ობიექტივი, ღამის სტუდია, 17 აპრილი
ბონდო მძინარაშვილი: „მაშინაც იყო ძალიან დიდი ინტერესი თურქეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების მიმართ, რადგან ისინი დღესაც ფიქრობენ, რომ დროებით აქვთ დაკარგული აჭარის ტერიტორია და აჭარა თურქეთის შემადგენლობაში უნდა დაბრუნდეს“.

„[აჭარაში] ძალიან ბევრი თურქი გაჩნდა მას შემდეგ, რაც იქიდან, როგორც სააკაშვილმა გვითხრა, „ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია“. აი, ზუსტად, ასლანი რომ გაიქცა, აჭარაში იმის შემდგომ

[61] http://www.myvideo.ge/?video_id=2020638

მომრავლდნენ თურქები და ჩვენ შესაძლოა, ძალიან მალე, ღმერთმა ნუ ქნას, დავდგეთ კიდევ ერთი საფრთხის წინაშე“.

„დავით აღმაშენებლის პროსპექტზე არის თურქების ყველაზე მეტი ბარი, რესტორანი, სასტუმრო და ა.შ. და ეს არ ხდება შემთხვევით“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11610

ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 აპრილი
ილია ჩაჩიბაია: „თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ისინი აპირებენ დაიპყრონ ბათუმი, ოღონდ მშვიდობიანი ფორმით“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11704

ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 აპრილი
ირმა ინაშვილი: „ჩვენ ეს კითხვა რომ დავსვით, იცით, რა გვითხრეს, რომ რუსეთმა მიწები წაგვართვაო და, დალოცვილო, თურქეთმა არ წაგვართვა?“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11690

რეგიონალური ენების ქარტია

- სახელმწიფოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულება, რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირების შესახებ, რაც უმცირესობათა ენების დაცვას გულისხმობს, აქტუალური პარლამენტის შუალედური არჩევნების კონტექსტში, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 23 აპრილს, ევროსაბჭოში გაკეთებულ განცხადებებთან მიმართებით ხდებოდა.
- აღნიშნულ თემაზე ქსენოფობიური განცხადებებით მედია-კავშირი „ობიექტივი“ გამოირჩეოდა.

მაგალითი:

ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 აპრილი
ბონდო მძინარაშვილი: „საქართველოში არავითარი რეგიონული ენები არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ორი სახელმწიფო ენა. ეს არის მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე-ქართული და აფხაზეთის ტერიტორიაზე-აფხაზური. ყველა ენის პატრონს აქვს თავისი სამშობლო. ჩვენი გადასარჩენი არ არის არც სომხური, არც აზერბაიჯანული, არც რუსული და არც ბერძნული...

აფრიკელები არიან ახლა ჩამოსულები და ისინი რა ენაზეც ლაპარაკობენ, იმათაც რომ მოგვთხოვონ ახლა ჩემი ენის გადარჩენაზეც იზრუნეთო, მთელი აფრიკა მათ ენაზე ლაპარაკობს, იქ დარჩნენ და იქ ილაპარაკონ. მაინცდამაინც მე რომ უნდა გადავურჩინო. იქ მათი დედაენაა, წავიდეს და სადაც დედამისია, იქ გადაარჩინოს თავისი დედაენა“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11733

რასისტული გამოხატვა

ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 აპრილი
ბონდო მძინარაშვილი: „ჩვენი თეთრკანიანი მათხოვრები არ გვაკლდა ახლა ქალაქში, შავკანიანი, უკაცრავად, აფროამერიკელი... და მართლა სირცხვილია, საქართველოში რატომ უნდა ჩამო-

დიოდეს, ჯერ ერთი, ვინ ჩამოიყვანა, მეორეც — რა უფლებით ცხოვრობს ამ ქვეყანაში და მესამე — დადის და მათხოვრობს ქუჩაში."
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11675

დეპორტირებული მესხების თემა

- საბჭოთა რეჟიმის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებული მესხების რეპატრიაციის თემა მედიის ფოკუსში მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაციების დისკურსში ექცეოდა. გამონაკლისი იყო „მაესტროს" თოქ-შოუ „პოლიტმეტრი", რომელმაც რეპატრიაციის საკითხს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა. თუმცა, თანმიმდევრულად აღნიშნული პროცესი არცერთ მედია საშუალებას არ გაუშუქებია.
- ხშირად თავად ჟურნალისტები არ ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას საკითხთან მიმართებაში, არც რეპატრიაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ და შედეგად რესპონდენტების მხრიდან დამახინჯებული ფაქტების არასწორ კონტექსტში ტირაჟირება ხდებოდა;
- საკამათოა ტერმინ „თურქი-მესხის" გამოყენება როგორც რესპონდენტების, ასევე ჟურნალისტთა მხრიდან, რადგან ეთნიკური კუთვნილება თვითიდენტიფიცირების სფეროა. გაცილებით მისაღები ფორმა ტერმინ „მესხების" ან „დეპორტირებული მესხების" გამოყენებაა. საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „აქცენტების" (19 აპრილი)[62] წამყვანი მართებულად რეაგირებს რესპონდენტის შეფასებაზე, რომელიც მესხებს ქვეყნისათვის საფრთხედ წარმოაჩენს, თუმცა მათ თურქ მესხებად მოიხსენიებს, რაც მათ ეთნიკურ იდენტიფიცირებას არასწორად ახდენს.
- რეპატრიაციის პროცესის ოპონენტთან, ჯონდი ბაღათურიასთან საუბარში „მაესტროს" „პოლიტმეტრის" (29 აპრილი)[63] წამყვანი მართებულად საუბრობს ამ ადამიანთა მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე, თუმცა ამავე დროს წამყვანის მხრიდან ადამიანის უფლებების დამცველების ეთნიკური ნიშნით ქართველებად მოხსენიება, ასევე სტალინის ეთნიკურ წარმომავლობაზე აპელირება, გაუმართლებელია.

2.2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას ტელეკომპანია კავკასიის თოქ-შოუ „სპექტრის" წამყვანის მხრიდან ჰქონდა ადგილი. ერთ შემთხვევაში წამყვანი მოსამართლეთა სანდოობის ტესტად ისეთ კრიტერიუმებს ასახელებს, როგორიცაა ეკლესიურობა და იეღოვას მოწმეებთან მიმართებაში მოსამართლეთა დამოკიდებულება. ადგილი აქვს სტერეოტიპის დამკვიდრებას, რომ მოსამართლე აუცილებლად მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი უნდა იყოს და რელიგიური უმცირესობების მიმართ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ჰქონდეს. „სპექტრის" წამყვანის მხრიდან ასევე სოციალური პრობლემების რელიგიურ თემებთან დაუსაბუთებელ დაკავშირებას ჰქონდა ადგილი.
- ბათუმში მეჩეთის აშენების საწინააღმდეგო კამპანიის თვალსაზრისით გამორჩეული მედია-კავშირი „ობიექტივი" იყო.
- მედია-კავშირ „ობიექტივის" ეთერში მაყურებლის სატელეფონო ჩართვა (18 ივლისი), რომელმაც კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა ეკლესიის ზოგიერთი სასულიერო პირის მიმართ, 17 მაისის

[62] http://www.myvideo.ge/?video_id=2015031

[63] **ნინო ჟიჟილაშვილი:** „სწორედ ამის გამოც ადამინის უფლებათა დამცველები ამ ქვეყანაში, ეთნიკური ქართველი ადამიანის უფლებების დამცველები ამბობენ, რომ ამ პროცესის შეჩერება იქნება უბრალოდ უსამართლობა კონკრეტული ადამიანების მიმართ ".
http://www.myvideo.ge/?video_id=2029434
„ამ პროცესში ეთნიკურ ქართველებს [სტალინი] ჰქონდათ წვლილი".
http://www.myvideo.ge/?video_id=2029434

მოვლენებთან დაკავშირებით, უჩვეულო იყო აღნიშნული გადაცემისთვის[64]. როგორც წესი, „ღამის სტუდიის“ ეთერში ძირითადად მაყურებელთა ერთგვაროვანი სატელეფონო ჩართვები ხორციელდება, რაც გარკვეულწილად საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების შთაბეჭდილებას ქმნის და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-18.4 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ გადაცემის წამყვანი მაყურებელს შეკითხვის დასმის პროცესში სიტყვას აწყვეტინებდა და აზრის გამოთქმის საშუალებას არ აძლევდა.

მაგალითები:

კავკასია, სპექტრი, 8 ივლისი
დავით აქუბარდია: „პირველ არხს მისცეს კუბლაშვილის კანტორამ [უზენაესი სასამართლო] ნებართვა, რომ ყველა რაიონის მოსამართლე წარუდგინოს საზოგადოებას. ცოლ-შვილთან როგორ ურთიერთობაშია, დედასთან რამდენჯერ დადის. ეკლესიაში დადის თუ არა? იეღოვას მოწმეებთან როგორ არის? ნდობას ეს აღადგენს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2091039

კავკასია, სპექტრი, 31 მაისი
დავით აქუბარდია: „ქარხნები აღარ გვაქვს საქართველოში. ცოდვაა ხალხი. ასე თუ გაგრძელდა 15-20 წელიწადში მუსულმანური ქვეყანა გვექნება. გაიხედე აღმოსავლეთისკენ, ინტენსიურად გადმოდიან და გადმოდიან“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2055882
http://www.myvideo.ge/?video_id=2055888

ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 აპრილი
ირმა ინაშვილი, ობიექტივის დამფუძნებელი: „პირველ რიგში, სწორედ ისინი (ადგილობრივი მუსლიმები) აცნობიერებენ იმ საშიშროებას, რაც შეიძლება მოჰყვეს ახალი მეჩეთის, უფრო სწორედ, თურქეთის ძლევამოსილების სიმბოლოს ჩადგმას ბათუმის ცენტრში. და ისინი ამას ეწინააღმდეგებიან, საღად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მუსლიმები“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11581

ობიექტივი, ღამის სტუდია, 2 მაისი
ნინო რატიშვილი: „მე მინდა, კიდევ ერთხელ მივულოცო, ბათუმში დამთავრდა ეს გამოკითხვა [მეჩეთის აშენების შესახებ] და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ გახდება კიდევ ერთი წყალგამყოფი ხალხსა და ახალ ხელისუფლებას შორის“.
http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=11794

ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 მაისი
ირმა ინაშვილი: „ილიას გზაა [იგულისხმება ნაციონალური მოძრაობის ახალი სლოგანი — ახალი ეროვნული მოძრაობა] ერთ ტომარა ფქვილში იეღოველებს სულს, რომ მიჰყიდი?“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12031

---

[64] **მაყურებელი, სატელეფონო ჩართვა:** „დღეს, როდესაც სახელმწიფოს მოსახლეობის 85 % იძახის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანია და არა მხოლოდ ჩვეულებრივი მოსახლეობის ნაწილი, არამედ საეკლესიო მოღვაწეების უმრავლესობასაც სიღრმისეულად, ღრმად, შინაარსობრივად არ ესმის, რა არის ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა... მაპატიეთ, მაგრამ ისეთი მეუფეების, როგორიც არის იაკობი და იობი“...
ბონდო მძინარიშვილი, წამყვანი: (ცდილობს შეაწყვეტინოს) „ძალიან გთხოვთ, ბატონ გელას ველაპარაკებით, ახლა“...
მაყურებელი: „ხალხი ქუჩაში ჯვრებს ურტყამს სხვა ხალხს, ტელევიზიაში უვარდებიან, 17 მაისი მოაწყვეს... როგორ გინდათ ამ პირობებში, ქრისტიანობა გამოგვიცხადოთ სახელმწიფო რელიგიად?“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12918

ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 ივნისი
სოსო ზაალიშვილი: „ეს [ბათუმში მეჩეთის მშენებლობაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები] იყო კრახი თურქული ექსპანსიური პოლიტიკის აჭარაში იმიტომ, რომ მუსულმანმა ქართველებმაც, ქრისტიანმა ქართველებმაც და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებმა გამოთქვეს, არა მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12280

2.3. სექსუალური უმცირესობები

- სატელევიზიო თოქ-შოუებიდან მკვეთრად გამოხატული ჰომოფობიური და დისკრიმინაციული სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც დიდწილად ემთხვევა და იზიარებს პოლიტიკურ სპეკულაციებს სექსუალური უმცირესობების თემაზე, მედია-კავშირ „ობიექტივს“ ჰქონდა.
- მედია-კავშირ „ობიექტივის“ მხრიდან სისტემატურად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17 (2) და მე-18 (3,4) მუხლების დარღვევა. მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „პირდაპირ ეთერში შემოსული ზარები უნდა იქნეს შერჩეული სამართლიანობის პრინციპის დაცვით და დაუშვებელია მხოლოდ ერთი შეხედულების გამოხატვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ ზარებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება“.
- „ღამის სტუდიაში“ ძირითადად არა მხოლოდ მსმენელთა ერთგვაროვანი ზარები გადის, არამედ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები სრულ თანხვედრაშია როგორც რესპონდენტთა, ასევე წამყვანთა პოზიციებთან, რომლებიც ძირითადად დისკრიმინაციულია უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ. ამ თვალსაზრისით კი „ობიექტივი“ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს არღვევს, რომლის თანახმად, „პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის მოწვევა აქტუალურ საკითხზე კონკრეტული პოზიციის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, არ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ჯგუფებზე თავდასხმის საშუალებად, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში“. დარღვეულია ასევე მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა“.
- 17 მაისის მოვლენების შეფასებისას, როგორც „ობიექტივის“ წამყვანების შეფასებაში, ასევე მაყურებელთა სატელეფონო ზარებში ანტიდასავლური განწყობები იკვეთებოდა და არასწორი ფაქტების ტირაჟირებას ჰქონდა ადგილი.
- გარკვეულ შემთხვევებში რთული იყო ზღვარის გავლება სექსუალური, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას შორის.
- „ობიექტივის“ გარდა, დაკვირვების ქვეშ მყოფი სხვა სატელევიზიო თოქ-შოუებში აღნიშნული თემატიკა ნეიტრალურად, ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელზე (აქცენტები, დიალოგი) პოზიტიურად შუქდებოდა. გარკვეულ შემთხვევებში წამყვანები (მე-9 არხი – „პირდაპირი საუბარი“, მაესტრო – „პოლიტმეტრი“) კვალიფიციურად ოპონირებდნენ რესპონდენტთა მიერ გამოთქმულ დისკრიმინაციულ გამოხატვებზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში („იმედი“ – „ღია ეთერი“, რუსთავი 2 – „პოზიცია“) რეაგირების გარეშე ტოვებდნენ რესპონდენტთა მხრიდან ისეთი მცდარი და დისკრიმინაციული ინფორმაციის ტირაჟირებას, როგორიცაა ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად მოხსენიება.
- ტელეკომპანია კავკასიის თოქ-შოუ „ბარიერის“ (21 მაისი) წამყვანმა 17 მაისსთან დაკავშირებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სპეკულაციური შეფასება – გლოვის დღეებში აქციის გამართვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით – გაიზიარა[65].

[65] **ალეკო ელისაშვილი:** „სააკაშვილს ერთადერთ რამეში დავეთანხმე: ჯერ თქვა, რომ კარგი იქნებოდა, ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცებისთვის პატივი ეცათო და მეორე დღეს იმავე ადგილზე არ შეკრებილიყვნენო“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2046410; http://www.myvideo.ge/?video_id=2046410

- სექსუალური უმცირესობების თემა ძირითადად პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, ბრალდების სახით, ნეგატიურ კონტექსტში წინასაარჩევნო დისკურსში იჩენდა თავს: პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ თამარ კორძაიას შესახებ ისე ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს ის ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მოითხოვდა, რომ მისი აზრი ამ თემაზე მედიას არ გაურკვევია. ერთადერთი გადაცემა, რომელიც შეეცადა გაეგო თამარ კორძაიას მოსაზრება ამ თემაზე, ტელეკომპანია „იმედის“ 26 აპრილის „ღია ეთერი“[66] იყო, სადაც არჩევნებში მონაწილე კანდიდატები მონაწილეობდნენ. თუმცა, დისკრიმინაციულია ის, რომ წამყვანმა მხოლოდ ერთ რესპონდენტს დაუსვა შეკითხვა სენსიტიურ თემაზე და არ უცდია მის კონკურენტთა მოსაზრების გაგება, რაც ჟურნალისტური სტანდარტის დარღვევაა. გადაცემა, სადაც წამყვანმა თავად მოახდინა თამარ კორძაიას შესახებ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა, საზოგადოებრივი მაუწყებლის „დიალოგი“ (24 აპრილი)[67] იყო, ხოლო რუსთავი 2-ის თოქ-შოუ „პოზიციის“ (23 აპრილი)[68] წამყვანს თამარ კორძაიას მიმართ ლეიბორისტთა კანდიდატის ანალოგიურ „ბრალდებებზე“ საუბრისას, არასწორი ინფორმაციის უარყოფა არ მოუხდენია.
- ანალოგიური შინაარსის ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, თითქოს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას გეგმავდა, თავისუფალი საქართველოს ლიდერის კახა კუკავას მხრიდან ჰქონდა ადგილი. აღნიშნულის გამო, „მაესტროს“, სუბიექტური აზრის“ (28 მაისი)[69] წამყვანები სრულიად საფუძვლიანად უწევდნენ ოპონირებას კახა კუკავას. თუმცა, გადაცემის ერთ-ერთი წამყვანის მხრიდან აპელირება მოხდა არა იმაზე, რომ გიორგი მარგველაშვილს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია, არამედ დეპუტატ ზვიად ძიძიგურის სიტყვებზე, რომ მარგველაშვილისგან განსხვავებით, კახა კუკავა ეკლესიური არ არის, რაც დისკრიმინაციულია კახა კუკავასთან მიმართებაში, რადგან ამა თუ იმ პიროვნების ეკლესიურობის ხარისხზე მსჯელობა, მით უფრო ჟურნალისტის მხრიდან, არამართებულია.

მაგალითები:

ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 აპრილი
ნინო ჯღარკავა: „სამშობლო, ერი და ენა ისე არ გაგვინადგურებია, როგორც თქვენ [გიგა ბოკერია]... არც ქალთა ქორწინებაზე ვგიჟდებით სიხარულით და არც კაცის კაცთან დაოჯახება გვასხამს ფრთებს [თქვენსავით]“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11673

ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი
ნინო რატიშვილი: „ჩვენთვის ეს [ჰომოსექსუალობა] მანკიერებაა... მრუშობა ჯანსაღი მანკიერებაა უკვე... რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, მიუღებელია და მე არ მინდა მაგალითად, რომ ვინმე მყავდეს ასეთი ორიენტაციის ახლობელი, ნათესავი, მეგობარი“...
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11815

ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 მაისი
ნინო რატიშვილი: „უმცირესობების ინტერესები, ბოროტმოქმედთა ინტერესები. მაშინ მე რა მაინ-

---

66 http://www.myvideo.ge/?video_id=2022467
67 http://www.myvideo.ge/?video_id=2020663
68 http://www.myvideo.ge/?video_id=2020663
69 http://www.myvideo.ge/?video_id=2052359

ტერესებს, ის ადამიანები, ვინც ციხეში სხედან, იმათ რატომ არ უნდა მივუტევოთ, თუ სააკაშვილს უნდა მივუტევოთ“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11856

ობიექტივი, ღამის სტუდია, 17 მაისი
ნინო რატიშვილი: „ზოგისთვის ეს არჩევანია, ზოგისთვის ეს ბიოლოგიური პრობლემაა და დაავადებაა. მე მესმის ეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოხდეს წახალისება“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11971

ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ივნისი
ნინო რატიშვილი: „სექსუალურ უმცირესობათა პრობლემა, აი, ეს არის დემოკრატია?! ერთსქესიანთა ქორწინება, აი, ეს არის თურმე საქართველოსთვის ევროპული დემოკრატია?!.. რატომ ვიღებთ ჩვენ ამ ევროპული დემოკრატიის შედეგად სწორედ რაღაც ისეთს, ისეთ რაღაცეებს გვთავაზობენ, რაც არ არის ჩვენს ტრადიციებში?“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12250

ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 მაისი
ირმა ინაშვილი: „ჩვენ ხომ ვიცით რა არის მთავარი მოთხოვნები ევროპისა და აშშ-ის საქართველოსადმი... ნუ ერთ-ერთი არის ის, რომ ქართველებო იცოდეთ, რომ უკანალი უნდა გამოიყენოთ სასქესო ორგანოდ, ერთი ეს არის. მეორე, ქართველებო, რეგიონული ენის სტატუსები უნდა მიცეთ ამათ, ამათ, ამათ. ქართველებო, უნდა იცოდეთ, რომ ჯერ უნდა ასწავლოთ თქვენს შვილებს ინგლისური, მერე სომხური, აზერბაიჯანული, სხვა ენები. ბოლოს თუ გინდათ ასწავლეთ ქართული თუ გინდათ, ნუ ასწავლით“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12031

ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 ივნისი
ილია ჩაჩიბაია: „საერთოდ ამერიკელები, როგორ უნდა გვაკრიტიკებდნენ [17 მაისის მოვლენებთან მიმართებით] მაშინ, როცა რამდენიმე ათეული წლის წინ ფერად კანიანებს ქუჩაში კლავდნენ და საშინელებები ხდებოდა“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12235

ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 ივნისი
სოსო ზაალიშვილი: „მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება გამოკითხვა, რომ საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს ლგბტ პროპაგანდა. დიდი მადლობა [მიმართავს რესპონდენტს], რომ მხარი დაუჭირეთ ქართველ ხალხს თავის პოზიციაში ამ აღლუმის წინააღმდეგ“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12280

ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 ივნისი
ილია ჩაჩიბაია: „საერთოდ, რამდენად დამღუპველია ასეთი ცხოვრების წესის პროპაგანდა ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი შვილებისთვის?“

„ხომ არ ითვალისწინებს ეს ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იმას, რომ, სხვათა შორის, მსოფლიოში საკვების, წყლის დეფიციტია. იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი და ქალი ერთმანეთზე არ იქორწინებენ, ანუ ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება, შესაბამისად, მათ შვილიც ვერ ეყოლებათ და აქედან გამომდინარე, შემცირდება მსოფლიო საზოგადოება“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12341

ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 ივლისი
ილია ჩაჩიბაია: „კარგად გვახსოვს ტომას ფლეტჩერი, ჰომოსექსუალი პედაგოგი ჩამოიყვანეს ბრიტანეთიდან და ზუგდიდის მეოთხე სკოლაში ასწავლიდა ბავშვებს... ახალი ადამიანის გაზრდა უნდოდათ მათ [ნაციონალურ მოძრაობას], როდესაც ფლეტჩერი და მისნაირები ჩამოჰყავდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად" — ასეთი პროგრამა იყო და სწორედ რეგიონებში აღიქვამდა ყველაზე უარყოფითად ამ მოვლენას ხალხი იმიტომ, რომ ტრადიციულები ვართ ქართველები. არ შეგვიძლია ის, რომ ვიღაცა მოვიდეს და გვასწავლოს ის, რომ კარგია დღეში ხუთჯერ თმის შეღებვა... სწორედ ამას აკეთებდა მამაკაცი პედაგოგი, თომას ფლეტჩერი... თმის შეღებვაში იგულისხმება ის, რომ ჰომოსექსუალი იყო".
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12944

ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 ივლისი
ბონდო მძინარაშვილი: „ბედის ირონიაა, ჰიტლერი ნარკომანებს, ჰომოსექსუალისტებს, სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებს სიკვდილითაც სჯიდა, ასახლებდა, საკონცენტრაციო ბანკებში ათავსებდა და საბოლოო ჯამში იქამდე მივიდნენ, რომ XX საუკუნის ბოლოს XXI დასაწყისში ბერლინში, ბერლინის მერად ჰომოსექსუალისტი აირჩიეს იმ ქვეყანაში, იმ ქალაქში, სადაც ჰიტლერი იყო ამის... არა მხოლოდ მოწინააღმდეგე, კატეგორიულად ებრძოდა ამას".
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12693

მაყურებელთა სატელეფონო ზარები

ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 აპრილი
„რატომ უნდა წავიდეთ ჩვენ, ქართველები (ევროპაში), თუ ის ითხოვს გაშიშვლებას ან მამათმავლობას?"
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11675

ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 აპრილი
„ყველაზე ძალიან ესენი [იგულისხმებიან ნაციონალები] იმიტომ მეზიზღებიან, რომ მამაკაცის ფუნქცია უნდოდათ დაეკარგათ საქართველოში, ოჯახის უფროსი, ტრადიცია, ჩვენ აზიელები არ ვართ მთლად, მაგრამ არც ევროპელები".
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11748

ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი
„ბიბლიაში ეს არის სოდომის ცოდვა და უფლებები კი არ უნდა დაიცვა მაგისი და ეფერო და რაღაცა... უნდა აიღო ეს ხალხი და გადაასახლო სადმე კუნძულზე. ანდა მეტსაც გეტყვით, უნდა ჩასვა საკანში, სამუდამოდ პატიმრობა მიუსაჯო და მისცე ხელში ბიბლია და წაიკითხონ ის".

„საქართველოში არ მინდა, რომ ესეთი რაღაცეები ხდებოდეს... ხელს არ ჩამოვართმევ [სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელს], არც ჩემს სახლში არ შემოვუშვებ, ჩემს სამეგობროში ხო ვერ გაიჭაჭანებენ ვერასდროს, რა"...
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11815

ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მაისი
„ტრაკის მიცემა, დემოკრატია ეგ არ არის, უკაცრავად თქვენთან, მეორე კიდე პატარა მინიშნებას

გავაკეთებ 1925 წელს ჩამოყალიბდა პირველი სატანისტური ეკლესია ამერიკაში, ეხლა დანარჩენი თვითონ განსაჯოს ხალხმა“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12114

ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 მაისი
„ჩვენი ერეტიზაცია გამოდის იმასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება ამიერკავკასიაში თავ-მოჭრილი „წარმატებული“ ლგბტ-იშნიკი გავხდეთ და მერე ამითი ველაპარაკოთ აფხაზეთს და ოსეთს შერიგებაზე და რუსეთს კიდევ ტერიტორიების დათმობაზე? მაშინ, როდესაც რუსეთის ხელმძღვანელმა 2012 წლამდე, 100 წლით გადადო ეს პრობლემა და თქვა არ მაინტერესებსო. აი, კაცური დაიჭირა“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12131

ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 ივნისი
„...მსოფლიო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი გვეუბნება საქართველოს, დაიცავით აქ გეიები და ლგბტ-ია თუ რაღაც უბედურობების უფლებებიო... არაფერი საერთო არ აქვს აქ საქართველოს დაცვას და ლგბტ-ს დაცვა და ამას რომ გვკარნახობს ევროპარლამენტი, ვერ გავიგე, ჩვენც კიდევ თავქუდმოგლეჯით მივისწრაფით ზუსტად იმ ქვეყნისკენ, იმ ამერიკისკენ, სადაც უზნეობაა, არა?“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12373

ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 ივნისი
„იმან მოიტანა, რომ უღმერთობას ქადაგებდნენ. ყოველ დღე ხან მამათმავლობას გვიჩვენებდნენ, ხან ტრანსექსუალებს გვიჩვენებდნენ, ხან გარყვნილებას, ხან აღვირახსნილობას“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12496

ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 ივნისი
„თუ ივანიშვილი ხალხის კეთილდღეობაზე არ იზრუნებს და იმ გეი-კანონმდებლობას მიიღებს, მთელი საქართველო დადგება ფეხზე, იცოდეთ, საერთოდ. და როგორც მობრძანდა, ისე წავა და ვერც პუტინი უშველის და ვერც“...
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12616

ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 ივლისი
„ეს [ნაციონალური მოძრაობის პრაიმერისას განხორციელებულ ძალადობაზე და შემდგომ ქმე-დებებზე] იმას ჰგავს, რა, ჩემო ილია, წეღან ჰომოსექსუალების პარადები რომ იყო და ახლა მღვდლებს რომ იჭერენ... აუცილებლად ნანახი გექნებათ, ჰომოსექსუალები რომ ზასაობენ... აი, ახლა, ეს კოჰაბიტაცია პედერასტების ზასაობას მაგონებს, რა“.

„ორი ჰომოსექსუალის ზასაობა ხომ გინახიათ? მაგაზე ამაზრზენი ხომ არაფერი არ არის, არა? აი, ეს კოჰაბიტაცია ამას მაგონებს, რა, ჰომოსექსუალების ზასაობას“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12960

ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 ივლისი
„აი, მაგალითად, შვილი მირჩევნია მე ნარკომანი მყავდეს, ვიდრე ცისფერი იყოს... მაგალითად, აი, ამერიკელებს ხომ ნებადართული აქვთ, რომ ჯარისკაცი ჰყავდეთ შეიძლება, ცისფერი?“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12975

ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 აგვისტო
„მე დასავლეთის ფასეულობა ვერ გავიგე, 9 წლის ბავშვს ევროპაში აჩვევენ, როგორ წარმართოს თავისი სქესის წარმომადგენელთან სიყვარული თუ განწყობა... როცა შვეიცარია, დასავლეთი, ასევე იღებს ინცესტს... ამ ფასეულობით საქართველო ვერ იცხოვრებს და საერთოდ, პარტია, რომელიც იტყვის, დასავლეთისკენ მიდის ჩვენი გზა, ის არის საბოლოოდ განწირული ხალხისაგან ".
http://obieqtivi.net/tv1.php?id=13110

ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 აგვისტო
„ამერიკის ისტორიას თუ გადავხედავთ, ადგილობრივები ამოხოცეს და მერე ევროპიდან ჩასახლდნენ და აფრიკიდან ჩაიყვანეს ზანგები, რამდენიმე შტატშია თუ არ ვცდები ადგილობრივი ინდიელები... ჩვენ დიდი ისტორია გვაქვს და ვერ დაგვაბრმავებენ, ვერანაირად. ისეთ რაღაცეებს გვიბედავენ [17 მაისის მოვლენებთან მიმართებით], წაიყვანონ თვითონ ახალაია, წაიყვანონ, ბატონო... ვანო მერაბიშვილიც, თანაც ცოცხებსაც გავატანთ".
http://www.myvideo.ge/?video_id=2115104

2.4. სექსისტური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

- სექსისტურ გამოხატვას, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, სატელევიზიო თოქ-შოუების წამყვანების მხრიდან ჰქონდა ადგილი.
- თოქ-შოუ „პოზიციის" წამყვანმა (10 მაისი)[70] კურიერის 9 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გადაცემის სტუმრების დაანონსებისას, ისინი სუსტი სქესის წარმომადგენლებად მოიხსენია. აღნიშნულ შემთხვევაში ჟურნალისტის მხრიდან სექსიზმის გამოვლინებასა და გარკვეული სტერეოტიპების ტირაჟირებასაც ჰქონდა ადგილი.
- ტელეკომპანია „კავკასიის" „სპექტრის" წამყვანმა (27 ივნისი) რესპონდენტის (კოკი იონათამაშვილის) სექსისტურ გამონათქვამებზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უწყების პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის მიმართ, არათუ რეაგირება მოახდინა, არამედ თავადაც გამოხატა მსგავსი მიდგომა[71].

[70] **ნინო შუბლაძე:** „და დღეს, ერთმანეთის პირისპირ, სუსტი სქესის წარმომადგენლები დასხდებიან და ჩვენი სტუმრები იქნებიან უმრავლესობიდან – ელისო ჩაფიძე, უმცირესობიდან – ირმა ნადირაშვილი".
http://www.myvideo.ge/?video_id=2035273

[71] **დავით აქუბარდია:** „აი, როგორც თქვენ რომ თქვით, არა? ფინანსთა სამინისტროს მშვენიერი გოგონაო... თქვენც გამოგეყოთ ასეთი მშვენიერი ბიჭები."
http://www.myvideo.ge/?video_id=2081944

3.1. ფიზიკური უმცირესობები

3. ბეჭდური მედია

ბეჭდურ მედიაში მასალების შეფასება არა თემებისადმი დათმობილი საგაზეთო ფართის, არამედ სტანდარტების დარღვევის/დაცვის შემთხვევების მიხედვით მოხდა, რაც როგორც სხვადასხვა საფუძველზე დისკრიმინაციას, ასევე უმცირესობებთან მიმართებით არასწორი და შეცდომაში შემყვანი ფაქტების გავრცელებას და ისეთ შემთხვევებს გულისხმობს, როცა ჟურნალისტი რესპონდენტის დისკრიმინაციულ პოზიციას იზიარებს ან თავად გვევლინება წყაროდ.

ბეჭდურ მედიაში ნეგატიური მასალების ხვედრითი წილი ნეიტრალური და პოზიტიური გაშუქების შემთხვევებს მკვეთრად ჭარბობს და იგი მეტწილად პირველ რიგში „ასავალ-დასავალზე“ და „კვირის ქრონიკაზე“ მოდის, მათ მოსდევს „ალია“ და „კვირის პალიტრა“; „24 საათსა“ და „რეზონანსში“ კი უმცირესობათა თემები ძირითადად პოზიტიურად ან ნეიტრალურად შუქდებოდა. „რეზონანსის“ შემთხვევაში, გამონაკლისია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული თემები, რომელსაც რედაქცია ძირითადად დისკრიმინაციულად აშუქებდა.

საერთო სურათი კი ასე გამოიყურება:



თემების მიხედვით კი ნეგატიური გაშუქების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სექსუალურ უმცირესობების თემატიკაზე მოდის (98), რასაც მოსდევს ეთნიკური უმცირესობები (37), რელიგიური უმცირესობები (22), სხვადასხვა ნიშნით სიძულვილის ენა (12) და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია (7):



არმენოფობია

- არმენოფობიული განცხადებები ძირითადად პოლიტიკურ კონტექსტში, ყოფილი ხელისუფლებისა და ამჟამინდელი ოპოზიციის [ნაციონალური მოძრაობის], ასევე საქართველოს პრეზიდენტის მისამართით კეთდებოდა, რა დროსაც ადრესატების „სომხებად“ ან „გვარგადაკეთებულებად“ მოხსენიება ნეგატიური კონოტაციის მატარებელი იყო.
- გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ზაზა დავითაიას საატორო სტატიაში (13-19 მაისი) „სააკოვო, ძუძუც არავის მოაჭამო!“ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გვარის დაბოლოება შეცვლილი სახით, „სააკოვად“ არის წარმოჩენილი, მისი თითქოსდა არაქართველობის მინიშნების მიზნით.
- საქართველოს ხელისუფლებაში „გვარშეცვლილების“ თემას გაზეთ „ალიას“ (19 აპრილი) ჟურნალისტიც[72] ავითარებს.
- ჟურნალისტი დალი ბარაბაძე „კვირის ქრონიკასთან“ (24-30 ივნისი) ინტერვიუში ქუთაისის მიტროპოლიტ კალისტრატეს დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით ახდენს და ადამიანებს ბიოლოგიურ ქართველებად და არაქართველებად ყოფს[73]. ჟურნალისტი მის მიერ გაცხადებულ ფაქტს ეყრდნობა და საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს სჯულის კანონს. ოპონენტთა „გვარგადაკეთებულ სომხებად“ მოხსენიება ნეგატიურ კონტექსტში, როგორც წესი, მედიასა თუ საჯარო დისკურსში იმისდა მიუხედავად ხდება, თუ რამდენად აქვს ამა თუ იმ პირს გაცხადებული თავისი ეთნიკური კუთვნილება, რაც თვითიდენტიფიცირების საგანია.
- სომხების მიმართ რესპონდენტის (ჯანსუღ ჩარკვიანის) დისკრიმინაციულ მიდგომებს გაზეთ „კვირის ქრონიკის“ (22-28 აპრილი) ჟურნალისტიც იზიარებს[74].
- გაზეთმა „რეზონანსმა“ (7 მაისი), სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით, უბედური შემთხვევის გაშუქებისას არარელევანტურად მოახდინა გარდაცვლილის ეროვნების „სომეხის“ იდენტიფიცირება. პირის ეთნიკური წარმომავლობის დაუსაბუთებელ მითითებას „მამაცი თბილისელი სომეხი, რომელიც სააკაშვილისა და ახალაიას რეჟიმს არ შეეპუა“ გაზეთ „ასავალ-დასავალშიც“ (17-23 ივნისი) ჰქონდა ადგილი.

ანტიჩინური გამოხატვა

- ანტიჩინური თემატიკა ბეჭდურ მედიაშიც სოციალური პრობლემების კონტექსტში და თბილისის ზღვაზე ჩინური ინვესტიციით მიმდინარე მშენებლობის შესახებ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის ტირაჟირების კუთხით ხდებოდა.
- ერთ შემთხვევაში ჟურნალისტმა ღიად გამოხატა მზაობა, რესპონდენტთან ერთად ანტიჩინური აქციაში ჩართულიყო („კვირის ქრონიკა“, 3-12 მაისი)[75]. ხოლო მეორე შემთხვევაში ჩინელების საქართველოში მიგრაციის საფრთხედ წარმოაჩენა ხდება[76].

---

[72] **გელა ზედელაშვილი:** „ნეტა მხოლოდ გვარშეცვლილების პრობლემა გვქონდეს“.

[73] **დალი ბარაბაძე:** „ჩემი გვარი არის სუფთა ქართული, მიტროპოლიტი კალისტრატე არის გვარგადაკეთებული. მართალია, მარგარიტაშვილი, მაგრამ ის არის მარგარიტოვი, გადაკეთებულ აქვს გვარი, მისი გვარის ფუძე არის არაქართული, სჯულის კანონის მიხედვით, არაქართული გვარის მიტროპოლიტ-ეპოსკოპოსი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი მოსულა... სწორედ კალისტრატესნაირი გვარგადაკეთებულ მეუფეებზე ამბობდა მამა გიორგი და სხვა წმინდა სასულიერო პირები, – გვარგადაკეთებულებს ერიდეთ, მათ თავიანთი გვარი უარყვეს და თქვენ რა ხეირს მოგიტანენო“. http://www.alia.ge/com/news/view/1423

[74] „მაგათ (სომხებს) ბევრი რამ უნდათ, რაც ჩვენ არ გვინდა, ამიტომაც ვართ ასე“.

[75] **ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი რესპონდენტის მიერ დაგეგმილი ანტიჩინური აქციის შესახებ**: „მაგ საქმეზე ერთად მივდივართ“

[76] **გელა ზედელაშვილი:** „ბატონო თემურ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, თუკი ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს დავანიავებდით?“

მაგალითი:

ასავალ-დასავალი, 15-21 აპრილი
ინკოგნიტო მუშა: "მე პირდად მითხრეს ეს ჩინეთია, ქართველების ადგილი აქ არ არისო. კასკა მოვიხადე და იმ ჩინელს ცხვირ-პირში ვგლიჯე, ამიტომ გამომაგდეს სამუშაოდან."

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "ჯანსაღ ცხოვრებას რა ჯობს ბატონო ბიძინა, მაგრამ არა მგონია, თბილისში 126 ათასი ჩინელის კომპაქტირად ჩასახლება ქართულ დემოგრაფიას იმაზე ნაკლებ საფრთხეს უქადდეს, ვიდრე თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარება."
http://www.asavali.ge/archive/2013/965/files/1-41pm5.pdf

უცხოელებზე მიწის გასხვისება

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისების საკითხის გაშუქებისას ქსენოფობიურ მიდგომებს რესპონდენტებთან ერთად ჟურნალისტებიც ავლენდნენ.
- გამონაკლისი იყო გაზეთ „ალიას" ინტერვიუ, სადაც რესპონდენტი (დავით კირვალიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის რანგში) ჟურნალისტის დისკრიმინაციულ მიდგომებს არ იზიარებდა. ინტერვიუს დისკრიმინაციულ არსს, რომელიც ჟურნალისტის სარედაქციო პოზიციაშია გამოხატული, აძლიერებს ფოტო-მასალა, სადაც ორი აზიური გარეგნობის მამაკაცი, მათგან ერთი — ჩალმიანია ასახული.
- მიწის უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პოზიცია გამოავლინა გაზეთმა „რეზონანსმა", სადაც მეტწილად უცხოელებზე მიწის გასხვისების შეზღუდვის მხარდამჭერი პოზიცია დომინირებს როგორც სარედაქციო, ასევე საავტორო სტატიებსა თუ ცალკეულ პირთა მიმართვებში და ნაკლებად არის წარმოდგენილი განსხვავებული აზრი. დავა მიწის მესაკუთრეებთან ცალმხრივად, ერთი მხარის ემოციურ შეფასებებზე და პოლიტიკურ სპეკულაციებზე დაყრდნობით, ფაქტების გადამოწმებისა და საფუძვლიანი შესწავლის გარეშეა წარმოჩენილი, რაც უცხოელი ინვესტორების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებების გაღვივებას უწყობს ხელს.
- „რეზონანსის" გარდა, ქსენოფობიურ მიდგომას და დაუსაბუთებელ პარალელებს გაზეთ „კვირის პალიტრის" სარედაქციო სტატიაშიც („გადახრიოკებულ დიცს ინდოელები დაეპატრონნენ") ვხვდებით.

მაგალითები:

კვირის ქრონიკა, 22-28 აპრილი
გელა ზედელაშვილი: „მანანა [კობახიძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი], ახლა თვითონ თქვი, ჩვენი მიწები გადამთიელების ხელშიაო. მარტო ქართლი კი არა, კახეთი და დანარჩენი საქართველოც იგივე დღეშია, წაგვლეკეს ინდოელებმა და ჩინელებმა".

ალია, 2— 7 მაისი
გელა ზედელაშვილი: „ინდოელებსა და ჩინელებზე აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ. ამ საკითხზე საუბარს თავად ბიძინა ივანიშვილიც თავს არიდებს. არადა, წაგვლეკეს ამ უცხოელებმა... შეაჩერეთ, ძმაო. საქართელოში დღეს ჩამოსულს დღესვე შეუძლია მიწის ყიდვა, ეს სამართალია?"

რეზონანსი, 17 ივლისი
უცხოლებზე მიწის გასხვისების თემაზე „რეზონანსის" მიერ მომზადებულ სტატიაში არაერთი პროფესიულ სტანდარტია დაარღვეული.

პირველ რიგში, ეს შეეხება აღნიშნულ თემაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს, რომელსაც ეძღვნება მთელი სტატია, თუმცა მასში მითითებული არ არის გამოკითხვის მეთოდოლოგიის ისეთი არსებითი ელემენტები, როგორიცაა, თუ რა კრიტერიუმით შეირჩნენ რესპონდენტები, რა გეოგრაფიულ არეალში ჩატარდა გამოკითხვა, რა ტიპის კვლევასთან გვაქვს საქმე და ა.შ. ამ ინფორმაციის არცოდნის გარეშე, ჟურნალისტის მიერ სათაურში გამოტანილი „გამოკითხულთა 100% უცხოელებზე მიწის გაყიდვას ეწინააღმდეგება“ შესაძლოა, შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს.

როგორც სათაურიდანვე ჩანს, სტატიაში მხოლოდ ერთი შეხედულებაა წარმოდგენილი, რაც საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების შესაძლებლობას ქმნის.

პრობლემურია ასევე ის, რომ ჟურნალისტი სარედაქციო ტექსტში ისევე საუბრობს მიწების უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებულ უსაფუძვლო საფრთხეებზე, როგორც ამას რესპონდენტები აკეთებენ.

მარიამ აფციაური, ჟურნალისტი: „საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც საშუალოდ 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. უცხოელების ინტენსიური ჩამოსახლება, მიწების მიყიდვა ქართველების შესაძლო ეთნიკურ ჯგუფად დაყოფის, მათ უმცირესობაში მოხვედრის საფრთხეს წარმოქმნის“.

რეზონანსი, 5 აგვისტო
გაზეთი, სათაურით „მიწა ქართველი ერის საკუთრებაა“ აქვეყნებს საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდის თავმჯდომარის ელენე კახნიაშვილის მიმართვას ხელისუფლებისადმი, რომელიც მიწის ნაციონალიზაციას მოითხოვს და დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს იუგოსლავიის დაშლასა და მიწის უცხოელებზე გასხვისებას შორის.
http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=16671

კვირის პალიტრა, 15 აპრილი
გაზეთ „კვირის პალიტრის“ 15 აპრილის სტატია „გადახრიოკებულ დიცს ინდოელები დაეპატრონენ“ სათაურშივე შეიცავს ნეგატიურ კონოტაციას. პუბლიკაციაში ვხვდებით სტერეოტიპებს — „რომელი ინდოელები? შავები და წვერიანები რომ არიან?“

სოფელ დიცის მკვიდრი: „რაც ოსებს გადაურჩა, ახლა ჩვენებმა ინდოელებს მიჰყიდეს, მაგრამ როგორც ოსებთან ომისას არ დავტოვე სოფელი, არც ახლა ვარ ამ მიწის მიმტოვებელი, ეს ადგილები ჩვენი სისხლით არის შენარჩუნებული!“
http://www.kvirispalitra.ge/mmanager.html?view=edition&id=205

რასისტული გამოხატვა

კვირის ქრონიკა, 12-18 აგვისტო
თამარ ოქრუაშვილი: „ამ დროს ლურჯმა ზანგმა ჩაგვიარა და ქართულად გვითხრა, „გამარჯობა!“ შენი გამარჯობა კი მოვტ...ან, შენი! — მშვიდად პასუხობს ჩემი გულივით მოხუცი. — ესენი ვინ ჩამოგვიყარა? მიშამ და მაგისმა ხალხმა, არა? ისევ მაგ კანდელაკმა [გიორგი კანდელაკი, პარლამენტის წევრი]. ამათი სამშობლო გახდა ეს ჩვენი ქვეყანა“.

ასავალ-დასავალი, 12-18 აგვისტო
გიორგი გიგაური: „სააკაშვილის რეჟიმმა ზანგიც კი უსამართლოდ გაასამართლა“.

3.2. რელიგიური უმცირესობები

- ჟურნალისტთა მხრიდან რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაცია, მათი მწვალებლებად და სექტანტებად მოხსენიება ძირითადად სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის მიუღებლობის კონტექსტში ხდებოდა.
- „კვირის ქრონიკის“ სტატია (13-19 მაისი) მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ჟურნალისტმა ყოველგვარი დასაბუთებისა და ფაქტების გარეშე განავითაროს კონსპირაცია ამერიკის სპეცსამხურების გეგმებზე მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და რელიგიური შუღლის გაღვივების თაობაზე, რაც თავის მხრივ, ანტიამერიკულ განწყობებს ამკვიდრებს.
- გაზეთ „კვირის პალიტრის“ მასალა, რომელშიც აზერბაიჯანელ ინვესტორს რელიგიური მოტივით სამსახურიდან გათავისუფლებას ედავებიან, დაუბალანსებელია. ხდება აღნიშნული ბრალდების, როგორც დადასტურებული ფაქტის მოწოდება, რის საფუძველზეც ექსპერტის მიერ დაუსაბუთებელ განზოგადებას აქვს ადგილი.
- ნორაშენის ეკლესიის თემაზე მომზადებულ სტატიაში გაზეთმა „რეზონანსმა“ მართალია, ორივე მხარის პოზიცია წარმოადგინა, მაგრამ პუბლიკაცია გარკვეულ დაუზუსტებელ ფაქტებს შეიცავდა და საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებული დავის არსი არასრულყოფილად იყო გადმოცემული.
- სომხეთსა და საქართველოს შორის სადავო საკულტო ნაგებობების თემა გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ ცალხმრივად გააშუქა.
- „კვირის პალიტრის“ მიერ მკვლელობის რელიგიური მოტივის შესახებ მომზადებული მასალა რესპონდენტის ემოციურ ფონზე გაკეთებულ, გადაუმოწმებელ განცხადებას ეფუძნება და ირანელების მიმართ სიძულვილს აღვივებს.
- მონიტორინგის ქვეშ მყოფი მედია საშუალებებიდან, ყველაზე სრულყოფილად და კვალიფიციურად 14 ივნისს, სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა ტრადიციული ლოცვის გამართვის თემა, გაზეთმა „რეზონანსმა“ გააშუქა. სამთაწყაროში განვითარებულ მოვლენებს გაზეთებიდან ყველაზე თანმიმდევრულად „რეზონანსი“ და „24 საათი“ აშუქებდნენ.
- მნიშვნელოვანია, რომ ბეჭდურ მედიაში 17 მაისის მოვლენებთან კავშირში ეკლესიის როლზე აკადემიური ანალიტიკური პუბლიკაცია გამოქვეყნდა (გაზეთი „24 საათი“);
- მუსლიმთა რელიგიური დღესასწაულის რამაზანის შესახებ მასალის მომზადება (გაზეთი „24 საათი“, 9 ივლისი)[77] პოზიტიური გაშუქების მაგალითია.
- კვირის ქრონიკაში გამოქვეყნებული ერთადერთი პოზიტიური შეფასება სეკულარული სახელმწიფოს არსსა და მორწმუნეთა უფლებრივ თანასწორობაზე ფასიანი რეკლამის სახით არის გამოქვეყნებული და განსხვავებულია გაზეთის სარედაქციო პოლიტიკისგან, რომელიც ძირითადად დისკრიმინაციულია უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ.

მაგალითები:

კვირის ქრონიკა, 15 აპრილი
ხათუნა ელბაქიძე: „ნაცების ხელდასმით მოხდა საქართველოში იეღოველთა და სხვა უღმერთო სექტების მომრავლება – მოძლიერება, თანაც ისე, რომ ეს იეღოველები თავიანთ კანში ვეღარ ეტევიან...“

კვირის ქრონიკა, 13-19 მაისი
ხათუნა ელბაქიძე: „მათ ევალებოდათ აგრესიული სექტანტების მფარველობა... ქართული წმიდა-თაწმიდა ტრადიციების ხელყოფა, აჭარაში რელიგიური შუღლის ჩამოგდება მუსლიმან და ქრის-

[77] http://24saati.ge/index.php/category/news/2013-07-09/39274

ტიან ქართველებს შორის, შეჭირვებული მოსახლეობის 30 ვერცხლს დახარბება, ჭეშმარიტი სარწმუნოების უარყოფა და იეღოველთა ანდა, სხვა, არანაკლებ ცოდვილი სექტის „სარწმუნოების“ მიღება...

ამერიკის ხელისუფლებას, საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის თუ დასჭირდა, არც სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას მოერიდება საქართველოში. ჯერ არ უქნიათ, თუ რა?“
http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=3588&Title=rogor-gadaibires-amerikis-specsamsaxurebma-saqarTvelos-aTi-aTasobiT-moqalaqe&lang=ge

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი
ხათუნა ელბაქიძე: „მათ, გასაგები მიზეზის გამო, ასე ძვირად უღირდათ მამა ბასილის [რადიკალი მართლმადიდებელი მღვდელი, რომელიც რელიგიურ უმცირესობათა დარბევების გამო გაასამართლეს] დაპატიმრება, ეკლესიის ნგრევა და მართლმადიდებელი მრევლის დაწიოკება. თუმცა, გასაკვირიც დიდად არაფერია — სწორედ ამის შემდეგ აიწყვიტეს საქართველოში იეღოველებმა, ორმოცდაათიანელებმა და სხვა სჯულის სექტანტებმა და გიგა ბოკერიამ იმასაც კი მიაღწია, რომ ამ ამბიდან ერთ თვეში, იეღოველთა სექტა, როგორც რელიგიური მიმდინარეობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს რეგისტრაციაში იურიდიული სამართლის პირად გაატარებინა“.
http://www.alia.ge/com/news/view/927?fb_action_ids=447590392001527&fb_action_types=og.likes

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი
გიორგი გიგაური: „ეს ხომ სწორედ ის სააკაშვილია, რომელმაც ჯიბის პარლამენტს მიაღებინა კანონი, რომლითაც ფეხქვეშ გათელა ათასწლოვან ქართულ ეკლესიასთან გაფორმებული საკონსტიტუციო კონკორდატი და ჩვენი სამოციქულო ეკლესია მწვალებლურ სექტებთან უფლებრივად გაათანაბრა!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

ასავალ-დასავალი, 24-30 ივნისი
ჯაბა ხუბუა: „დავით პაიჭაძე დიდი ხანია, პოლიტიკურად, იდეურად და სულიერად „დაქორწინებულია“ გიგა ბოკერიაზე — ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერის ეროვნული ფასეულობების, მართლმადიდებლობისა და დედაეკლესიის გამოცხადებულ მტერზე! ბოკერია-პაიჭაძის წყვილი ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ იქიდან ახსოვს, ხელში რიყის ქვები რომ ეჭირათ და ქართველ მართლმადიდებლებს თავის გასახეთქად დასდევდნენ[78]!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/975/975.pdf

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი
გიორგი გიგაური: „...არ უნდა ამ ხალხს მათი ქრისტიანული სოფლების მინი-მექად და მინი-მედინად გადაქცევა და რა არის ამაში გასაკვირი?! თუმცა, ამ შემთხვევაში, ძაღლის თავი მუსლიმანურ რიტუალებში კი არა, სააკაშვილისა და მისი ბანდის ანტისახელმწიფოებრივად მომართულ გოგრებშია ჩამარხული!.. არადა, ეს პროვოკაციული მისვლა-მოსვლა მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილის რეჟიმი 1 ოქტომბრის არჩევნებში კატასტროფულად დამარცხდა და „ვარდოვანებმა“ საქართველოს ახალი მთავრობის დისკრედიტაციისა და ქვეყნის დესტაბილიზაციის ავადმყოფური გეგმების მოფიქრება დაიწყეს! დიახ, წინწყაროში, ნიგვიზიანსა თუ სამთაწყაროში მოსახლოების რელიგიურ დაპირისპირების დივერსიულ აქტებს სწორედ სააკაშვილი, ბოკერია დ ამათი ბანდა

[78] ავტორი არასწორად აღწერს ინციდენტს, როდესაც ჟურნალისტ დავით პაიჭაძეს და ყოფილ უფლებადამცველ გიგა ბოკერიას რადიკალი მართლმადიდებელი მღვდლის მამა ბასილის მომხრეები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

გეგმავენ! შემთხვევითი არ არის, რომ ამ ინციდენტებისას აქ დაწანწალებენ „თავისუფლების ინსტიტიტის“ ისეთი ცნობილი ტურები, როგორებიც არიან რელიგიათმცოდნე ბექა მინდიაშვილი და ძმანი მისნი!..

ეს ხომ სწორედ ის ბანდაა, რომელმაც საქართველოს ათასწლოვანი მართლმადიდებლური ეკლესია უფლებებით სხვადასხვა ჯურის სექტებთან გაათანაბრა!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

ასავალ-დასავალი, 8-14 ივლისი
გიორგი გიგაური: „სააკაშვილი სულიერად გვფრცქვნიდა, როდესაც იეღოველთა მწვალებლური სექტის დასაცავად გლდანის ეკლესია სპეცრაზმის შტურმით აიღო და თავის ჯალათებს წმინდა საკურთხველი წააბილწვინა!.. აჭარა და ბათუმი კი, პრაქტიკულად, თურქებს გადაულოცა!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/977/977.pdf

ასავალ-დასავალი, 12-18 აგვისტო
სტატია, სათაურით „დაგიდგამთ 24-მეტრიან მინარეთს სწრაფად და იაფად, ანუ ვინ აღვივებს რელიგიურ კონფლიქტს ადიგენში?!“ ადიგენის სოფელ ჭელაში მეჩეთზე მინარეთის დამონტაჟებასთან დაკავშირებულ კონფრონტაციას შეეხება.
გიორგი გიგაური: „არც იმაზე ღირს თვალის დახუჭვა, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთი ძალასა და ფულს არ ზოგავს საქართველოში რელიგიური ექსპანსიისთვის. როგორც ხედავთ, ჩვენს მეზობლებს უკვე ერთობ ხელსაყრელი და სარფიანი „მობილური მინარეთების“ ბიზნესიც კარგად აუწყვიათ!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/982/982.pdf

კვირის პალიტრა, 29 აპრილი-5 მაისი
გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს გიორგი ოქრუაშვილთან, რომლის მტკიცებით, ის აზერბაიჯანული შპს „კავკასკაბელიდან“ მისი მრწამსის — მართლმადიდებლობის გამო დაითხოვეს. მსგავსი ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადია, თუმცა მასალის ავტორს სათანადო ზომები არ მიუღია თავად ფაქტის ნამდვილობის დასადგენად.

პირველ რიგში, ჟურნალისტი უნდა დალოდებოდა ბრალდების ადრესატის ელჩინ ჰუმატოვის დაპირებულ ვრცელ კომენტარს, რაც ფაქტის გადამოწმების შესაძლებლობას მისცემდა მას და მასალა მხოლოდ ამის შემდეგ გამოექვეყნებინა. ჟურნალისტს ასევე შეეძლო, გაერკვია საწარმოს სხვა თანამშრომლებისგან, ექმნებოდათ თუ არა მათ ანალოგიური პრობლემები სამსახურში.

გარდა იმისა, რომ ჟურნალისტს არ გამოუჩენია სათანადო ძალისხმევა თავად ფაქტის დაზუსტების თვალსაზრისით, სტატიაში მოყვანილია ექსპერტ მამუკა არეშიძის შეფასებები, რომელიც არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ეთნიკური ნიშნით დაუსაბუთებელ განზოგადებების და არარელევანტური პარალელების მოყვანას ახდენს, შედეგად ინვესტორის ქართველთა მჩაგვრელად წარმოჩენა ხდება:

მამუკა არეშიძე, ექსპერტი: „საგულისხმოა ისიც, რომ წინა ხელისუფლებამ თავზე დაგვასვა ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის ფინანსური და ბიზნესჯგუფები... საქართველოში რომ ქართველების მდგომარეობა არ არის სახარბიელო, იმიტომ არის მთელი ევროპა ქართველებით მოფენილი. იქ ათასგვარ დამცირებას იტანენ, მაგრამ უცხოეთში შეიძლება ეს აიტანო, საკუთარ სამშობლოში — ვერა! ქართველს რელიგიის შეცვლა რომ ისლამურ ქვეყანაში მოსთხოვონ, ეს კიდევ შემიძლია გავიგო, მაგრამ როდესაც ამას საკუთარ სამშობლოში სთხოვ, წარმოუდგენელი და ძალიან გამაღიზიანებელია.

რამდენადაც ვიცი, ასევე არასახარბიელო მდგომარეობაში არიან ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ჩინელებთან მუშაობენ ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე... ქართველების დაჩაგვრას არ შევურიგდები, ინვესტორი საიდანაც უნდა იყოს ჩამოსული".

კვირის პალიტრა, 22-28 ივლისი

სტატია, სათაურით „რას ედავებიან სომეხი მეცნირები ქართველებს" სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობების ეტიმოლოგიას შეეხება. მასალაში არ არის წარმოდგენილი სომხური მხარის პოზციაა, არც წყარო, სადაც ქართულ ტაძრებზე სომხური მხარის პრეტენზია იქნებოდა მითითებული. ჟურნალისტი სუბიექტურ მიდგომას ავლენს, როდესაც რესპონდენტს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს, გიორგი გაგოშიძეს უსვამს შეკითხვას საქართველოს ტერიტორიაზე სადავო ეკლესიების შესახებაც.

ეკა ლომიძე, ჟურნალისტი: „სომეხი მეცნიერების ნაწილი მხოლოდ ლორე-ტაშირის კი არა, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლების დიდ ნაწილსაც სომხურად მიიჩნევს. რა დაცვის მექანიზმი არსებობს, რომ ეს ტაძრები, როგორც საქართველოს ისტორიული და კულტურული საკუთრება, სხვამ არ მიითვისოს?"
http://www.kvirispalitra.ge/public/17975-ras-edavebian-somekhi-mecnierebi-qarthvelebs.html

კვირის პალიტრა, 29 ივლისი-4აგვისტო

ტელეკომპანია „იმედის" მსგავსად, „კვირის პალიტრის" მიერ მომზადებულ მასალაში, ბათუმში მომხდარ მარიამ კოჩალაძის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელშიც ბრალი ირანის მოქალაქეს ედება, ერთ-ერთ მოტივად რელიგიური მსხვერპლთშეწირვაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ვერსია, რომელიც გარდაცვლილის ნათლიას ეკუთვნის და ემოციურ ფონზეა გაკეთებული, ზოგადად ირანელთა მიმართ ქსენოფობიურ განცხადებასაც შეიცავს.

ნატო კვინტრაძე, მარიამ კოჩალიძის ნათლია: „მოვითხოვთ, არც ერთი ირანელი არ შემოვიდეს საქართველოში... მარიამი წმინდა ქრისტიანი იყო. ვფიქრობთ, მკვლელმა შეიწირა მსხვერპლად".

ჟურნალისტს არ მიუღია გონივრული ზომები ემოციურ ფონზე გაკეთებული ამ ვერსიის გადასამოწმებლად, მათ შორის არც ოფიციალური გამოძიებისთვის მიუმართავს.
http://www.kvirispalitra.ge/justice/18103-mariam-kochalidze-mkvlels-icnobda.html

რეზონანსი, 3 ივნისი

პოზიტიურია გაზეთის დაინტერესება სომხურ და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის სადავო ნორაშენის ეკლესიის თემით. თუმცა, სტატიაში ბალანსი მხოლოდ ფორმალურად არის დაცულია: ჟურნალისტი უბრალოდ დიქტაფონის სიზუსტით გადმოსცემს ორივე მხარის პოზიციას და არ ცდილობს მკითხველი არგუმენტების და ფაქტების სიზუსტეში გაარკვიოს, გადაამოწმოს გარკვეული ინფორმაცია, რომელსაც ორივე მხარე ავრცელებს. მაგალითად, ნორაშენის ეკლესიასთან დაკავშირებით გამოთქმულ პრეტენზიებზე საპატრიარქოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ სომხებს 600 ეკლესიაზე აქვთ პრეტენზია, რისი ოფიცილურად გადამოწმებაც ჟურნალისტს მეორე მხარესთან შეეძლო. ინფორმაცია თბილისში სადავო კიდევ 5 ტაძრის შესახებ საზოგადოებრივ მაუწყებელს ბეგრაუნდის სახით სიუჟეტში ჰქონდა აღნიშნული. არასწორი ინფორმაციის საფუძველზე კი, ერთ-ერთი რესპონდენტი, მიქაელ ბოტკოველი არასწორ განზოგადებას და სტერეოტიპიზაციას ახდენს.

მიქაელ ბოტკოველი, საპატრიარქო: „სომხების თქმით, მათ საქართველოში 600 ტაძარი აქვთ, ეს ხომ არასერიოზულია. მაშინ საქართველო კი არა სომხეთი ყოფილა. იმდენ არასერიოზულ განცხადებას აკეთებენ, რომ როცა სიმართლეს ამბობენ, უკვე ამაშიც ეჭვი გვეპარება".

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ჟურნალისტის ფუნქცია არ არის მხოლოდ ერთი მხარის ნათქვამი მეორეზე (hearsay) გადმოცეს, არამედ მიაწოდოს ინფორმაცია მკითხველს სადავო საკულტო ნაგებობის ზუსტი რაოდენობის შესახებ, რაც მეტ სიცხადეს შეიტანდა საკითხში.

ამასთანავე მხარეების მიერ გაცხადებულ ინფორმაციაში სხვა ფაქტობრივი უზუსტობებიც იკვეთება: ლევონ ისახანიანი ეკლესიის აგების პერიოდად მე-15 საუკუნეს ასახელებს, მიქაელ ბოტკოველი მას მე-17-18 საუკუნეში ქართული ეკლესიების "გასომხებას" მიაწერს. ჟურნალისტს შეეძლო დამოუკიდებელ ექსპერტთან გაერკვია, რა წარმომავლობის არქიტექტურასთან გვაქვს საქმე, ასევე ისტორიკოსთან და ხელოვნებათმცოდნესთან გადაემოწმებინა ინფორმაცია საფლავის ქვებზე და ფრესკებზე წარწერების წაშლის შესახებ და მათი ინფორმაციის საფუძველზე დაესვა საპატრიარქოს წარმომადგენლისთვის შეკითხვა აღნიშნულთან დაკავშირებით.
http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=15829

რეზონანსი, 15 ივნისი
ჟურნალისტმა ეკა ბასილაიამ არათუ სრულყოფილად ასახა ის, რომ 14 ივნისს სამთაწყაროში ლოცვის ჩატარება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის ადგილზე ჩასვლის შედეგად გახდა შესაძლებელი, არამედ პრობლემის წარმოქმნის წინა ისტორიაც შესთავაზა მკითხველს, მათ შორის ნიგვზიანსა და წინწყაროში განვითარებული მოვლენების ჩათვლით.

ჟურნალისტმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ლოცვა გაიმართა, მაგრამ სავარაუდოდ ფსიქოლოგიური წნეხის გამო, მასში ადგილობრივ მუსლიმებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ერთის მხრივ, რედაქცია გადმოსცმეს სოფლის რწმუნებულის გულო ნადირაშვილის სიტყვებს, რომ მუსლიმებს ლოცვის უფლება აქვთ და მას ვერავინ ხელყოფს, ამავე დროს დაკვირვების ქვეშ მყოფ სხვა მედია საშუალებებისგან განსხვავებით, ჟურნალისტი, კახეთის საინფორმაციო ცენტრზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ადრინდელ, რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებსაც იხსენებს. დედოფლისწყაროს გამგებლის ირაკლი შიოლაშვილისა და სოფლის რწმუნებულის გულო ნადირაშვილის ადრინდელი განცხადებების მოყვანა (რომ ისინი უმრავლესობის ინტერესებს დაიცავენ, უმრავლესობა კი სამლოცველოს გახსნის წინააღმდეგია) მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, დაინახოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის (გულო ნადირაშვილის) პოზიციის ცვლილება სამთაწყაროში სახელმწიფო მინისტრის ჩასვლის შემდეგ.

ცრურწმენები

ასავალ-დასავალი, 15-21 ივლისი
სტატიაში, რომელშიც ჟურნალისტი საბავშვო გმირებს „ადამიან-ობობას", „ადამიან-ღამურას", ასევე კომპანია „ნატახტარის" რეკლამას სატანისტურად აცხადებს, შემდეგ პასაჟს ვხვდებით:

გიორგი გიგაური: „როდესაც „ნაცმოს"-ს ფიურერი და „რუსთავი 2"-ის რეალური მეპატრონე [მიხეილ სააკაშვილი] ცერა და საჩვენებელ თითებს რკალად შეართებს და დანარჩენ სამ თითს ჰაერში გაპარჭყავს, ყველამ იცოდეს, რომ ის ამით მხეცის ნიშანს — „666"-ს გამოხატავს!"
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/978/978.pdf

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი
ჟურნალისტი გიორგი გიგაური ვრცელ სტატიას უთმობს ცრურწმენებს ამერიკულ ერთდოლარიან-

სა და სხვა სიმბოლიკაში მხეცის ნიშნის 666-ის, ასევე საბავშვო არხ Nickelodeon-ის ლოგოში — სატანისტური და ამერიკის პრეზიდენტების ქანდაკებებსა თუ ფოტოებში მასონური ნიშნების შესახებ. http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

კვირის პალიტრა, 29 აპრილი-5 მაისი
ჟურნალისტ ზვიად სეხნიაშვილის მთელი სტატია, რომელიც სასულიერო პირთან სტუმრობას ასახავს, ცრურწმენებზეა აგებული.

3.3. სექსუალური უმცირესობები

- უნდა აღინიშნოს, რომ მედიასა და საჯარო სივრცეში რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციას შორის მკაფიო ზღვარი არ არსებობს, რაც დიდწილად პოლიტიკური დისკურსისთვისაა მახასიათებელი.
- გაზეთების „ასავალ-დასავალის", „კვირის ქრონიკის" და „ალიას" სარედაქციო პოლიტიკა მკაფიოდ ჰომოფობიურია და შეიცავს როგორც დისკრიმინაციულ გამოხატვებს და სიძულვილის ენას, ასევე სხვადასხვა პოლიტიკურ სპეკულაციებს სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებით, შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიასა და დაუსაბუთებელ პარალელებს. აღნიშნულ მედია საშუალებებში უმცირესობები ძირითად მასალების ობიექტებად გვევლინებიან და არა სუბიექტებად, რადგან სექსუალურ უმცირესობათა აზრი საერთოდ უგულვებელყოფილია.
- ხდება ჰომოსექსუალობის, როგორც დასავლეთის მიერ თავსმოხვეული მოვლენის წარმოჩენა და ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, ამასთანავე, ნაციონალური მოძრაობის დაუსაბუთებელი დაკავშირება სექსუალურ უმცირესობებთან, ხოლო ახალი ხელისუფლების ანტიეროვნულ ძალად წარმოჩენა.
- ჟურნალისტები ხშირად თავად გამოხატავდნენ თეოკრატიულ მიდგომებს სექსუალურ უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას („კვირის ქრონიკა", 20-26 მაისი)[79]. მაგალითად, გაზეთ „ალიას" (17-20 მაისი) ჟურნალისტი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი 17 მაისის აქციის ორგანიზატორის მიმართ შეკითხვას სამართლებრივი კონტექსტის ნაცვლად, რელიგიური ლიდერის მორალური ავტორიტეტის აზრის გათვალისწინების კუთხით სვამს[80].
- „ასავალ-დასავალი" კონკრეტული პირის, ორგანიზაცია პატრიოტის ლიდერის გიორგი მაზმანიანის სექსუალური ორიენტაციის საკითხს ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური აქციის კონტექსტში განიხილავს და მას დამამცირებელი ტერმინებით „ქათმად", „პეტუხად" და ქალის სახელით — „ანჟელად" მოიხსენიებს.
- „ასავალ-დასავალი" ხელისუფლების მიერ მომზადებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და თანასწორობის ინსპექტორის ინსტიტუტს მხოლოდ სექსუალურ უმცირესობათა დაცვასთან („გეიომბუდსმენი") და დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ ინიციატივად წარმოაჩენდა.
- „კვირის ქრონიკა" ნაციონალური მოძრაობის აქციის სექსუალურ უმცირესობებთან, ასევე სექსუალურ უმცირესობათა აქციის ნაციონალურ მოძრაობასთან დაუსაბუთებელ დაკავშირებას სისტემატურად ახდენდა.
- გაზეთმა „კვირის პალიტრამ" ყოველგვარი სარედაქციო კომენტარის გარეშე მოახდინა მომღერალ თამარ ივერის მიერ მის ფეისბუკის გვერდზე გამოქვეყნებული მიმართვის ტირაჟირება, რო-

---

[79] **ხათუნა ელბაქიძე**, ჟურნალისტი: „პოლიციელი ჯერ ქრისტიანია და მერე პოლიციელი [17 მაისის აქციის შესახებ]". http://www.alia.ge/com/news/view/927?fb_action_ids=447590392001527&fb_action_types=og.likes

[80] **შორენა გოგოლაძე:** „მხოლოდ პოლიციას? პატრიარქის მოწოდება არ არის მნიშვნელოვანი თქვენთვის?"

მელიც სიძულვილის ენას შეიცავდა და არასრულყოფილად ასახა განცხადების გამოქვეყნების შემდეგ განვითარებული მოვლენები.

- „კვირის პალიტრის“ ერთადერთი პოზიტიური სტატია 17 მაისის მოვლენებზე ჟურნალისტ მერაბ მეტრეველის საავტორო პუბლიკაციაა, რომელიც არ ამართლებს ძალადობას და განსხვავებული მოსაზრებების მშვიდობიანი ფორმით გამოხატვის მნიშვნელობაზე საუბრობს. თუმცა, სტატიაში მოყვანილი პასაჟი — „ვინმე გეუბნებათ, არ გააპროტესტოთ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაო?“ — სრულიად გაუგებარ ცნებას „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას“ ამკვიდრებს, რომლის შინაარსის დაკონკრეტებას ჟურნალისტები არ ცდილობენ.
- გაზეთები „24 საათი“ და „რეზონანსი“ ვრცლად აშუქებდნენ 17 მაისისა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

მაგალითები:

ასავალ-დასავალი

22-28 აპრილი

გიორგი გიგაური: „ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას შეუძლებელია, რომ საერთო ჰქონდეს 19 აპრილის სამარცხვინო სპექტაკლის დროს სცენაზე სააკოვის გვერდით მოყელყელავე ციხის პედერასტ-ქათამად ცნობილ ბრიგადირთან გიორგი („ანჟელა“) მაზმანიანთან“!
http://www.asavali.ge/archive/2013/966/files/1-41pm5.pdf

29 აპრილი-5 მაისი

თეა ასათიანი: „ძველი და ცნობილი ანეკდოტია... თუ შენ გაქვს სახლში აკვარიუმი... ბუნებაში ქეიფი და დალევაც უნდა გიყვარდეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალებიც გიყვარს და პედარასტი არა ხარ. მაშასადამე თუ სახლში აკვარიუმი არა გაქვს, ლოგიკურად იმას ნიშნავს, რომ პედერასტი ხარ... ზუსტად ვერ გეტყვით რატომ ჩაანაცვლა „აი ია“ „აკვარიუმმა“, თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დღეს განათლების მთავარ კრიტერიუმად უნარ-ჩვევები ითვლება და იმასაც გავიხსენებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დახმარებით, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები პირდაპირ სკოლების წინ აწყობდნენ „გეი-ფართებს“, შესაძლებელია გარკვეული ლოგიკური დასკვნა გამოვიტანოთ“.

29 აპრილი-5 მაისი

ზაზა დავითაია: „სააკოვ-მაზმანიანი „ეროვნული მოძრაობა“ არატრადიციული ორიენტაციით უფსკრულისაკენ მიემართება!.. ვაჟკაცების საქართველოში არატრადიციული ორიენტაციის ადმიანები დემონსტრაციებს აწყობენ, დემოკრატიის და ადამინის უფლებების საფარქვეშ...

„ანჟელაზე“ კი ისეთი ხმები დადის პატიოსან კაცს გამეორება რომ შეგვრცხვება... ციხეში შესვლისთანავე მან ჩვეულებრივ საკანში კი არა „საქათმეში“ დაიდო ბინა, რადგან არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელია... „ქათამიც“ ადამიანია და უფლებები მასაც გააჩნია, მაგრამ თავის დროზე მას ეს სახელი სწორედ იმიტომ ეწოდა, რომ საზოგადოება, მის ტრადიციებს განუდგა და არატრადიციული ორიენტაცია გამოავლინა“.

13-19 მაისი

ზაზა დავითაია: „საქართველო პარადოქსული ქვეყანაა, სადაც არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის პირთა მანიფესტაციას, თურმე, შეიძლება ევროკავშირის ელჩები შეუერთდნენ და ფარად გადაეფარონ, ხოლო საკუთარი მოქალაქეების მკვლელი, უამრავი დანაშაულის ჩამდენი რეჟიმის წინააღმდეგ ყოფილ პოლიტპატიმართა სამართლიანი პროტესტი ხულიგნობად და კრიმინალად მონათლონ“...

მასალაში ასევე აღნიშნულია, რომ რედაქცია მეუფე იობის კურთხევის ქვეშაა.

27 მაისი-2 ივნისი

თეა ასათიანი: „არ არის გამორიცხული, რომ ქართველ ლგბტ-ებს სწორედ „პუსი რაიოტის“ ილეთის გამეროება ჰქონდათ განზრახული და მადლობა ღმერთს, რომ 17 მაისს რუსთველის გამზირზე დაგეგმილი აქცია ჩაეშალათ, თორემ ეს გარყვნილთა ჯოგი ქაშუეთის ეკლესიაში რომ შევარდნილიყო და იქ ტყლარჭვა-გრეხა დაეწყო, ვერც სასულერო პირები, ვერც პოლიცია ვერაფერს გახდებოდა და უეჭველად სისხლი დაიღვრებოდა...

[უფლებდამაცველებს]: ნუ დგამთ ფეხს ამ ავადმყოფების ცოდვაში და ნუ აქეზებთ მკრეხელობისა და გარყვნილებისაკენ... მითუმეტეს დღეს, როცა სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ ლეშებად იქცნენ, ეს მუტანტების ხროვაღა შერჩათ ერთადერთ დასაყრდენად“.

27 მაისი-2 ივნისი

გიორგი გიგაური: „17 მაისს რუსთაველის გამზირზე მართლმადიდებელ ქართველებსა და პედარასტიის მქადაგებელთა შორის მომხდარმა დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ ამოატივტივა ვინმე ლაშა ბაქრაძის ფუყე პერსონა! დიახ, ლაშა აკაკის ძე ბაქარაძეს იმ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად გამოგვეცხადა, რომელსაც სრულიად თამამად შეიძლება, ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური და ანტისაეკლესიო ფრონტი ვუწოდოთ!“

27 მაისი-2 ივნისი

გიორგი გიგაური: „და რა უფლება აქვთ, სიძულვილის ენაზე და ჰომოფობიაზე მელაპარაკონ მაჯლაჯუნები, რომლებიც წლებია, იმათ ძღვენს მიირთმევენ, ვინც ათობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ათასობით ბავშვი მოკლა ერაყსა თუ ავღანეთში?!“

„ან გაპედერასტებით, ანდა — ნატოს-ს დაემშვიდობეთო!.. თუ ჩვენი დემოკრატიულობა მხოლოდ იმით განისაზღვრება, საქართველოში რამდენი გეი-პარადი ჩატარდება და რამდენი პედერასტი გათხოვდება თავისი „ოცნების მამაკაცზე“, მაშინ ქართველები ხმამაღლა იტყვიან, რომ არ უნდათ ასეთი დემოკრატია!“

27 მაისი-2 ივნისი

სალომე გოგიაშვილი, ტელეწამყვანი: „თუ დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ გარშემო ბევრი პედარასტი უნდა გვყავდეს, კაცმა ქალი აღარ მოისურვოს, უნდა გადავჯიშდეთ და მამაკაცებმა კაბით იარონ, ასეთი დემოკრატია არ მინდა“.

27 მაისი-2 ივნისი

გიორგი გიგაური: „ანუ, გამოდის, ეს ავადმყოფობა მართლა „გადამდები“ ყოფილა!“

3-9 ივნისი

გიორგი გიგაური: „ლაშა, მეგობარო, „პიდარმონი“ თამამად შეგვიძლია „პედარასტის“ ერთგვარ მოფერებით ფორმიდანაც განვიხილოთ და მე თუ მკითხავ, უფრო გიხდება, ვიდრე უხეში და მკვეთრი „პედარასტი“ და „მეტ...აკე!“ ...ამ დეგენერატ ლაშა ბუღაძეს (მართლაც „კლინიკურ შემთხვევას“) ემშობლიურება პედარასტ პიდარმონები და სძულს ჩვენი დედა ეკლესია, პატრიარქი და ასიათასიანი მრველი!“

3-9 ივნისი

გიორგი გიგაური: „ანუ, საქართველოში რომელიღაც პედარასტის უკანალზე ბუზი გაუფრთხილებ-

ლად რომ დაჯდეს, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი თვალების ბრიალით თუ ლამის ამერიკის ბირთვული ძალების საბრძოლო მზადყოფნას გამოაცხადებს...“

10-16 ივნისი

გიორგი გუგაური: „რა თქმა უნდა ე.წ. ცივილიზებული სამყაროს ლიბერასტულ ელიტას მოეწონებოდა მაია ფანჯიკიძის ბერწი ისტორიული განსწავლულობა და ელამი პოლიტიკური მსოფლხედვა, მაგრამ ეს ქალბატონი ხომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია და არა მაგალითად გერმანიისა! ანუ ქვეყნის, რომელსაც უკვე ჰყავს მთავარ დიპლომატად სერ გვიდო ვესტერველე — ოფიცილაური ჰომოსექსუალი, რომელმაც ამ ორი წლის წინათ დიდი ზეიმით იქორწინა თავის მსგავს მამაკაცზე და ბედნიერი ლგბტ ოჯახის პატრონია“.

17-23 ივნისი

გიორგი გიგაური: „პირდაპირ ვიტყვი, ის ვინც საქართველოში 17 მაისი დაგეგმა და უდიდესი პროვოკაცია მოაწყო, პედარასტები არ არიან! ესენი უფრო უარესები, სულიერი პედარასტები და იდეოლოგიური მამათმავლები არიან!..

ამ, უკაცრავად და, ლგბტ შაბაშს ხელმძღვანელობდა ვინმე ქეთევან ხუციშვილი [სოროსის ფონდის ხელმძღვანელი საქართველოში]... ანუ, საქართველოში ლგბტ პროპაგანდისა და ანტიქართული, პედარასტული ძირგამომთხრელი საქმიანობის შტაბი ძია სოროსის ბუნაგია!..

დიახ, ეს არის უბინძურესი, უმზაკვრულესი იდეოლოგია, რომელიც ჯერ გეი-აღლუმებს შემოგვაპარებს, შემდეგ ერთსქესიან ქორწინებებს დაგვაკანონებინებს, შემდეგ ბავშვების შვილად აყვანას გვთხოვს და ყველაფერ ამას თუ მიაღწევენ, მერე, ჰოლანდიის მსგავსად, კანონში ჩაგვაწერინებენ, რომ ბავშვების სექსუალური ცხოვრების ასაკი 12 წლით უნდა განისაზღვროს (ანუ პედოფილია კანონიერი გახდეს!) და ისეთი სიბილწეები, როგორც არის ინცესტი, ზოოფილია, ნეკროფილია და ასე შემდეგ, საქართველოში ისეთივე ჩვეულებრივი და უწყინარი რამ გახდეს, რომ როგორც, მაგალითად, ცაციაობაა!

უსინდისოდ ტყუიან ისინი, ვინც, პრაქტიკულად, ყველა ტელეეთერიდან გვიმტკიცებს, რომ ჰომოსექსუალიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა და ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/974/974.pdf

1-7 ივლისი

გიორგი გიგაური: „როგორც ჩანს, ჯეიმს აპატურაისთვის სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან კაცებისა და ბავშვების გაუპატიურება დიდი დანაშაული არ არის!

ახლა მითხარით, ძვირფასო მკითხველებო, რა განსხვავებაა გაუპატიურებასა და გააპატურაებას შორის?! დიახ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ხელფეხშეკრული ადამიანების გაუპატიურება გააპატურაების ტოლფასია!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

15-21 ივლისი

გიორგი გიგაური: „მოლდოვას ლიბერალურ მთავრობას ღიად დაუპირისპირდა ამ ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ანტიდისკრიმინაციულ კანონს „დასავლეთის გარყვნილ შეკვეთასა და ქვეყანაში „სექსუალური უმცირესობის უმრავლესობაზე დიქტატის დამყარებად აფასებს!.. მოკლედ, საქართველოსი არ იყოს, მოლდოვასაც ერთგვარ ტესტს უტარებენ: თუ ევროკავშირთან დაახლოება გსურთ, განსაკუთრებულად მოუფრთხილდით სექსუალურ უმცირესობებსო!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/978/978.pdf

15-21 ივლისი

გიორგი გიგაური: „ამერიკაში გეებმა გეი-აღლუმის გასაპროტესტებად მისული ქრისტიანები სცემეს! მოკლედ, ნამეტნავად ცივილიზებულ და დემოკრატიულ ამერიკაში გეები და მათი მხარდამჭერები უკვე უმრავლესობაში არიან, ქრისტიანები კი — ღრმა უმცირესობაში!..

ასე რომ, ჩვენ საქმე გვაქვს მიზანმიმართულად და კარგად გათვლილ გეგმასთან, რომლის შედეგადაც... მართლმადიდებლებს ფსიქიკურად აშლილ ადამიანებადაც გამოგვაცხადებენ და გეი-აღლუმებზე გასაპროტესტებლად მისულებს, როგორც ღრმა უმცირესობას, კარგა გვარიანად მიგვნაყავენ და დაგვწიხლავენ ჩვენებური დაკუნთული პედარასტები!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/978/978.pdf

22-28 ივლისი

გიორგი გიგაური: „ანუ ჩვენ გვეყოლება არა მხოლოდ სექსუალურ უმცირესობებზე გადაფოფრილი სახალხო დამცველი, არამედ სპეციალიზებული „გეი-ომბუდსმენიც?“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

22-28 ივლისი

ალეკო ასლანიშვილი, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი: „მე არ ვიცი, რამდენი პედარასტია დღეს საქართველოში, ოღონდ, ცხადია განუზომლად მეტი, ვიდრე ჩემს ყმაწვილკაცობაში იყო... ყოველ მათგანზე შემწედ და მფარველად თითო არასამთავრობო მაინც მოდის. ყოველი პედარასტის უკანალს ეროვნულ ღირებულებას სძენენ და მის „მაჯისცემას“ ფხიზლად და ფაქიზად აყურადებენ“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

29 ივლისი-4 აგვისტო

არნო ხიდირბეგიშვილი, სააგენტო საქინფორმი: „ეს ყველაფერი მათი [ჰომოსექსუალების] ამაზრზენი ნატურალისტური ჟესტების თანხლებით ხდებოდა [რუსთავი 2-ის დილის ეთერში გასული MTV-ის Rooom Raider-ის გადაცემის შესახებ]“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

29 ივლისი-4აგვისტო

გიორგი გიგაური: „დიახ, სწორედ, სააკაშვილის „ნაცმოს“ მიერ არის მოწყობილი 17 მაისის პროვოკაცია, რომელიც იმისთვის იყო დაგეგმილი, რომ აღშფოთებულ და შეურაცხყოფილ ქართველობას იმ დღეს რუსთაველის გამზირზე, რომელიღაც პედარასტი შემოკვდომოდა და შემდეგ „ნაცებს“ მთელი მსოფლიოს გასაგონად ეკივლათ, ნახეთ რა ჰომოფობიური ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის მმართველობაშიო!..

იმედია, ლესბოსელები არ გვიწყენენ, თუ მათი კუთვნილი ადგილი აბრევიატურაში „ლგბტ“ ამიერიდან ნაციონალებით შეიცვლება და ნგბტ ასე გაიშიფრება — ნაციონალები, გეები, ბისექსუალები და ტრანსექსუალები!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

29 ივლისი-4აგვისტო

გიორგი გიგაური: „17 მაისს რუსთაველის გამზირზე საქართველოს გაპედარასტების წინააღმდეგ გამოსული 100 ათასამდე ქართველი და სულ ცოტა, სახლში დარჩენილი კიდევ 20 იმდენი ადამიანი ბიძინა ივანიშვილისგან პასუხს ელის ერთ მარტივ კითხვაზე: როგორ უნდა აგვიხდინოს მან ქართული ოცნება ანტიქართულ, ქართველთმოძულე რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად?!“

„საქართველოს ყველა პატრიორტი პრინციპულად უნდა დაუპირისპირდეს ჩვენი სამშობლოს გაპედარასტების მიზანმიმართულ და კარგად ორგანიზებულ კამპანიას!.. თუ ჩვენ დავუშვით და შევეგუეთ რუსთველის გამზირზე პედარასტებისა და ლეზბოსელების თარეშს, თუ ჩვენ თვალი დავხუჭეთ პედარასტიის აშკარა პროპაგანდაზე, მაშინ სულ მალე მომდევნო საფეხურზე „აგვამაღლებენ“, რასაც ერთსქესიანთა ქორწინებისა და გეი-ოჯახებისთვის ბავშვების აყვანის უფლების დაკანონება ჰქვია!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

კვირის ქრონიკა

15 აპრილი
გელა ზედელაშვილი: „ადამიანების დიდი ნაწილი მხარს მიჭერს, პედერასტებისა და ლესბოსელების აღვირახსნილ კამპანიას ერთად უნდა შევებრძოლოთ.... თურმე ჰომოსექსუალიზმი და მამათმავლობა გაუკუღმართებული ცხოვრება კი არა, პოლიტიკური ბრძოლა ყოფილა. ისე, ხშირად მიკვირდა, რატომ არიან სხვადასხვა მთავრობებში ამდენი პედერასტები და მეტრაკეები-მეთქი“.

ხათუნა ელბაქიძე: „19 აპრილის აქციის მხარდაჭერა თავისთავად ნიშნავს იმას, რომ თქვენ მხარს უჭერთ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ამერიკელი პატრონების მიზანმიმართულ პოლიტიკას – გეების, ლესბოსელების, ტრანსექსუალებისა და სხვა მათნაირი დედის დაწყევლილი ადამიანების უფლებების დაკანონებას“.

13-19 მაისი
ხათუნა ელბაქიძე: „რა, აუცილებლად პედერასტი და ლესბოსელი უნდა იყო [გიორგი ფარესიშვილის შესახებ], პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიები რომ მოითხოვო და „ნაციონალები“ მხარში დაგიდგნენ?”
http://www.alia.ge/com/news/view/908#prettyPhoto

20-26 მაისი
ხათუნა ელბაქიძე: „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაქოქილმა, მხარდაჭერილმა და მათივე მეცადინეობით უცხოური გრანტებით დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დარაზმეს „სრულიად საქართველოს სექსუალური უმცირესობა“ და რუსთაველზე აღლუმის ჩატარება მოისურვეს... გეიაღლუმის ჩატარების მოწინააღმდეგეებმა, ანუ ზნეობრივმა ადამიანებმა, ამ უკუღმართი აქციის საპირისპირო, ანუ უზნეობის საწინააღმდეგო აქცია დაგეგმეს... გიგა ბოკერიასა და ამ ურჯულოთა კასტის სხვა წარმომადგენლებს, გულით სურთ, რომ პოლიტიკური იქნება თუ აპოლიტიკური, ნებისმიერი სახის აქციაზე სისხლის გუბეები დადგეს“.
http://www.alia.ge/com/news/view/927?fb_action_ids=447590392001527&fb_action_types=og.likes

20-26 მაისი
ნინო სამხარაძე: „რატომ გახდა ჰომოსექსუალისტების უკანალის დაცვა ქვეყნის ეროვნული ტრაგედია, ან რატომ დაბრმავდა მსოფლიო და ცივილიზებული ევროპა... იგნორს უკეთებს უმრავლესობის სურვილს, უკაცრავად და ამ ათიოდე პედარასტის უკანალი თუ ასეთი მნიშვნელოვანია, არც ნატო გვინდა და არც ევროკავშირი“.

27 მაისი-2ივნისი
ნინო სამხარაძე: „ქართულმა ეკლესიამ [17 მაისს] აჩვენა ძლიერება, ქრისტიანული ტრადიცების დაცვა, თუმცა – ძალიან ბევრმა იკითხა, სად იყვით მაშინ, როცა სააკაშვილის რეჟიმი აყენებდა

სისხლის გუბეებს, კლავდა ადამიანებს... რატომ არ იყო ასეთი ერთსულოვანი პროტესტი ეკლესიის მხრიდან?

17-23 ივნისი

ნელი ვარდიაშვილი: „შეძენილი სექსუალური გადახრის დროს ლტოლვა საპირისპირო სქესის მიმართაც აქვთ, არა? გამიგონია, ასეთი ორიენტაციის მამაკაცების გარკვეულ ნაწილს ოჯახებიც აქვთ და ასეთი ადამიანი მაინც უნდა ჩაითვალოს ავადმყოფად?..

და მაინც, რა უნდა გააკეთოს ორსულმა ქალმა, რომ ნაყოფი სექსუალური ავადმყოფობით არ ჩამოუყალიბდეს? ამ წერილით ქალები არ შევაშინოთ, ცოტაოდენი რჩევა მაინც მიეცით“.

10-16 ივნისი

ნინო სამხარაძე: „... ნუთუ, სექსუალური უმცირესობები მათთვის [დასავლეთი] უფრო ძვირფასია, ვიდრე ტერორიზმთან მებრძოლი ჯარისკაცების სიცოცხლე, რომლებიც, სხვათა შორის, მათ ოპერაციებს ეწირებიან?“

12-18 აგვისტო

გიორგი კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი: „რა ლგბტ აუტყდათ ვერ გავიგე?! მათ კანონი უნდა უკრძალავდეთ აღლუმის ჩატარებას. როგორ შეიძლება მთავრობის წევრები მათ პოპულარიზაციას უწყობდნენ ხელს?! უზნეობას როგორ შეიძლება გაუწიო პოპულარიზაცია?!.. თუ ნებას მომცემენ, მივალ მერიაში, გიგი უგულავასთან და ვთხოვ ლგბტ-ს გლდანის ნაგავსაყრელზე გამოუყოს ტერიტორია, სადაც იაღლუმებენ“.

12-18 აგვისტო

გელა ზედელაშვილის სტატია „რატომ უჩივიან ჯანდაცვის მინისტრს ლგბტ-ს დამცველები?“ საკონსტიტუციო სასასამართლოში შეტანილ სარჩელს შეეხება, რომლითაც უფლებადამცველები ჯანდაცვის სამინისტროს იმ ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვენ, რომელიც ჰომოსექსუალთა მხრიდან სისხლის დონაციას ზღუდავს. სტატია მთლიანად ჰომოფობიურია და იგი ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად წარმოჩენას ცდილობს.

ალია

16 მაისი

ნინო სამხარაძე: „ბატონო ელიზბარ, ეროვნულ და რელიგიურ თემებთან შეუთავსებლობაში მოვიდა ახალი ხელისუფლება. 17 მაისს იმართება გეიაღლუმი და პრემიერი წინააღმდეგი ვერ წავიდა... როგორ ფიქრობთ ამ დღეს სამოქალაქო დაპირირპირება მოხდება?“

4 ივლისი

ნინო სამხარაძე: „ნატო-ს გენერალურ მდივანს, ანდერს ფოგ რასმუსენსაც არ აწყენდა იოდის ყლაპვა... იგივე რასმუსენისთვის „ლგბტ“ პირების ნებით მიცემული უკანალის დაცვა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მოძალადე ხელისუფლების მსხვერპლთა არმია. 21-ე საუკუნეში ნატო-ს გენერალურ მდივანს ადამიანების წამების, გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტებს ულაგებდე, ის კი მთავარ ჯაყოს დემოკრატს ეძახდეს, გამოდის, ან კრეტინი ხარ, ან უბრალოდ მოსყიდული!“

18 ივლისი

ჟურნალისტი ნინო სამხარაძე, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის მიერ გავრცელებულ დაუდასტურე-

ბელ ცნობებს იმის შესახებ, რომ პირველი ლედი, სანდრა რულოვსი ხელოვნურად გაჩენილი ბავშვების საზვარგარეთ გაყვანასა და ჰომოსექსუალებზე გაშვილებაშია ჩართული, როგორც რეალურ ფაქტს, ისე წარმოაჩენს.

ნინო სამხარაძე: „ყოჩაღ, სანდრა! არ ღალატობ საკუთარი ქვეყნის ტრადიციას და ეხმარები ჰომოსექსუალისტ წყვილებს, მაშინ, როცა საქართველოში ათასობით ოჯახი უშვილობას განიცდის და იმდენად რთული და ძვირია შვილად აყვანის პროცედურა, რომ უშვილოდ ბერდებიან, თქვენ კი რა გულმოდგინედ ზრუნავთ ჰომოსექსუალისტ და ლესბოსელ წყვილებზე. ქართველი ბავშვების უცხოეთში გაშვილებაზე “.
http://alia.ge/com/news/view/1584

24 ივლისი
ნინო სამხარაძე: „რასმუსენისთვის, ქართველი პედერასტების დუნდულების უსაფრთხოება და ლესბოსელების ვარდისფერი სექსი ისეთივე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, როგორც ანტიტერორისტული მისიები ნატოსთვის. რასმუსენის ივლისის ვიზიტის ერთი ნაწილიც ხომ აღვირახსნილი სექსით დაკავებულთა უსაფრთხოებას დაეთმო და თითი დაგვიქნია, ჭკუით იყავითო... თუკი თქვენი ნატო პედერასტებისა და „ლეზბიანკების“ დაცვაა, ასეთ ალიანსზე უარს ბევრი იტყვის“.
http://alia.ge/com/news/view/1625

31 ივლისი
გელა ზედელაშვილი: „17 მაისის აქცია მართლაც მის [გიგა ბოკერიას, უშიშროების საბჭოს მდივნის] კაბინეტში დაიგეგმა. პრემიერ-მინისტრის გარემოცვისთვისაც ცნობილია, რომ ის [ბიძინა ივანიშვილი] დასანახად ვერ იტანს პედერასტებს და ვერც უნდა იტანდეს, მაგრამ თანამდებობრივი მდგომარეობა აიძულებს, ოფიციალურად გაწონასწორებული პოზიცია დაიკავოს“.
http://alia.ge/com/news/view/1679

კვირის პალიტრა

3-9 ივნისი
„კვირის პალიტრამ“ სრულად და ყოველგვარი სარედაქციო კომენტარის გარეშე გამოაქვეყნა ევროპის წამყვან საოპერო თეატრებში მოღვაწე მომღერლის, თამარ ივერის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელიც 17 მაისის აქციის დაშლის კონტექსტში სექსუალურ უმცირესობათა მიმართ სიძულვილის ენას და ანტიდასავლურ შეფასებებს შეიცავს. მასალის სათაურად შერჩეული ივერის სიტყვები „ბატონო ელჩო, მთელ ერს ამ გზით ნატოში მისაღებად ვერ წაკ...ზავთ!“ გაზეთის სარედაქციო პოზიციას ასახავს. აღსანიშნავია, რომ რედაქცია მომღერლის ამგვარ შეფასებებს პრობლემად კი არ წარმოაჩენს, ან ბოდიშს იხდის მასში გამოთქმული ჰომოფობიური და სიძულვილის ენის გამო, როგორც ეს ინტერნეტპორტალმა „ნეტგაზეთმა“ 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის ანალოგიური გამოთქმების გამო გააკეთა და გამოქვეყნების ფაქტი საჯარო პირის შეხედულებებისადმი საზოგადოებრივი ინტერესით გაამართლა, არამედ უაპელაციოდ ტირაჟირებს ამგვარ გამოხატვას.

ერთადერთი ღირებული ინფორმაცია მასალის ბოლოშია მინაწერის სახით წარმოდგენილი, სადაც აღნიშნულია, რომ ამ მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ პარიზის ნაციონალური ოპერის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია პირველ ივნისს დაგეგმილი თამარ ივერის კონცერტის გაუქმების შესახებ, რის ოფიციალურ მიზეზად მომღერლის ავადმყოფობაა დასახელებუ-

ლი. ჟურნალისტი ამასთანავე აღნიშნავს, რომ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ივერის წერილის თარგმნა და საფრანგეთში პარტნიორ ორგანიზაციებთან გადაგზავნა გახდა კონცერტის ჩაშლის რეალური მიზეზი. ჟურნალისტი მინაწერში უთითებს, რომ ისინი ფაქტის დასაზუსტებლად თავად თამარ ივერთან დაკავშირებას შეეცადნენ, თუმცა უშედეგოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თემაზე რედაქციას „იდენტობისთვის“ არ მიუმართავს და მასალაში არც ის ინფორმაცია ასახულა, რომელიც ორგანიზაციამ თავის ვებ-გვერდზე გაავრცელა და სადაც აღნიშნულია, რომ 1 ივნისს მათ ელექტრონულ მისამართზე თამარ ივერის ბოდიშის წერილი მიიღეს.
http://www.kvirispalitra.ge/public/17399-qbatono-elcho-mthel-ers-am-gzith-natoshi-misaghebad-ver-tsakzavthq.html

---

3.4. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

კვირის პალიტრა, 29 ივლისი- 4აგვისტო
დისკრიმინაციულია ჟურნალისტის მიდგომა ექსპერტიზის ბიუროს მიერ ქალიშვილობის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით შეკითხვის ფორმულირებისას, როცა ის ისეთ ტერმინს იყენებს, როგორიცაა „საეჭვო წარსულის გოგოები“.

მანანა გაბრიჭიძე: ისიც მომხდარა რომ საეჭვო წარსულის გოგონებს ცოლის უმანკოებაზე გამეცადინებული მომავალი მეუღლეები მოუტყუებიათ. არც ამ შემთხვევაშია მოწმობა საჭირო თქვენი აზრით?“
http://www.kvirispalitra.ge/public/18030-givi-sikharulidze-qme-thu-mkithkhavth-vazhishvilobis-motsmobac-unda-shemoighon-pederastebith-gaivso-qveyanaq.html

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი-5 მაისი
ზაზა დავითაია: „მიშასთან [სააკაშვილი] ქალები წვებოდნენ და ცხოვრებას ამგვარად იწყობდნენ... ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ, რომ ზოგირთმა ქალბატონმა დეპუტატის მანდატიც ამგვარად გაინაღდა“.

4. რესპონდენტები

რესპონდენტების შემთხვევაში ყველაზე ხშირად დისკრიმინაციას სექსუალური უმცირესობების მიმართ ჰქონდა ადგილი (პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები — 56; საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები — 41); თემატიკის მიხედვით დისკრიმინაციული გამოხატვის სხვა მონაცემები ასე გამოიყურება: ეთნიკური უმცირესობები — 20/15; რელიგიური უმცირესობები — 8/3; გენდერი, სექსიზმი — 2/3; სიძულვილის ენა — 2/9.



4.1. ეთნიკური უმცირესობები

- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას, განსაკუთრებით კი ანტიჩინურ განცხადებებს, ასევე რასისტულ გამოხატვას რესპონდენტები, ჟურნალისტთა მსგავსად, მეტწილად სოციალური პრობლემებისა და ნაციონალური მოძრაობის ლიბერალური საემიგრაციო და საინვესტიციო პოლიტიკის მიუღებლობის კონტექსტში მიმართვდნენ.
- ანტითურქული განწყობების გაღვივება კი ისტორიულ მოვლენებსა და დღევანდელობას შორის-დაუსაბუთებელი პარალელების გავლების გზით ხდებოდა, რაც არამართებულად უკავშირდებოდა თურქეთის სახელმწიფოს თანამედროვე, ოფიციალურად გაცხადებულ პოზიციას. ხდებოდა თურქეთის, როგორც საფრთხის და რუსეთის ოკუპაციის საპირწონის წარმოჩენა.
- არმენოფობიული განცხადებები ძირითადად პოლიტიკურ კონტექსტში, ყოფილი ხელისუფლებისა და ამჟამინდელი ოპოზიციის [ნაციონალური მოძრაობის], ასევე საქართველოს პრეზიდენტის მისამართით კეთდებოდა, რა დროსაც ადრესატების „სომხებად“ ან „გვარგადაკეთებულებად“ მოხსენიება ნეგატიური კონოტაციის მატარებელი იყო.
- საბჭოთა რეჟიმის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებული მესხების რეპატრიაციის თემა რესპონდენტთა დისკუსიაში არა მათ მიმართ სამართლიანობის აღდგენის უფლებას უკავშირდებოდა, არამედ გენეტიკურ წარმომავლობას — მათ ქართველობას ან არაქართველობას. ხდებოდა მესხთა რეპატრიაციის, როგორც ეთნოკონფლიქტის საფრთხედ წარმოჩენა.
- საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირების საკითხი, რაც უმცირესობების ენების დაცვას ისახავს მიზნად, საარჩევნო დისკურსში პოლიტიკური სპეკულაციების საგანი იყო. ხდებოდა ამ თემის საფრთხეებთან, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასთან, რუსი ჯაშუშების პატიმრობიდან გამოშვებასთან დაუსაბუთებელი დაკავშირება.

მაგალითები:

ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 აპრილი
დიმა ჯაიანი, მსახიობი*: „ოჯახში სხვა ერის წარმომადგენელი იბადება ოცი და ამ დროს, ორი არ არის ქართველი კაცის ოჯახში... საქართველოს ხარჯზე არ უნდა გამრავლდნენ და ქართველების ხარჯზე. ღმერთმა გაამრავლოს, მაგრამ თავიანთ ქვეყანაში. ...არსებობს ქვეყნები, სადაც ისინი იმ ქვეყნის შვილები არიან“...
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11718

კვირის ქრონიკა, 22-28 აპრილი
მანანა კობახიძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი: „მამული იყო და როგორ მოექცნენ [ნაციონალური მოძრაობა], ყველამ ვიცით, რაც მტერმა ვერ წაიღო, ამათ უსასყიდლოდ გადასცეს გადამთიელებს, დღეს შიდა ქართლში, გორში გლეხებს საძოვრებიც კი აღარ დარჩათ“.

კავკასია, სპექტრი, 6 მაისი
გია გაჩეჩილაძე, ქართული ოცნება: „ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო კანონში ცვლილებები და დაახლოებით 56 ქვეყნიდან ცალმხრივი უვიზო რეჟიმი გაუკეთეს ე.ი. უნდა ნახოთ, რა ქვეყნებია, ბატონო დავით, აფრიკისა და აზიის ქვეყნებია ძირითადად... საძოვრები წაართვეს სპეციალურად, რომ ის გლეხი იქიდან ამოვარდნილიყო და დაეტოვებინა სოფელი და მერე ჩახვიდოდი... მაგალითად, კახეთის რეგიონში და კახეთი კი ერქმეოდა, მაგრამ იქნებოდნენ ინდოელები უმეტესი ნაწილი“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2030612

* ამჟამად აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი

ასავალ-დასავალი, 15-21 აპრილი
ალეკო შალამბერიძე, თავისუფალი საქართველო: „თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიების მითვისებას გეგმავენ. რა დროს პრეზერვატივების აკრძალვაა, როცა ქართველები საქართველოში მიწის გარეშე რჩებიან?!“

მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 19 აპრილი
კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო: „უნდა გაგრძელდეს ის, რაც ხდება, როდესაც ასეულობით ათას ჰექტარს ეუფლებიან ინდოელი, პაკისტანელი, ჩინელი, თურქი და არაბი ფერმერები?... ეს არის ქვეყნის მტრობა, რაც დღეს ხდება, როდესაც იუსტიციის სახლში რომ შეხვიდეთ, პაკისტანელი და ინდოელი მეტი დგას ქართული პასპორტებით რიგში, ვიდრე – ქართველი“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2016830

ალია, 19 ივნისი
თემურ შაშიაშვილი, თეთრები: „ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოდან მკვიდრი მოსახლეობა გაიყვანა და სამაგიეროდ ჩამოიყვანა ხალხი არაბული ქვეყნებიდან, ირანიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან და თურქეთიდან. აი, ეს არის ქართული მენტალიტეტის შეცვლა, მილიონ-ნახევარი ადამიანია დღეს გასული და ტანჯვა-წამებაში ჩავარდნილი! ევროპის საგიჟეთებსა და ციხეებში ყველაზე მეტი ქართველი ზის“.
http://alia.ge/com/news/view/1379

კვირის ქრონიკა, 3-12 მაისი
თემურ შაშიაშვილი: „მიდით რეესტრში დღეს. იქ დგას 80 პროცენტი არაბი, ინდოელი, ჩინელი. უნდა გაუქმდეს მოქალაქეობის მინიჭების დამღუპველი სისტემა... ჩვენ ხარაგაულში ჩინელები გვყვანან ჩხეიძეები და წერეთლები, ჯერ ჩინელი ბაგრატიონი არ შემხვედრია“.

გია ყრუაშვილი: „აგერ, ჩინელებმა მთლიანად შემოხაზეს მთელი ვარკეთილი, მთელი ზღვა, ვინღა დავრჩებით საქართველოში?“.

ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 აგვისტო
გია მაისაშვილი: „ქართველების სახლი ხომ გაძარცვეს, ახლა გაძარცვაზე და ქურდობაზე ორიენტირებული ერი [საუბრობს რუსეთ-საქართველოს ომზე]“...
http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=13201

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი-5 მაისი
კობა არაბული, მწერალი: „საუკუნეების წინ შაჰ აბასი გვყრიდა, ახლა სააკაშვილმა ჩინელები, ინდოელები და არაბები შემოგვიყვანა“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/967/967.pdf

საზოგადოებრივი მაუწყებელი, დიალოგი, 24 აპრილი
გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია: „თბილისის ზღვის ირგვლივ შენდება ჩინური ქალაქი... და აქციეს ჩინელების სასტუმროებად და მალე პატარა ჩაინათაუნი გვექნება... სულ ახლოა ის პერიოდი, როდესაც საქართველოს პირველი პირი ინდოელი, სიქხი ან არაბი იყოს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2019977

ასავალ-დასავალი. 29 აპრილი-5 მაისი
ასმათ ტყაბლაძე, მსახიობი: „პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, დაავალეთ გამოიკვლიონ, რა ხდება შუაგულ თბილისში, რატომ უნდა დარბოდნენ აქ ტიტლიკანა ჩინელები“.

დიმა ჯაიანი, მსახიობი: „თურმე ათასობით ჰექტარი ქართული მიწა ინდოელებისა და ჩინელებისთვის მიუყიდიათ! ეს დემოკრატიულობაა თუ ქვეყნის მტრობა“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/967/967.pdf

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი
სანდრო ბრეგაძე, ეროვნულები: „რამდენიმე დღის წინ საკუთარი თვალით ვნახე, როგორ შემოიყვანეს თბილისში აფრიკელებით გაძეძგილი ავტობუსები. ასევე თბილისში მოქმედებს ჩინური დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელიც პროსტიტუციას ეწევა...

ასეთი რამ არცერთ დამპყრობელს არ გაუკეთებია საქართველოსთვის. ეს არის მიზანმიმართული გენოციდი, რომელიც დროზე თუ არ აღვკვეთეთ და ევროპული ქვეყნების მსგავსი საიმიგრაციო კანონი არ მივიღეთ, მომავალი თაობები მოღალატეებად გამოგვაცხადებენ“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

ობიექტივი, ღამის სტუდია, 13 მაისი
დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „...არც ჩინელების შესევაა იქა [სომხეთში], არც ინდოელების, არც ტერიტორიების გახლეჩვა ხდება იქ, არც ქართულ ენას ღებულობენ რეგიონალური ენის სტატუსად, არც მეჩეთები შენდება, არც ავღანეთში არიან... კარგი იქნება, თუ ჩვენი ძმები სომხებისგან ავიღებთ მაგალითს“.

კავკასია, სპექტრი, 24 ივლისი
დავით ჭიჭინაძე: „აღარ იქნება ქართველების გამრავლება. ვინ უნდა იმუშაონ, ჩინელებმა, თურქებმა, ვინ?“
http://www.myvideo.ge/?video_id=2101186

ობიექტივი, 24 აპრილი
აკია ბარბაქაძე: „ნაკრებში ერთი ქართველი რომ გაერევა და დანარჩენი სულ ზანგები გეყოლება, ეგ არის პრობლემა, რა“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11718

ალია, 6 ივნისი
ხათუნა ბოკუჩავა, მსახიობი: „მოისპოს ზანგების, ჩინელების, არაბების ინდოელებისთვის მიწების ჩუქება. მოგვცენ უფლება, რომ სადაც ჩვენმა მამა-პაპამ სისხლი დაღვარა, ქართველ ერს დღემდე რომ მოეტანა თავი, კვლავ ჩვენ ვიცხოვროთ... თავი რომ გადავპარსოთ თითოეულ მათგანს [ყოფილი ხელისუფლების მომხრეები], დარწმუნებული ვარ ნნნ ეწერებათ, რადგან ჩვენ, ქრისტიანებს, საკუთარ სამშობლოში ცხოვრება მოგვიშალეს“.

ანტითურქული განწყობები

საზოგადოებრივი მაუწყებელი, დიალოგი, 24 აპრილი
სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი: „ქართული მედია ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რაც მიმდინარეობს იგივე აჭარაში და სამხრეთ საქართველოში მაშინ, როდესაც თურქეთი უკვე ოფიციალურ რუქებს აქვეყნებს არა მარტო საქართველოს ამ ძირძველი კუთხის, არამედ მსოფლიოს ყოფილი ოსმალური იმპერიის აღდგენის შესახებ“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2020638

ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 აპრილი
დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „მაგრამ თურქეთი, 95 წლის მერე ოკუპანტი აღარაა? 30% ჩვენი ტერიტორია წაღებული აქვს“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11690

ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 ივნისი
დავით თარხან-მოურავი: „საქართველოში თანამდებობები და განსაკუთრებით კიდევ აჭარაში, ცხადია, რომ აჭარლებს უნდა ჰქონდეთ და არა თურქებს... საქართველოში ქართველი უნდა იყოს ბატონი და დანარჩენი – სტუმარი და არა პირიქით... აჭარელმა კაცმა ისედაც ძალიან ბევრი უბედურება ნახა და გადაიტანა ამ თურქებისგან“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12420

ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 აპრილი
გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტი: „მშვიდობიანი პენეტრაცია, კოლონიალიზმის დროინდელი ტერმინია. სწორედ ეს არის, რაც დღეს აჭარაში ხდება. არა აბჯარით და იარაღით შესვლა, არამედ ეკონომიკის საშუალებით... როდესაც ის რუსეთის ბაზები გაუქმდა ბათუმიდან და ახალქალაქიდან, აი, მერე აიშვეს თავი თურქებმა. მერე იგრძნეს მათ თავი აჭარაშიც და ახალციხის რეგიონში და უფრო წინ წამოვლენ კიდევ როგორც საკუთარ სახლში“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11704

ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 მაისი
მაყურებელი: „მე 26 მაისის მონაწილე ვარ. მე სასტიკად დამარბიეს, მცემეს. და თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა მე დავინახე, რომ ჩვენ გვებრძოდნენ არა მარტო მანქურთები, ჩვენი ქვეყნის, არამედ ჩვენ გვებრძოდნენ თურქები. ისმოდა იქ თურქული საუბარი“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12065

ასავალ-დასავალი, 15-21 აპრილი
ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: „თურქეთის სიძულვილს ვერავინ დამწამებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთის ექსპანსიას თვალი დავუხუჭო და აჭარის გათურქებას ტაში დავუკრა... საქართველოში ოსმალეთის იმპერიის ბატონობას უზარმაზარი ძეგლი რომ დაუდგეს ახალციხეში და ახალი მეჩეთის სახურავის ფერზე რომ ბჭობენ საქმიანი გამომეტყველებით, ამ ჩვენმა დიდმა მეგობარმა თურქეთმა იშხანს ბულდოზერებით რომ ჩუატარა „რეკონსტრუქცია“, ამას რა ჰქვია?!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/965/965.pdf

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი-5 მაისი
ელიზბარ ჯაველიძე: „ბათუმში უკვე 27 ათასი თურქი ცხოვრობს. როგორც ვიცი, აჭარაში ჩასახლდა 6 ათასი სომეხიც. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ აჭარა ჩვენი აღარ არის... თურქული ტელევიზია ბათუმს თურქულ ქალაქად აცხადებს“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/967/967.pdf

ასავალ-დასავალი, 12-18 აგვისტო
ელიზბარ ჯაველიძე: „სააკაშვილმა ფართოდ გაუღო აჭარის კარი თურქებს და პირდაპირ წაალეკინა იქაურობა!.. სააკაშვილი ისეთი გამეცადინებულია საქართველოში თურქული ექსპანსიის მეგზურობაში, რომ აჭარა არ იკმარა და დედამისს – გიული ალასანიას აქტიური ხელმძღვანელობით, მთელ ქვეყანაში გაახსნევინა თურქული ბაღები, სკოლები თუ უნივერსიტეტები!“

„დიახ, ბატონო, თურქეთი მხოლოდ აჭარაზე კი არა, სამხრეთ საქართველოს ათვისებაზეც ოცნებობს [სოფელ ჭელაში მინარეთის აღმართვის ფაქტზე]“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/982/982.pdf

ასავალ-დასავალი, 29 ივლისი-4აგვისტო
ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი: „გარდა ამისა, გიული ალასანიას და ფუთულაჰ გიულენის მფლობელობაში მყოფი სასწავლებლებიდან ქართველი ბავშვები მიჰყავთ თურქეთში, სადაც ასწავლიან, რომ საქართველო თურქეთის ნაწილია... ამ ბავშვებს თურქეთის მედრესეებში მისცეს განათლება და ჩამოიყვანეს უკან. ანუ, რეალურად, საქართველოში მოამზადეს თურქული იდეოლოგიით აღზრდილი, თურქეთის ინტერესების მატარებელი კასტა!..“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი
თემურ შაშიაშვილი, თეთრები: „ჩვენ თურქებს საქართველოშიც მონებად ვექეცით და მათ ქვეყანაშიც მონებად დავუდექით“.

ასავალ-დასავალი, 29 ივლისი-4აგვისტო
გიორგი ბურჯანაძე, ანტიკორუფციული კავშირი: „სექსმუშაკებმა თავისი საქმე თურქეთში გააკეთეს, ახლა უფასო მონების დრო დადგა. თურქეთში სერიოზული ნადირობაა ქართველ მამაკაცებზე, როგორც იაფ მუშახელზე“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

კვირისი ქრონიკა, 17-23 ივნისი
თამაზ ბაკურიძე, უფლებადამცველი: „... ყველა კუთხე-კუნჭული დაკავებული აქვთ თურქებსა და ჩინელებს. რამდენიმე წელიწადში ბათუმი იქნება არაქართული ქალაქი... ალბათ, გახსოვს, ბათუმის ცენტრში არყის კოშკი რომ გააკეთეს, ეს ყოფილა ოსმალეთის იმპერიის დიდების მემორიალი... აქ მალე აღდგება ოსმალეთის გავლენა და დიდება“.

ალია, 21-24 ივნისი
სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: „...ისინი ბათუმში იქცევიან ისე, როგორც გასული საუკუნის 20-იან წლებში იქცეოდნენ“.

არმენოფობია

ასავალ-დასავალი, 15-21 აპრილი
ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი: „სამწუხაროდ, ვზივარ სიმწუხარეში, ადრე მუდამ, საქართველოს ვლოცავდი, ქართველი ხარ? – არ მოხვიდე ცხრამეტში[81]! სომეხი ხარ? – კი ბატონო, მობრძანდი“.
http://www.asavali.ge/archive/2013/965/files/1-41pm5.pdf

კვირის ქრონიკა, 22-28 აპრილი
ჯანსუღ ჩარკვიანი: „წინა მოწვევის პარლამენტში 60% იყო სომეხი, ამდენივე იყო მთელ ხელისუფლებაში. თვითონ გადაიკეთეს გვარები, მე რა შუაში ვარ?.. „არ მქონდა ხოში, რომ მაგ მიტინგს ქართველები დასწრებოდნენ, სომხებს შემოვევლე – კი, ბატონო... სომხები მაგას ვერ გაიგებდნენ, გვარგადაკეთებულ სომხებს რომ არ აეტეხათ ერთი ამბავი“.

[81] ნაციონალური მოძრაობის აქცია

ალია, 19 აპრილი
თემურ შაშიაშვილი, თეთრები: „დაუკვირდით, საქართველოს ხელისუფლებაში 80 პროცენტი არის გვარშეცვლილი. კაცო, მე არ ვარ სომხების წინააღმდეგი, ძმები არიან, მაგრამ სომეხი დაუშვებს იმას, რომ ქვეყანას გვარშეცვლილები მართავდნენ?“

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი-5 მაისი
დიმა ჯაინი, მსახიობი: „ვახტანგ ყოლბაია არის კაცი, ქართველი კაცი და არაქართველი სააკაშვილი მას საქართველოს ღალატში არ უნდა ადანაშაულებდეს!.. გაუმარჯოს სომეხ პრეზიდენტს სომხეთში! საქართველოს კი უნდა ჰყავდეს ქართველი პრეზიდენტი! წარმოგიდგენიათ, სომხეთს რომ ქართველი პრეზიდენტი ჰყავდეს?!.. საქართველოში ქართველი დაილია, სომეხი პრეზიდენტი, რომ არ გვყოლოდა?!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/967/967.pdf

კვირის პალიტრა, 8-14 ივლისი
კახა თარგამაძე, შს ყოფილი მინისტრი: „იცით, რატომ ვცემე გივი თარგამაძე? წარმოშობით სომეხია, გვარად ოსიპოვი და რომ გავიგე, გვარი გადაკეთებული ჰქონია, თანაც თარგამაძედ, გავბრაზდი“.
http://www.kvirispalitra.ge/politic/15171-qasethi-qbanbanerkaq-qarthvelebis-arasodes-mesmodaq.html

---

დეპორტირებული მესხები

ასავალ-დასავალი, 15-21 აპრილი
აღას არაბიანი, ორგანიზაცია ჯავახეთი რუსეთში: „ამასთან ერთად, ეს არის ისლამური ექსპანსიის წახალისების მცდელობა, რომელიც თანაბრად ეწინააღმდეგება, როგორც ადგილობრივი სომხების, ისე სრულიად ქართველი ერის და ქრისტიანული სამყაროს ინტერესებს“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/965/965.pdf

საზოგადოებრივი მაუწყებელი, აქცენტები, 19 აპრილი
ნათია მეგრელიშვილი: „ეს იგივე მოდელია [საუბრობს სირიიდან და თურქეთიდან აფხაზეთში აფხაზების ჩასახლებაზე], გაიხსენეთ, თურქი მესხების თემა, რომ შემოგვიგდეს ჩვენ“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2015031

რუსთავი 2, პოზიცია, 23 აპრილი
გიორგი გუგავა, ლეიბორისტები: „ნაცმოძრაობის დაკრულზე დადის მთელი ოცნების შემადგენლობა რესპუბლიკელებისა, რომლებმაც წინ წამოწიეს ის ანტიეროვნული საკითხები, რომლებიც დაწყებული ჰქონდათ ნაციონალურ მოძრაობას... აი, ივანიშვილის მიერ აღებული ვალდებულება დღეს 80 000 თურქის ჩამოყვანის [დეპორტირებული მესხები] შესახებ, ეს დასაბლოკია, ქართული მიწების გასხვისება უცხოელებზე, დასაბლოკია აუცილებლად“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2018957

მაესტრო, პოლიტმეტრი, 25 აპრილი
გიორგი გუგავა: „როდესაც 300 000 დევნილი გვყავს საქართველოში, როდესაც 70 000 ბანკის მევალეს, იპოთეკარებისგან გადაგდებულს, ემუქრება გარეთ გამოგდება, თურმე მთავარი პრობლემა ჩვენთვის ის ყოფილა, რომ შევასრულოთ ვალდებულება და 80 000 თურქი მესხი ჩამოვასახლოთ საქართველოში“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2020629

მაესტრო, პოლიტმეტრი, 29 აპრილი
გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: „95% იმ ადამიანების, ვინც გასახლებული იყვნენ იმ დროს საქართველოდან, არიან წმინდა წყლის ქართველები, მესხები... მაგათ აქვთ ერთადერთი, რაც აქვთ რე-

ლიგია, ისლამის მიმდევრები არიან და ისიც ბედის უკუღმართობის გამო და არა მათი სურვილის გამო“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2036388
http://www.myvideo.ge/?video_id=2036401

ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი: „მთავარია მათი აქედან გასახლების მიზეზი იყო მათი ანტიქართული განწყობა, პროთურქული განწყობა... არ ვიცი ახლა გენეტიკურად ქართველი, მათი დიდი ნაწილი 80% მაინც თურქია, იმიტომ, რომ თავის დროზე თურქულმა საოკუპაციო რეჟიმმა შუა თურქეთის სიღრმიდან განახორციელა ჩამოსახლება მესხეთში, ეთნიკური თურქების იმისათვის,რომ დემოგრაფიული ბალანსი შეეცვალათ “.
http://www.myvideo.ge/?video_id=2029394N

მანანა ნაჭყებია, ახალი მემარჯვენეები: „ეს არიან მაჰმადიანი მესხები, რომლებიც გენეტიკურად მართლაც არიან ქართული წარმოშობის, რომელთათვისაც ეს ისტორიული სამშობლოა, მაგრამ აქ არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან კარგად იყენებდა საბჭოთა კაგებე საქართველოს წინააღმდეგ “.
http://www.myvideo.ge/?video_id=2036367

რეგიონალური ენების ქარტია

მაესტრო, პოლიტმეტრი, 25 აპრილი
კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო: „სახელმწიფო ენის სტატუსიდან გამომდინარეობს ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. იქ ჯერ ქართული ენა შეცვალა სხვა ენებმა და ამის შემდეგ განვითარდა სეპარატიზმი... ეს არის საქართველოს დეზინტეგრაციისკენ გადაგმული ნაბიჯი“.

მირზა დავითაია, ნაციონალური მოძრაობა: „ეს ძალიან საეჭვოდ ემთხვევა მთელ რიგ ნაბიჯებს, რომელიც განხორციელდა მანამდე, აქ იყო ლაპარაკი რუსი ჯაშუშების გამოშვებაზე, ჩახალიანის გამოშვებაზე, ოკუპაციის კანონს დაემთხვა დროში“.

სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი: „ეს შეიცავს საქართველოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს“.

თამარ კორძაია, ქართული ოცნება: „ტერიტორიული მთლიანობის თემა არის საფრთხე ამ კონტექსტში“.

სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი: „რესპუბლიკელების ინიცირებული კანონი გულისხმობს თითოეული მუნიციპალური ერთეულის გაყოფას ხუთ თვითმმართველ ერთეულად, პლიუს რეგიონალური ენების ქარტიაზე მიერთება. ეს იყო საქართველოს დაშლის გეგმა. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც მაგალითად, საგარეჯოს რაიონში გვაქვს ჩვენ მუნიციპალიტეტი, რომელიც ასე თუ ისე გაწონასწორებულია, დაბალანსებულია ეთნიკურად. და როდესაც ეს ხუთად დაიყოფა, წარმოიდგინეთ ეთნიკურად სუფთა არაქართული რეგიონები აღმოჩნდებოდნენ თვითმმართველი მუნიციპლიტეტების რანგში“.

ობიექტივი, ღამის სტუდია, 13 მაისი
დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „არ დავუშვებთ, რომ სომხურ ენას ან აზერბაიჯანულს ან სხვას მიეცეს ეს სტატუსი“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11903

4.2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

- პარლამენტის ვიცე-სპიკერი ქართული ოცნებიდან ნაციონალურ მოძრაობას ეკლესიების მნგრეველებად მოიხსენიებს და 2010 წელს რადიკალურად განწყობილი მართლმადიდებლური ჯგუფის წარმომადგენლების დაკავებას, ტელეკომპანია „კავკასიის“ თოქ-შოუს სტუმრებისა და ტელევიზიის თანამშრომლებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, მათ მართლმადიდებლობასთან აკავშირებს;
- იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომა (ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება), რომ რელიგიურ უმცირესობათა ლოცვის უფლებაზე უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური ქართველების უფლებებია;
- სახეზეა ასევე პოლიტიკური ოპონენტების (შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტები, თემურ შაშიაშვილი, თეთრები) მხრიდან ახალი მმართველი პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“, მისი ლიდერისა და საპრეზიდენტო კანდიდატის მართლმადიდებლობასთან მებრძოლ, მასონურ ძალებად წარმოჩენის მცდელობა.

მაგალითები:

კვირის ქრონიკა, 22 -28 აპრილი
მანანა კობახიძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი: „რაც შეეხება სარწმუნოებას, მართლმადიდებელი ბიჭები ვისი გასამართლებულია? ისინი ჩვენ გამოვუშვით ციხიდან, როგორც უკანონო პატიმრები და პოლიტიკური ნიშნით დევნილები... მათ სასამართლო პროცესზე ძალიან აგრესიულად გამოდიოდა იგივე სერგო რატიანი [მდფ: ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის საქმეზე მოწმე], ის მიზანმიმართულად მოქმედებდა, რომ ეს ხალხი ციხეში ჩაეყარათ“.

მაესტრო, პოლიტმეტრი, 10 მაისი
ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება: „...რომელი ქვეყანა შენ გაინტერესებს? გამოდიხარ და სხვა კონფესიების უფლებებს ვითომ იცავ [საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში — სამთაწყარო, წინწყარო, ნიგვზიანი საქართველოს მოქალაქე მუსლიმებისთვის ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევები]. შენსას აგინებ პირში, შენსას ლანძღავ, შენსას ანერწყვებ და ხევ და ვითომ სხვისი ლოცვა გაღელვებს. როგორ შეეშალა იმათ ლოცვაში ხელი და არიქა შეუწყოთ ხელი, თორე ულოცველად არ დარჩნენ ისინი. შენსას მიხედე, ესენი თავის თავს მიხედავენ“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2035323

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი-5 მაისი
გრიგოლ გოგიჩაძე, დეკანოზი: „მე ნაციონალურ მოძრაობას სატანისტური სექტა ვუწოდე. ამ ბინძურმა ძალამ ეკლესია ლამის განხეთქილებამდე მიიყვანა“.

ალია, 26 ივნისი
ზაზა ნანობაშვილი, მართლმადიდებელთა კრებული: „მოგეხსენებათ, წინა მთავრობას საქართველოში მეჩეთების მშენებლობის ხანა ჰქონდა. მისი აშენება მართლა რელიგიური უმცირესობების უფლებების შელახვის საფუძველზე კი არ ხდებოდა, ეს იყო ისლამის პროპაგანდა. სახელმწიფო მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს არ ითვალისწინებს და უმცირესობის ინტერესებზე ზრუნავს“.

ასავალ-დასავალი, 24-30 ივნისი
თემურ შაშიაშვილი, თეთრები: „ძალიან ვწუხვარ, რომ მომავალი პრეზიდენტის პოსტზე ბატონი ბიძინა სოროსის წარმომადგენელს უჭერს მხარს... საქართველოს ტრაგედია სწორედ ეს არის, უცხოური სექტების, მასონური სექტების წევრები რომ ლიდერობენ“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/975/975.pdf

იმედი, ღია ეთერი, 12 ივლისი

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი: „ფაქტიურად ივანიშვილი არის რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, ის არ არის არანაირი ოცნების ლიდერი. მაგ გაგების კაცია, მაგ ფილოსოფიის კაცია, რასაც ისინი აკეთებდნენ წლების განმავლობაში — ეს არის ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, სხვადასხვა სექტების წახალისება, სექსუალური უმცირესობების გამოჭენება რუსთაველის პროსპექტზე პირდაპირ".

http://www.myvideo.ge/?video_id=2092258

საზოგადოებრივი მაუწყებელი, დიალოგი, 17 ივლისი

შალვა ნათელაშვილი: „საქართველოს კანონმდებლობა თუ არ ცნობს [სექტებს], გაიხედეთ გვერდზე მეზობელ სომხეთში, იქ ოფიციალურად აკრძალულია იეღოველთა სექტა... იმის გამო, რომ იეღოველები უკრძალავენ სისხლის გადასხმას... თუ სექტა არა ხარ, ადამიანის სიცოცხლეს ნუ ებრძვი...

მით რომნი ძალიან ღირსეული პოლიტიკოსია... რატომ არ აირჩიეს?.. მორმონია და იმიტომ არ აირჩიეს".

http://www.myvideo.ge/?video_id=2097241

ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: „ამიხსნას ვინმემ, რატომ უნდა ჰყავდეს მართლმადიდებლურ საქართველოს ბაპტისტი სახალხო დამცველი?! ეს უჩა ნანუაშვილი რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მტერია, რა გასაკვირია, როდესაც მისი მეუღლე მაია მამასახლისი მალხაზ სონღულაშვილის ბაპტისტური ეკლესიის მრევლია..."

„ეგ მწვალებელი ქართველობაზე რა პირით ლაპარაკობს? მალხაზ სონღულაშვილი [ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვარი] ისეთივე ქართველია, როგორც მე — ბურკინაფასოელი!"

http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

ალია, 31 მაისი-3 ივნისი

მამუკა არეშიძე, ექსპერტი: „მე საერთოდ მეჩეთის აშენების წინააღმდეგი არ ვარ და არც ვიქნები, ეს კონკრეტული მეჩეთი კი შეიცავს საფრთხეებს, საქმე ისაა, რომ საფრთხის მატარებელია ის სავარაუდო დაპირისპირება, რომელიც ადგილობრივ შიიტებსა და ვაჰაბიტებს შორის შეიძლება მოხდეს ჩვენს ტერიტორიაზე. ხვალ თუ ვაჰაბიტებმა ეს ისლამის სახლი აქციეს თავის ფორპოსტად, დღეს იქნება საგანმანათლებლო ცენტრი, ხვალ პოლიტიკური დებატების ადგილი, ზეგ იარაღის შესანახი. ასეთი რამ ჩეჩნეთმა და დაღესტანმა უკვე გაიარა".

ალია, 21-24 ივნისი

მამა ელიზბარ დიაკონიძე: „ხომ არ ცდილობენ მავანნი არაქრისტიანებისგან გაათავისუფლონ ეგვიპტე, არამედ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შემოახიოს სხვადასხვა ჯურის ადამიანი [ეგვიპტელი ქრისტიანების საქართველოში მიგრაციის შესახებ]. იმიტომ, რომ ვერაფრით წააქციეს და ვერ დააჩოქეს ჩვენი ბრძენი პატრიარქის დიდი ძალისხმევის შედგეად შენარჩუნებული ჩვენი მართლმადიდებლური ეკელსია".

ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 აპრილი

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „ეროვნული ნიშნავს რწმენისადმი ერთულებას. იეღოველებს რომ შემოათრევ აქ და „მეშოკებით", ტომრებით რომ არიგებენ ფქვილს, იაღოველი გახდა, ამას რომ შეუწყობ ხელს, ეს არის რწმენისადმი ერთგულება?"

„ხან ერთი სექტა და ხან მეორე სექტა.. წაიკითხონ ეს იეღოველები, კაცო.. ამერიკელი ავტორები წაიკითხონ, რას წერენ იეღოველებზე... რომ დამნაშავე ორგანიზაციად აცხადებენ, მაგრამ ჩვენთან მივეცით ყველანაირი საშუალება... ახლა იმათ უნდათ, რომ იგივე დონეზე იყვნენ, რაც მართლმადიდებლური ეკლესიაა და ხელისუფლება ყველაფერზე თვალს ხუჭავს... მალე გვეტყვიან, რომ ქართველობა არის დანაშაული და არა პირიქით“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11690
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12975

ასავალ-დასავალი, 12-18 აგვისტო
ნიკოლოზ გეწაძე, ზარზმის მონასტრის წინამძღვარი: „ირანია აქ, რომ ზარზმის მონასტერში ყურში ჩამყვირონ მინარეთიდან [ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში დამონტაჟებულ მინარეთზე]?! თურქეთში ჩვენი ტაძრებია და უწმინდესმა შეთანხმებას კიდევ ვერ მიაღწია რიგ საკითხებზე და ახლა სურთ, აქ ტაში დაუკრათ და თვალი დავხუჭოთ მათ საქციელზე?!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/982/982.pdf

ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 ივლისი
გია ტაბლიაშვილი, სასულიერო პირის [იოთამ ბასილაიას] ადვოკატი: „სასულიერო პირი ვერ იქნება კანონთან თანასწორი, როგორც ჩვეულებრივი დამნაშავე“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12869

ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თემა

- ანტითურქული განწყობები სხვა თემებთან ერთად ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხსაც უკავშირდებოდა, რასაც რესპონდენტები არა საქართველოს მუსლიმი მოქალაქეებისთვის განკუთვნილ საკულტო ნაგებობად, არამედ მეზობელი სახელმწიფოს – თურქეთის ექსპანსიის კუთხით განიხილავდნენ.
- ბათუმში მეჩეთის მშენებლობის მიუღებლობის თემის გაშუქება პატრიოტთა ალიანსის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე აპელირებით ხდებოდა.

მაგალითები:

ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 აპრილი
მირიან ყარაულაშვილი: „ჩვენ არ დავუშვებთ ბათუმში ჰუსეინის ქადაგებას. რამეთუ ეს უკვე ნიშნავს, რომ მთლიანად დამთავრდა იქ ყოველგვარი ქრისტიანული, იქ დამთავრდა ყოველგვარი გავლენა მართლმადიდებლობის და არის აბსოლუტური ფორპოსტი მუსულმანური რელიგიის და თანაც, აგრესიული მუსულმანური მიმართულების ამ რელიგიისა“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11748

ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 მაისი
სოსო მანჯავიძე, პატრიტთა ალიანსი: „... ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ქალაქები გამოიყურებოდეს ისე, როგორც გამოიყურებოდა ადრე და ავითრებდეს ჩვენს ტრადიციას, რომ ჩვენ ვიყოთ ქართული ქვეყანა და არ დავუშვათ თურქული“.

„თუ დავინახეთ, რომ მოსახლეობის 99 თუ 97 პროცენტი ამის წინააღმდეგია და ვიღაც 2-ია თუ 1

პროცენტი თავს გვახვევს ამას, ვინ არის მაშინ ტოტალიტარული ლექსიკის და სიძულვილის ენის მატარებელი, ჩვენ თუ ისინი?“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12147

ობიეტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი
ირინა სარიშვილი, იმედი: „როცა ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა გეუბნენა, რომ ეს მას არ უნდა, ეს არანაირად არ ნიშნავს ვინმეს რელიგიური უფლებების შეზრუდვას“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11815

ცრურწმენები

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი
თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი: „არ მინდა, მორწმუნე საზოგადოება შევაშინო, მაგრამ ათობით ათასი პირადობის მოწმობის ნომრებში აღმოჩნდა მიწყობილად სამი ექვსიანი. ახალ ელექტრონულ მოწმობაში არსად ამგვარი კომბინაცია არ იქნება“.
http://www.asavali.ge/archive/ asdas/2013/973/973.pdf

ქრონიკა, 12 ივლისი
მიხეილ-გელა სალუაშვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი: „მარკირება ეს არის ანტიღვთიური გადაწყვეტილება, რომელიც ბიბლიური სწავლებით, ეს არის ის ნიშანი, რომელიც მარჯვენა ხელის ცერა თითზე ხდება. მარკირების პროცესიც სწორედ ამდაგვარია“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2092904

ასავალ-დასავალი, 27 მაისი-2 ივნისი
დავით გიორგობიანი, მსახიობი: „ბერი პაისის ლოცვით, მონასტრიდან ამერიკელი გაიქცა და ქართველი მივიდა. ეს იმის ნიშანიაც არის, რომ ჩვენი ხსნა ამერიკულ ორიენტაციაში კი არა, უფლის გზაზე დადგომაშია. ჩვენ დასავლეთის კი არა, ღვთის შიში უნდა გვქონდეს“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

ობიექტივი, ღამის სტუდია, 2 ივლისი
მაყურებელი: „არავინ არ ითვალისწინებს, რომ ხალხი რელიგიურად არის განწყობილი, ძალიან... აი, მაგალითად, მარჯვენა ხელზე მარკირების წესი [საარჩევნო პროცედურა]. ატყდა ერთი ამბავი, თქვეს, რომ ეს სახარებისეულად შეიძლება სატანის ნიშანი იყოს და ძალიან ბევრი ამომრჩეველი არ მიდის მარტო იმიტომ, რომ მარჯვენა ხელზე არ უნდათ დასმა. და არ შეიტანეს ცვლილება იმაში, რა მნიშვნელობა აქვს, მარჯვენა ხელზე...“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12675

4.3. სექსუალური უმცირესობები

- მნიშვნელოვანია, რომ სექსუალურ უმცირესობათა თანასწორ უფლებებებზე, 17 მაისის აქციის კონტექსტში, მედიაში პოზიტიური განცხადებები უმაღლესი თანამდებობის პირებმა — პრემიერ-მინისტრმა[82], იუსტიციის მინისტრმა[83], ასევე საპარლამენტო უმრავლესობის ცალკეულმა წარმომადგენლებმა გააკეთეს. თუმცა, ქართული ოცნების სხვა წარმომადგენელთა გზავნილები სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებით წინააღმდეგობრივი იყო და ის უფრო რადიკალური ჯგუფების პოზიციებთან მოდიოდა თანხვედრაში.
- როგორც „ქართული ოცნების“, ასევე სხვა პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენელთა მხრიდან ხდებოდა აზრის კულტივირება, რომ სექსუალური უმცირესობებისა და მათ უფლებადამცველთა გამოხატვის თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ჰომოსექსუალობის პროპაგანდა და არსებობს მისი საკანონმდებლო რეგულირების საჭიროება.
- ცალკეულ პოლიტიკოსებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, სპეკულაციას ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების დაკრძალვის გამო, ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის გამართვის არამართებულობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმაც მიმართა.
- მედიაში 17 მაისთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქების მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სეკულარული სახელმწიფოს არსი ხშირად არათუ ჟურნალისტებს, მმართველი პარტიის წარმომადგენლებსაც არ ესმით[84].
- 17 მაისის აქციის თემაზე პოლიტიკურ სპეკულაციებს, მისი პროვოკაციული მიზნების შესახებ როგორც ხელისუფლების (პრემიერ-მინისტრი, შს მინისტრი, უმრავლესობის ლიდერი და ფრაქცია ქართული ოცნების წევრები), არასაპარლამენტო ოპოზიციის, ასევე საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთა მხრიდან ჰქონდა ადგილი[85].
- სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის გამო, რესპონდენტთა კრიტიკის სამიზნედ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, რესპუბლიკური პარტიაც გვევლინება.
- ხდებოდა ჰომოსექსუალობის, როგორც დასავლეთის მიერ თავსმოხვეული მოვლენის წარმოჩენა და ანტიდასავლური განწყობების გაღვივება[86].
- შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოჩენილი ფარული ჩანაწერების სექსუალური უმცირესობების თემასთან დაუსაბუთებელ დაკავშირებას არაერთი რესპონდენტი ახდენდა, ხოლო ერთ შემთხვევაში (ალია, 14 მაისი) მინიშნება ჰომოსექსუალურ სცენებსა და ორგანიზაცია „იდენტობაზე“, რომელიც სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს იცავს, ყოველგვარი ეთიკურობის ფარგლებს სცილდებოდა[87].
- ადგილი ჰქონდა გადაუმოწმებელი ფაქტების სექსუალური უმცირესობების თემასთან დაუსაბუთებელ დაკავშირებას[88].

---

[82] **ბიძინა ივანიშვილი:** „სექსუალურ უმცირესობებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც სხვა მოქალაქეებს და საზოგადოება ამას ნელ-ნელა შეეჩვევა... ვიცი, რომ ხალხის ნაწილი ამას ვერ ღებულობს. ამიტომ სახელმწიფოში სამართალდამცავი სტრუქტურები ფუნქციონირებს და ჩვენ ნებისმიერი უმცირესობების უფლებების დასაცავად ყველაფერს გავაკეთებთ.
http://24saati.ge/index.php/category/news/2013-05-15/37967.html

[83] **თეა წულუკიანი:** „არ შეიძლება ცივილიზებული ადამიანები ერთმანეთს უჭვრიტინებდნენ, ვის ვისთან სძინავს. ეს არის საფუძველი ცივილიზებული საზოგადოების... ასეთი რაღაცები არსებობს, ეს ამ ადამიანების ძალით გამოგონილი არ არის. როდესაც ადამიანი იღვიძებს ასეთი განცდით და იმის გათვითცნობიერებით, რომ მე თურმე ვარ უმცირესობა, არ შეიძლება, რომ ამის გამო მას ვინმე თავს დაესხას, გალახოს, რადგან ეს არის ბარბაროსობა... რაც შეეხება შეკრებას, შეკრების თავისუფლების უფლება აქვს ყველას, თუკი ისინი არ არღვევენ კანონს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2034178

[84] **დავით საგანელიძე:** „ახლა ეკლესიას თავისი კანონები აქვს და თვითონ სჯის, ახლა მე ვინა ვარ, რომ ეკლესიის კანონები განვსაჯო. ეკლესიის განსასჯელი თუ ვინმეა, ეკლესია თვითონ განსჯის... მოძალადეები, მოდით, იხმაროს პროკურატურამ, ამ შემთხვევაში მე მეამბოხეს ვიხმარ“. (მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 20 მაისი).

[85] **კახა კახიშვილი:** „ხალხში არატრადიცული ორიენტაციის ადამიანებისადმი აგრესია განსაკუთრებით გამძაფრებულია, ვინაიდან ისინი გარკვეულწილად „ნაციონალურ მოძრაობასთანაც“ არიან ასოცირებული, წლების განმავლობაში „ნაცმოძრაობა“ მხოლოდ საკუთარი და მათი უფლებების დავცით იყო დაკავებული...“

[86] **ვალერი ჩხეიძე, უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი:** „რატომ გვახვევენ თავს ამ გეი-აღლუმებს? თუ გეებმა რუსთაველზე არ ჩაიაირეს, ნატოში არ მიგიღებთო. არ მიგვიღებ და ნუ მიგვიღებ! მე პირადად ასეთი ნატო არ მჭირდება... ნატო არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც გაეროს ყველანაირ რეზულუციას არღვევს, თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებას“.

[87] **თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი:** „ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, რა სანახაობა გადაეშლებათ თვალწინ?“
სოსო ცისკარიშვილი: „ხო, ხო! თორემ სასიამოვნო არ იყოს ვინმესთვის რა! (ეცინება) საქმე იქით მიდის, ორგანიზაცია „იდენტურობა“ სიამოვნებით ნახავდა ამ კადრებს. შეიძლება მაგათ ისიც მოთხოვონ, ტელევიზიით ატრიალონ ეს კადრები (ეცინება), მაშინ სჯობია, დავწვათ მთლიანად ეს ყველაფერი“.

[88] **შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:** „ეს კლინიკა დასაქმებულია იმით, რომ ხელოვნურად გააჩინონ ბავშვები, რომლებიც შემდგომ გაჰყავთ საზღვარგარეთ და იყიდებიან ჰომოსექსუალურ წყვილებზე. ამის დოკუმენტები ფაქტობრივად, თავმოყრილი მაქვს, საქმიდან როგორც ირკვევა, ამ კლინიკასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სანდრა რულოვსს. მიმდინარეობს გარკვევა, თუ რამდენად იყო სანდრა რულოვსი ამ საქმეში ჩართული, კერძოდ, ქართველი ბავშვების ჰომოსექსუალურ წყვილებზე გაშვილებით“.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

პოლიტიკური სპეკულაცია

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 18 მაისი
მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: „...თავისთავად, ყველას აქვს უფლება აქციის გამართვის. რამდენად გამართლებული იყო აქციის გამართვა იქ, სადაც მიდიოდა ცერემონია მახლობლად ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების, რამდენადაც ვიცი, ეს ცალკე საკითხი იყო და ეს ცალკე თემაა, მე ამას არ ვეხები“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2046206

ქართული ოცნება

ალია, 3 მაისი
სოსო ჯაჭვლიანი: „შევეგუებით ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას?.. საბჭოთა კავშირის დროს, როცა ჰომოსექსუალებს აპატიმრებდნენ, ცნობილი კინორეჟისორი, რომლის ვინაობასაც არ დავსახელებ [ჟურნალისტი აკონკრეტებს, რომ მხედველობაშია სერგო ფარაჯანოვი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჰომოსექსუალობის ბრალდებით გაასამართლეს] საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთ კინოსტუდიაში მოღვაწობდა... მაგრამ ისინი არც სექსუალური უმცირესობების აღლუმებს აწყობდნენ და არც იმას ითხოვდნენ, გვაღიარეთო. ის, რაც 17 მაისს მოხდა, 30 ვერცხლის სუნით ყარს“.

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი
სოსო ჯაჭვლიანი: „გეიაღლუმის ორგანიზატორები დიდ ფულს შოულობენ და ისინი ყველაზე მეტად სულწაწყმედილი და გათახსირებული ადამიანები არიან“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/970/970.pdf

მაესტრო, პოლიტმეტრი, 17 მაისი
ზაქარია ქუცნაშვილი: „...მათ შეეძლოთ დახურულ შენობაში მოეწყოთ ეს აქცია... მათ აირჩიეს პროვოკაციული ფორმა, რაც ბუნებრივია გამოიწვევდა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებას იმიტომ, რომ ქართველობა ისტორიულად, ტრადიციულად ჩამოყალიბდა, როგორც ეთნოსი, რომლის იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელი არის მისი რელიგიურობა, მართლმადიდებლური რელიგიურობა...“
http://www.youtube.com/watch?v=k-4VVbOkrIs&list=HL1369472894

რუსთავი 2, კურიერი, 17 მაისი
დავით საგანელიძე: „...მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ძალადაბა, რაც ხშირად მოდის მასეთი ორგანიზაციების [„იდენტობა“] მხრიდან, გინდა თუ არა ჩვენი ცხოვრების წესი უნდა მოგახვიოთ თქვენც თავზე, ესეც თავისთავად ძალადობაა და ესეც მიუღებელია...

ის, რომ საზოგადოებამ ვერ მიიღო ამ პატარა ჯგუფის იდეოლოგია და საზოგადოება ამას აღშფოთებით შეხვდა, გასაგებია...არც მინდა მაგათი სახელის ხსენება იმიტომ, რომ ქვეყნისთვის მაგათ სასიკეთო არაფერი არ მოაქვთ, არც ქვეყნისთვის, არც ოჯახისთვის, არც მომავლისთვის, არც ტრადიციისთვის და საერთოდ, არც არაფრისთვის დედამიწაზე. სიკეთისთვის ეგ ხალხი რომ არ არის მომართული, აშკარაა, მაგრამ ფული რომ იშოვონ, ეგ გასაგებია. ამიტომ ესენი დღეს კიდევ შეეცდებიან დაძაბონ სიტუაცია “.
http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2&seekTime=17-05-2013%2015:46

მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 20 მაისი
დავით საგანელიძე: „მაინცდამაინც თავიანთი ფილმები, კლიპები, თავიანთი ფოტოები... იქნებ სადარბაზოებში და ლიფტებში გამოგვიკრან კიდევ? ეს უნდა აიკრძალოს“.

რუსთავი 2, კურიერი, 17 მაისი
ზვიად ძიძიგური: „პირადი ცხოვრების უფლება ყველას აქვს. მაგრამ ახლა იმის დემონსტრირება, მე შვილები მყავს და უმრავლესობის უფლებები სერიოზულად ილახება, როდესაც გამოდიან და დემონსტრირებას მიკეთებენ იმისას, რომ აი, მე ერთსქესიანი ვარ და მაგარი ტიპი ვარ რა“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2041518

მაესტრო, პრეს-პრესი, 18 მაისი
მანანა კობახიძე: „მოვიდნენ ასეთი ორიენტაციის ადამიანები და თქვან, სად არის მათი უფლებები დარღვეული...გამაგებინეთ სად არის, რაღაცეების ზედმეტად გამძაფრებას ხომ არ აქვს ადგილი?“

...პასუხისმგებლობა თქვენ გგონიათ იდენტობის წევრებს საერთოდ მოხსნილი აქვთ? როდესაც ასეთ აქციას გეგმავ, ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ თუნდაც ეს იყო გლოვის დღე, წინა დღე“.
http://www.youtube.com/watch?v=c_HuHP4bsGg&feature=player_embedded

მე-9 არხი, 17 მაისი
ეკა ბესელია: „აბსოლუტური თავისუფლება არავის აქვს... უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გუშინ გლოვის დღე იყო ქვეყანაში. საპატრიარქომ გააკეთა განცხადება, მისი უწმინდესობის განცხადება იყო... თუ ამოცანა არის ის, რომ შექმნა მაპროვოცირებელი გარემო, სადაც ის არის თვითმიზანი, რომ შედეგად მივიღოთ დაზარალებული ადამიანები, გასისხლიანებული პოლიციელი და ა.შ.“
http://www.youtube.com/watch?v=d9y-d6gTv_I

იმედი, 17 მაისი
გიორგი ცაგარეიშვილი: „კოლმეურნეობის მოედნიდან მასობრივი თავშეყრის ადგილისკენ დაიძრნენ, მათ შორის აქციის ორგანიზატორები, რომლებმაც განახორციელეს პროვაკაციული ქმედებები... სხვათა შორის, ამას მოჰყვა რეაგირება იქ შეკრებილი საზოგადოების მხრიდან“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2045633

კავკასია, სპექტრი, 22 მაისი
კობა დავითაშვილი: „მე არ მინდა ჩემი შვილები აღიზარდონ იმ იდეით, რომ გარყვნილება ნორმალურია, ჩვეულებრივია, დასაშვებია და მოსაწონიც კი. ამის პროპაგანდა მე არ მინდა... დემოკრატია ეს არის უმრავლესობის მმართველობა. შევიმუშავოთ, ჩემო ბატონო კანონი, და ვიმსჯელოთ ამ საკითხზე“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2048976

მაესტრო, პოლიტმეტრი, 24 მაისი
გუბაზ სანიკიძე: „პროპაგანდა, რომელიც მიმდინარეობს საქართველოში, მას-მედიის საშუალებებით ჰომოსექსუალიზმის, ეს პროპაგანდა უნდა შეიზღუდოს აუცილებლად... ძალიან ხშირად ნახავთ (ტელევიზიებში) კაბებში ჩაცმულ მამაკაცებს... პროპაგანდაა ეს. ეს ხდება იუმორისტული გადაცემებით, გასართობი პროგრამებით... სიცილ-ხარხარში გვაჩვევენ სიბილწესთან თანაცხოვრებას“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2048812

ასავალ-დასავალი, 15-21 ივლისი
გუბაზ სანიკიძე: „დავუშვათ და ლგბტ-ს პროპაგანდა დავიწყეთ, საბოლოო გზა ამისი არის ერთ-სქესიანთა ქორწინებები და მათთვის ბავშვების აყვანის უფლების მიცემა... იმ ავადმყოფობაზე ნუ ავიცრავთ თავს, რაც არასდროს არ დაგვემართება, რადგან იმან შეიძლება, ცუდი რემისია მოგვცეს".
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/978/978.pdf

კვირის პალიტრა, 8-14 ივლისი
ზაზა პაპუაშვილი: „მხოლოდ 17-მა მაისმა აღგაშფოთათ? როდესაც იცის, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი აქცია რას გამოიწვევს, ხომ არის ამ აქციის ორგანიზატორი მოძალადე... ვერ აკრძალავ ვერც ჰომოსექსუალიზმს, ვერც მრუშობას და ვერც კაცის კვლას. ეს კაცობრიობის თანმდევი მანკიერებებია... სახლში რაც გინდა, ის გააკეთე, მაგრამ თავს რომ აძლევ უფლებას, ქაშუეთის წინ გაიარო და შენი ხუშტური, ახირება თუ ავადმყოფობა ნორმად აქციო, ეს არ მომწონს... თუ ბრძოლას გვიცხადებენ, ჩვენც მოგვცენ უფლება, ბრძოლის ველზე გამოვიდეთ"...
http://www.kvirispalitra.ge/politic/15171-qasethi-qbanbanerkaq-qarthvelebis-arasodes-mesmodaq.html

ასავალ-დასავალი, 15-21 აპრილი
გოგი თოფაძე: „ევროკავშირის რეკომენდაციები გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ევროკავშირს ძალიან უნდა, ჯერ ორი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდეს ქორწინების სასახლიდან და მერე მიგვიღოს წევრად. ასე არ არის, რადგან ევროკავშირის წევრობა ჰომოსექსუალიზმის და ლესბოსელობის წახალისების გარეშეც შეიძლება".
http://www.asavali.ge/archive/2013/965/files/1-41pm5.pdf

ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ივნისი
ანი მიროტაძე: „ინსტიტუტი, რომელიც სარგებლობს ყველაზე მაღალი ნდობით [ეკლესია], მის ხელში არის ძალიან ბევრი ბერკეტი, რომ ძალადობის გარეშე ებრძოლოს მსგავსი ტიპის [ჰომოსექსუალობის] პროპაგანდას. ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა...

შესაძლოა, ვთქვათ, ამ საკითხებზე [მსჯელობა]... რომ სად შეიძლება იყოს ეს დასაშვები, სად შეიძლება არ იყოს დასაშვები".
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12251

პოლიტიკური სპეკულაცია

რუსთავი-2, კურიერი, 21 მაისი
ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრი: „საფუძვლიანი ეჭვი აქვს, ჩემი აზრით, შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ეს გარედან იმართებოდა. იყვნენ ძალები, ვინც ამას ახალისებდა და აფინანსებდა კიდეც".
http://www.myvideo.ge/?video_id=2049142

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი
ირაკლი ღარიბაშვილი, შს მინისტრი: „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ალბათ ოცნებობდნენ, რომ 17 მაისს პოლიციას დაერბია კონტრდემონსტრანტები. ვინ უნდა დაგვერბია? 300 მოძღვარი, მრევლი და 40 000 ჩვენი თანამოქალაქე?.. დაზუსტებით არ შემიძლია რამის თქმა, რადგან ეს გამოძიებით არ არის დადასტურებული, მაგრამ მე ვიცი, ვინ იდგა 17 მაისს დაგეგმილი პროვოკაციის უკან. ეს ძალიან ადვილი მისახვედრია და თქვენც მიხვდებით და მკითხველიც!"
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/973/973.pdf

მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 20 მაისი
დავით საგანელიძე: „მაქვს ინფორმაცია, რომ მათ უკან (ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორები) იყო გარკვეული ძალები... გარკვეული ფინანსებიც და პირველი ამოცანა იყო სწორედ ის, რომ როგორმე იქნებ შეცდომა დაეშვა პოლიციას და თავის ხალხს დაპირისპირებოდა“...

დემოკრატიული მოძრაობა

ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 ივნისი
ნინო ბურჯანაძე, სახალხო პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი: „ჩვენი პრობლემა თურმე ის ყოფილა, რომ ლგბტ პირები აუცილებლად გამოდიოდნენ და ჩემ და თქვენ შვილებს აყურებინებდნენ იმას, რომ თურმე შეიძლება, დედასაც დედა ერქვას და მამასაც მამა... ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათზე ძალადობა არ განხორციელდეს და არ დაჩაგრონ, მაგრამ შეიკეტონ თავისთვის ოთახებში, რაც უნდათ ის აკეთონ, გარეთ გამოვიდნენ, იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები, როგორიც ვართ მე, თქვენ და ნებისმიერი სხვა. ნუ ვიყვირებთ, რომ მე ვარ ქალი, ნუ იყვირებს კაცი, რომ მე ვარ კაცი“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12356

ასავალ-დასავალი, 17-23 ივნისი
ნინო ბურჯანაძე: „იცით, რა მიკვირს? „ქართული ოცნება“ ეფერება ყველას — „ნაცმოძრაობას“, დამნაშავეებს, სექსუალურ უმცირესობას, კიდევ რა ვიცი, როგორ უმიცირესობას, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აბუჩად გვიგდებს“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/974/974.pdf

მე- 9 არხი, მთავარი კითხვა, 26 ივნისი
ნინო ბურჯანაძე: „მე დღეს აბსოლუტურად გაოგნებული ვიყავი, ცოტა შეურაცხყოფილიც, როდესაც მოვისმინე განცხადება [ნატოს გენერალური მდივნის 17 მაისზე], რომ მთავარი პრობლემა საქართველოში და საქართველოს დემოკრატიის განვითარებაში და საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე, ყოფილა ლგბტ პირების უფლებების დაცვა...

საქართველოს მოსახლეობის უმთავრესი პრიორიტეტი არ არის ლგბტ უფლების დაცვა...

აქ არის საუბარი ამ ადამიანების მხრიდან თავისი მიდრეკილებების პროპაგანდის დაცვაზე, რაც მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისთვის. მე ვამბობ, რომ ეს არ შეიძლება იყოს ნომერ პირველი პრიორიტეტი იმ ქვეყნისათვის, რომელსაც აქვს ქვეყნის ტერიტორიის 2/3 დაკარგული...“
http://www.myvideo.ge/?video_id=2080244
http://www.myvideo.ge/?video_id=2080247
http://www.myvideo.ge/?video_id=2080253

სახალხო კრება

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი
ელიზბარ ჯაველიძე: „როგორც კი ამ პედარასტებსა და ლესბოსელებს თავს დავუხრით და ამ ვითომ ცივილიზებულობას მივეძალებით, ესენი მაშინვე თავზე წამოგვასხდებიან და აქეთ დაგვიწყენებ თავიანთი პირობების წამოყენებას! პედარასტია არის სოდომური ცოდვა!.. ნურავინ მომთხოვს მათ სიყვარულს!“

ასავალ-დასავალი, 27 მაისი-2 ივნისი
ელიზბარ ჯაველიძე: „მსოფლიო პედარასტების მქადაგებლები კი გვიმტკიცებენ, რომ ადამიანები ღვთის ხატად ქცევისკენ კი არა მაიმუნად და ცხოველად გარდაქმნისკენ უნდა ისწრაფვოდნენ...

როგორც მითხრეს, ლგბტ აქცია 17 მაისს სომხეთშიც ჩატარებულა და სომხებს კარგა მაგრად უთეთქვიათ პედერასტები!..

ვინ მიგდია ამერიკის ან ჰოლანდიის ელჩი, რომ ჩვენი ტრადიცული ქართული ზნეობისა და სულიერების დაცვისთვის გაგვაკრიტიკოს და ჭკუა გვასწავლოს... ისე, თუ აქამდე გვიმტკიცებდნენ, საქართველოს ნატოში შესვლა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღვრილ სისხლზე გადისო, ახლა, ჩვენი ნატოში გაწევრიანება ქართველი პედარასტების უკანალის პატივისცემაზე ყოფილა დამოკიდებული!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

ასავალ-დასავალი, 22-28 ივლისი
ელიზბარ ჯაველიძე: „ჩამოდის აქ ეს რასმუსენი-ნატო-დ წოდებული ამერიკული ჟანდარმერიის უფროსი და თითს გვიქნევს, 17 მაისს პედარასტების უფლებები დაარღვიეთ, თქვე არადემოკრატებოო! 17 მაისს თბილისში ერთ პედარასტსაც არ გაკაწრია ნაზი უკანალი, მაგრამ 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ხალხი ცემით მოკლეს და სამუდამოდ დაასახიჩრეს!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

ასავალ-დასავალი, 22-28 ივლისი
ელიზბარ ჯაველიძე: „...დიახ, და ეს „გეი-ომბუდსმენი“ იმიტომ ჩამოურიგებს ჯარიმებს „პედარასტების უფლებების დამრღვევ“ ჩვენს მოქლაქეებს, რომ ამით ამერიკასა და ევროპას ასიამოვნონ, ნახეთ, როგორ ერთგულად ვიცავთ საქართველოში სექსუალურ უმცირესობებსო! პირადპირ გეტყვით: წყალსაც წაუღია ისეთი საქართველო, სადაც მხოლოდ პედარასტებისა და ლესბოსელების ოცნებები ახდება!

თუ ნატო-სკენ მიმავალი გზა ჩვენებური პედარასტების უკანალზე გადის, მაშინ ასეთი ნატო-ც დამიწყევლია, ასეთი გზაც და ასეთი ქვეყანაც! მე არ მინდა, რომ ჩვენი ბავშვები პატარაობიდანვე პედარასტების პატივისცემითა და სიყვარულით აღიზარდონ და როგორც ამერიკაში, მასიური ფალოსის ფორმის აბაზანაში აჭყუმპალაონ!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი
გია ბურჯანაძე: „მე როგორც მოქალაქემ, შემიძლია, ავიტანო ჩემს სამშობლოში ჰომოსექსუალების არსებობა, იყვნენ თავისთვის, მაგრამ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის აღვირახსნილი პროპაგანდა ჩემთვის დაუშვებელია! მეტსაც გეტყვით: ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა საქართველოში კანონით უნდა აიკრძალოს!... საქართველოსთვის, რომელიც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ჰომოსექსუალიზმის გავრცელება დაღუპვას ნიშნავს!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

ლეიბორისტული პარტია

საზოგადოებრივი მაუწყებელი, დიალოგი, 17 ივლისი
შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტთა საპრეზიდენტო კანდიდატი: „იმდენი უკუღმართობა ჩაიდინეს

[დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე; თინა ხიდაშელი, პარლამენტის წევრი], იმდენი ჰომოსექსუალისტის, ლეზბიანკის და სექტების დაცვა განახორციელეს. ყველაფერი გაყიდეს...

რუსთაველის პროსპექტზე ამის ანგაჟირებას ნუ დაიწყებენ [17 მაისის აქციაზე], ხომ იციან, რომ რეაქცია იქნება ასეთი...“
http://www.myvideo.ge/?video_id=2097236
http://www.myvideo.ge/?video_id=2097241

იმედი, 17 მაისი
შალვა ნათელაშვილი: „გუშინდელი აქცია ნაცმოძრაობასთან ერთად პროვოცირებული და ორგანიზებული იყო პრემიერ ივანიშვილის, პრეზიდენტობის კანდიდატ მარგველაშვილის და პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილის მიერ... უფრო მეტიც, პრემიერის განცხადებით, თურმე ჩვენ უნდა გავემზადოთ ერთსქესიანთა ქორწინებისთვის“.
http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=4483

პატრიოტთა ალიანსი

კავკასია, ბარიერი, 21 მაისი
სოსო მანჯავიძე: „მთელი ჩვენი ისტორიული ნარატივი ამის [ჰომოსექსუალობის] წინააღმდეგია... წმინდა ნიკოლოზმა ურიკინეს ხელი დაარტყა ნიკეის საეკლესიო კრების დროს... მაგრამ ის წმინდა ნიკოლოზად დარჩა... ამისთვის არის პარლამენტი სწორედ, რომ უმრავლესობის შეხედულებები, უმრავლესობის განწყობილებები, ასახულ იქნეს კანონებში, რომ არ მივიღოთ ასეთი ტიპის პროვოკაციები“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2046410

ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 მაისი
სოსო მანჯავიძე: „კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამის [ჰომოსექსუალობის] გავრცელების. მით უმეტეს, დადებითად აღწერის, რასაც მიზანმიმართულად გვაიძულებენ ჩვენ დასავლეთიდან...

სეკულარულ სახელმწიფოში... სახელმწიფო სამართლის დრეიფი მიდის... რატომღაც მაინცდამაინც ერთსქესიან ქორწინებამდე. და მიდის კიდევ უფრო გაუკუღმართებულ ფორმებამდე, დავუშვათ, როგორიც არის პედოფილია, როგორიც არის ზოოფილია“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12147

ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 ივლისი
სოსო მანჯავიძე: „კოჰაბიტაცია, სხვათა შორის, დავით მხეიძემ კარგი შედარება მოიტანა, ორი გეის ალერსს ჰგავსო ძალიანო, რომელიც ამაზრზენია ნორმალური ადამიანებისთვის“...
http://obieqtivi.net/tv1.php?id=13032

ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 ივნისი
დავით თარხან-მოურავი: „ის, რომ მამათმავლობის პროპაგანდა აიკრძალოს, აი, ამისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ ჩვენ. თუ ჩვენ ამას არ ავკრძალავთ, ჩვენ ჩვენს სახელმწიფოს დიდი საშიშრობის ქვეშ დავაყენებთ“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12235

ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 აპრილი
დავით თარხან-მოურავი: „კაცი, რომ კაცს შეირთავს... და ქალს ქალი ქმრად, რომ ეყოლება აი, ეს

იდეოლოგია, რომ წინა პლანზეა და თუ ეს არ მოგწონს... ჰომოფობებად რომ გამოგაცხადებენ... ეს ეროვნული ნაცისტები, ესაა ეტყობა ილიას გზა... რომელთა მთავარი ლოზუნგია გზა ილიასი, კაცმა კაცი ცოლად შეირთოს, ქალი ქალს ქმრად ჰყავდეს“...
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11689

ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 ივნისი
დავით თარხან-მოურავი: „კაცობრიობა დარწმუნდა იმაში, რომ ჰომოსექსუალობა არ არის ნორმალური მოვლენა... დღესაც ძალიან ბევრი მეცნიერი მიიჩნევს ამას დაავადებად და მე ზუსტად ამ პოზიციაზე ვარ, რომ ეს დაავადებაა“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12235

ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 ივნისი
დავით თარხან-მოურავი: „კაცი რომ ამბობს, ქალი ვარო, რატოა ნორმალური... ჰომოსექსუალიზმი, ჩემი აზრით, არის დაავადება... ის, რომ ორი ჰომოსექსუალისტი სახლში ჩაიკეტება და რას გააკეთებს, ჩვენ ეს გვესმის, ეს ჩვენი საქმე არაა... მაგრამ ის, რომ ამის პროპაგანდა სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია საზოგადოებაში“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12419

ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 აგვისტო
დავით თარხან-მოურავი: „გარკვეული ჯგუფები ადამიანებისა ცდილობენ, მსოფლიოს თავს მოახვიონ აი, ეს ახალი, რაღაცა გაუგებარი მორალი... ადამიანები, რომლებიც აი, ამ ბოროტ და სრულიად მავნე ზნეობრივ ნორმებს და იდეოლოგიის დანერგვას ცდილობენ საქართველოში, ნაცმოძრაობა, ეს არის პროთურქული ორგანიზაცია“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=13110

ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 ივნისი
მანუჩარ მაჩაიძე: „აი, ამ 9 წლის განმავლობაში ჩვენდა სამწუხაროდ, ხდებოდა სექსუალური უმცირესობების მხრიდან სექსუალურ უმრავლესობაზე ძალადობა...

მივაღებინებდი კანონს, რომ ისეთ ორგანიზაციებში, სადაც მამაკუცური ორგანიზაციაებია [გენდერული დისკრიმინაცია]... ასეთ დაწესებულებებში არ უნდა მოხვდნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები... როდესაც ციხეში ხარ, პატიმრები არიან და ციხის უფროსია მამათმავალი, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია თავისი თანამდებობა ბოროტად გამოიყენოს, რასაც ადგილი ჰქონდა 9 წლის განმავლობაში ციხეებში და თუნდაც არმიაში“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12207

ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 ივნისი
მანუჩარ მაჩაიძე: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროპაგანდა, რომელსაც სექსუალური უმცირესობის ადამიანები აწარმოებენ საქართველოში, არასწორია და ჩვენ კარგად ვიცით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც მართლმადიდებელი მრევლი, წინააღმდეგია ამისა.

...მიზანმიმართულად ხდებოდა სექსუალური უმცირესობის მხრიდან სექსუალური უმრავლესობის, ანუ ჩვეულებრივი ადამიანების მიზანმიმართული გაუპატიურება“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12341

თავისუფალი საქართველო

კვირის ქრონიკა, 3-12 მაისი
გია ყრუაშვილი: „აქ ამაყად დადიან კესარიები, კესოები და სხვა „პედერასტები“. ბიჭო, ისე აპიარებენ ამ პედერასტებს, ლამისაა, სქესი შევიცვალო, ამათი დედა მოვტ..ან! მე ამათი სიკვდილი და დახვრეტა კი არ მინდა? იყვნენ თავიანთთვის, რას მეჩიჩინებიან ყოველდღე ტელევიზიით?“.

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი
გია ყრუაშვილი: „...ამიტომაც კანონმა უნდა დაარეგულიროს, თორემ ამათი შეჩერება შეუძლებელი იქნება, გამოყონ გეიაღლუმებისთვის ადგილი“.

იმედი, ქრონიკა, 17 მაისი
კახა კუკავა: „ძალადობაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკუთვნის ლგბტ აქტივისტებს [17 მაისის აქცია], რომლებმაც მოინდომეს, რომ თავიანთი აქცია ჩაეტარებინათ მაინცდამაინც სამი მეტრის დისტანციაში იქ, სადაც 20 ათასი მორწმუნე იყო შეკრებილი“.
http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=4483

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი
კახა კუკავა: „ხალხს პირდაპირ შეურაცხყოფა მიაყენა [ნატოს გენერალურმა მდივანმა], როცა საკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა და ივანიშვილის ხელისუფლებას მთავარ რეკომენდაციად სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა მისცა!

ამერიკის იმპერია საქართველოში იცავს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს და ჩვენს ქვეყანაში ვინ სცემეს, აწამეს და გააუპატიურეს, ეს ამერიკის ინტერესების სფეროში არ შედის!.. საქართველო ვერასოდეს გახდება ნატო-ს წევრი!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

მაესტრო, 17 მაისი
დიმიტრი ლორთქიფანიძე: „არ შეიძლება, შეწყნარებულ იქნეს უზნეობის ინსტალაციის მცდელობა, მით უმეტეს, როდესაც მას ჰყავს კონკრეტული დამკვეთი, კონკრეტული დამფინანსებლები“...
http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=maestro&seekTime=17-05-2013%2015:13

ქრისტიან-დემოკრატები

რეზონანსი, 22 მაისი
გიორგი თარგამაძე: „გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრების წესი არის არანორმალური. აქ საუბარია საჯარო სივრცეში პროპაგანდაზე, რადგანაც ამ ადამიანებს სახლში არავინ უვარდება. ამიტომ ჩვენ ამ ყველაფრის წინააღმდეგ ყველა მეთოდით უნდა ვიბრძოლოთ. თუ არ გვინდა, რომ თბილისის ცენტრში გეი პარადები ტარდებოდეს“.

ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 აგვისტო
გიორგი თარგამაძე: „რატომ აიღო ქართულმა სამღვდელოებამ თავის თავზე ეს არც თუ ისე მსუბუქი მისია [17 მაისის აქცია]?.. იმიტომ რომ ზოგი ქვეცნობიერად და მათი უმეტესობა აბსოლუტურად გაცნობიერებულად ამჩნევს , ხედავს და აფასებს ამ საფრთხეს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2110071

მაესტრო, პოლიტმეტრი, 27 მაისი
ლევან ვეფხვაძე: „თუკი გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის ერთსქესიანთა ქორწინების საკონსტიტუციო აკრძალვა, რომელზეც ჩვენ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვსაუბრობდით განხორციელდება, მე ვფიქრობ, ბევრი პრობლემა 17 მაისამდე და ამ დღესთან დაკავშირებითაც მოხსნილი იქნებოდა“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2051329

ქართული დასი

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი
ჯონდი ბაღათურია: „...სხვა საქმეა, შენი პირადი ანომალიური ცხოვრების გასაჯაროება და მისი პროპაგანდა“.

ასავალ-დასავალი, 22-28 ივლისი
ჯონდი ბაღათურია: „რა თქმა უნდა, ქვა არ უნდა ვესროლოთ, მაგრამ ვერ გამიგია, სხვებს რატომ ახვევენ თავის გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობებს, რა საჭიროა ცოდვით დაცემულ ადამიანთა ყოფის პროპაგანდა?! ნამდვილად, სამარცხვინოა, როცა უდანაშაულო მღვდლებს სასამართლოში მიიყვან, რათა ხულიგნობის მუხლით გაასამართლონ...“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 ივლისი
ჯონდი ბაღათურია: „ერი ებრძოდა სააკაშვილს და აი, ამ ლგბტ-ს... ერი ებრძოდა ამ რეჟიმს და ამ ლიბერასტებს ივანიშვილის სარდლობით. ეხლა გამოვიდა ისე, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ ივანიშვილის სარდლობით და ჩვენი სარდალი გადავიდა ამათ მხარეს და ჩვენ გვასამართლებს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2101034
http://www.myvideo.ge/?video_id=2101030

ეროვნულები

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი
სანდრო ბრეგაძე: „...არავის აქვს უფლება, გარყვნილების პროპაგანდა აწარმოოს... ჩვენთან ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსექსუალების აქცია ქაშუეთის ეკლესიის წინ რატომ უნდა ჩატარდეს? ! თუკი ასეთი აქციის ჩატარება აუცილებელია, წავიდნენ და გარეუბნებში ჩაატრონ“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

იმედი

ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი
ირინა სარიშვილი: „ის ადამიანები, ვინც ამას აკეთებენ [გიორგი ფარესიშვილის შესახებ ჰომოსექსუალური ჩანაწერების გამავრცელებლები], კი არ ებრძვიან ჰომოსექსუალებს თუ ჰეტეროსექსულებს, ასეთი რაღაცეების გაკეთებით პირიქით, მათ პოზიციებს აძლიერებენ... არსებობენ ადამიანები და მეც მათ შორის, ვისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია ეს ადამიანები... სადამდე მიჰყავს მთელი მსოფლიო ამ პრობლემას ყველამ ძალიან კარგად იცის“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11815

სახალხო პარტია

ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 მაისი
მამუკა გიორგაძე: „გაცილებით მარტივია ჩემთვის, ნორმალური ორიენტაციის ადამიანისთვის, რომ ერთი მუშტი გავიქნიო, ვიდრე დავჯდე და პრობლემების მოგვარებაზე ვიფიქრო. ამიტომ როდესაც დაბალი ადამიანური ინსტინქტების გაპიარება ხდება ქვეყანაში, პირველი რეაქცია ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანისთის არის, რომ მას რაც შეუძლია, აღკვეთოს....“
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11856

თეთრები

ალია, 19 ივნისი
თემურ შაშიაშვილი: „17 მაისი დიდი წყალგამყოფი იყო საქართველოსთვის, მე მითხრეს გარედან, თქვენკენ დიდი ფულის ნაკადები წამოვიდა, გეშინოდეთო. დიახ, ფულიც წამოვიდა და აღვირახსნილობის პროპაგანდაც!.. მე არ მესმის, ნუთუ ეს უნდათ, რომ მენტალიტეტი შეგვიცვალონ? ნუთუ ასე უნდა, მოშალონ მართლმადიდებლობა?“
http://alia.ge/com/news/view/1379

პრეზიდენტობის კანდიდატი

ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 ივლისი
ავთანდილ იოსელიანი, პრეზიდენტობის კანდიდატი: „ალბათ საკანონმდებლო ინიციატივით გამოვალთ, რომ შევიდეს ჩვენს პარლამენტში ინიციატივა [ჰომოსექსუალობის] პროპაგანდის აკრძალვის, რომ ყოველგვარი უზნეობის პროპაგანდირება შეზღუდული უნდა იყოს ქვეყანაში“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=13004

ექს-პრეზიდენტი

ასავალ-დასავალი, 13-19 მაისი
ედუარდ შევარდნაძე, პრეზიდენტი: „გეია, თუ რაღაც ჯანდაბაა, გასაგებია, რომ მსოფლიოში მათ მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ეს საქართველოა და მე, როგორც რიგით ქართველს, არ მინდა, რუსთაველზე მათი აღლუმი ვნახო! რა უბედურებაა ვეღარ გაგვირკვევია, კაცია თუ ქალი. გეი-აღლუმები საქართველოში ვერ გაიმართება“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

ყოფილი პარლამენტარები

ობიექტივი, ღამის სტუდია, 17 მაისი
თამაზ დაუშვილი: „ყველაზე მეტად ის მაოცებდა, რომ მე ტელევიზორით ვუყურებდი [17 მაისის აქციის დაშლას], მქონდა ბედნიერება ამისი, ვხედავდი, რომ ავტობუსები, სადაც ჩაამტვრიეს მინები“...
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11971

ასავალ-დასავალი, 27 მაისი-2 ივნისი
პეტრე მამრაძე: „სააკაშვილის მმართველობის დროს ბევრი სტრუქტურა სამინისტროები, უმაღლესი სასწავლებლები თუ მედია მიზანმიმართულად დაავადეს ჰომოსექსულიზმის ვირუსით!..

ჰომოსექსუალები უმძიმესი ავადმყოფები არიან და მათ პოპულარიზაცია კი არა, მკურნალობა სჭირდებათ... ჰომოსექსუალიზმი ჰგავს კიბოს — როგორც კი კიბოს უჯრედები ჯანმრთელ ორგანიზმში შეაღწევენ, თუ მას დროულად არ უმკურნალე, ეს დაავადება მთელ სხეულს მოედება და ბოლოს კლავს! ასევე ჰომოსექსუალიზმის ბაცილა — თუ მან საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა, შემდეგ იმ მთელ საზოგადოებას ასნებოვნებს და ეს საზოგადოების გარდაცვალებით სრულდად!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

სასულიერო პირები

კვირის პალიტრა, 22- 28 აპრილი
გრიგოლ გოგიჩაძე, დეკანოზი: „ბოლო დროს მამათმავლობა ყველა სფეროში დანერგეს. ნაციონალებმა ყველა ის სიბინძურე გაუკეთეს ეკლესიას, რასაც კომუნისტები აკეთებდნენ, თანაც გაცილებით საძაგლად“.
http://www.kvirispalitra.ge/politic/16729-sandro-girgvlianis-dedis-modzghvars-gaupatiurebith-emuqrebodnen.html

ალია, 14 მაისი
ელიზბარ დიაკონიძე, სამების ტაძრის დიაკვანი: „მამათმავლებს არ უნდა მიეკარო, მაგრამ არც უნდა გაატარო!.. მე დავიმოწმებ იოანე ოქროპირის სიტყვებს, როცა ამბობს, როცა შენს უფალს შეურაცხყოფას აყენებენ და გიგინებენ, ყვრიმლის ცემაც რომ დაგჭირდეს მაგინებლისა, აღიღე და სცემე ისო“.

ალია, 17-20 მაისი
ელიზბარ დიაკონიძე: „რას ნიშნავს ის, რომ პატრიარქის მოწოდების მიუხედავად, არ გადაიდება სულ და გვამ გარყვნილთა აღლუმი და საჯარო გამოსვლა? რატომ ცდილობს ახალი თუ ძველი მთავრობა, ჩვენს ბავშვებს სული შეურყვნას? საკუთარ სახლში იგუებენ მსგავსი ორიენტაციის ადამიანებს?..

„სახლში წაიყვანოს და პინგვინების ყოლას [MDF: იგულისხმება პრემიერ-მინისტრი] სამი პიდარასტი სჯობია ეზოში დაბმული... კი ბატონო, არიან ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ შეიკრიბონ სადმე სხვაგან, აგერ პრეზიდენტს სასახლე აქვს გადასარევი და ჰყავდეს თავისთან. კი უყვარს ეგეთ ადამიანებთან ჩახუტება, „ანჟელა“ ხომ ჰყავდა ჩახუტებული?”

კვირის ქრონიკა, 27 მაისი-2ივნისი
ელიზბარი დიაკონიძე: „ესპანეთში ხარს რომ წითელს აუფრიალებენ, ხარი ტორეადორს გლეჯს... უკაცრავად თქვენთან და მამაკაცი რომ სამღვდელოებას დუნდულებს აგვითამაშებს... როცა ჩვენ ვქადაგებთ, რომ შენ უნდა იყო მამრი, შენ უნდა იყო მდედრი... ამ დროს მომიტრიალდება უკანალის ქიცინით მამაკაცი და მეუბნება, რომ მამაკაცთან წვება. გეკითხები, ეს როგორ უნდა ავიტანო? ერთსქესიანთა ქორწინება გვინდა ჩვენ?“

ალია, 11 ივლისი
ელიზბარ დიაკონიძე: „ეს რასმუსენი რას ისმუსნება, რა უნდა? რა გვინდა ჩვენ იმ ორგანიზაციაში, სადაც მამათმავლობა უფრო მოსწონთ? ამ ახალ ხელისუფლებას ამისთვის სცალია, იმიტომ რომ ჩემი სამშობლო ფეხებზე ჰკიდია“...

ალია, 24 ივლისი
ელიზბარ დიაკონიძე: „ეკლესია ამბობს, ქართულ მართლმადიდებლურ სამყაროში ყოვლად დაუშვებელია სჯულგადაგვარებულთა და სექსობრივად გადაგვარებულთა ყოფნა. თქვენ წარმოიდგინეთ, მათთან სადილად ჯდომა იკრძალება სჯულის კანონით, მათი ზიარება იკრძალება, იმიტომ, რომ ისინი ბილწავენ იგივე ჭურჭელს, რაშიც ქრისტეს სისხლი და ხორცია... მისმა უწმინდესობამ ერთი წმენდა ჩაატარა ეკლესიაში და მამათმავლები განკვეთა ეკლესიიდან ამ სოდომური ცოდვით დასნებოვნებულები. ახლაც, ჩვენდა საუბედუროდ, შეიმჩნევა ამ პირთა მომრავლება ეკლესიაში“...
http://alia.ge/com/news/view/1625

რუსთავი2, კურიერი, 17 მაისი
მეუფე იაკობი: „მაგათი პარპაშის დრო უნდა დამთავრდეს. ჩვენ ვერანაირი უცხოეთი ვერ გვაიძულებს, რომ მაგათ დავემონოთ და ასეთ რაღაცეებს ვუყუროთ.. რას უშვრებოდნენ ხალხს - ციხეებში აუპატიურებდნენ. და ვისზე ამბობენ, რომ მოძალადეები არიან?.. ცოტა ვაუკაცურად დახვედრა თუ უნდათ, დავხვდებით ჩვენ ვაუკაცურად. და ჭკვიანად იყვნენ მართლაც, ერთხელაც იქნება - ერი არ აპატიებს!“
http://www.myvideo.ge/?video_id=2041501

კავკასია, დღეს, 17 მაისი
მეუფე იაკობი: „ხალხის აგრესია სამართლიანი აგრესიაა, მაგრამ აგრესია ცუდია... შეხედეთ ამ ზღვა ხალხს, არ მიხედავს ამას ხელისუფლება, მივხედავთ ჩვენ, ხალხი“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2041486

მაესტრო, 14 ივლისი
მეუფე იაკობი: „თქვენ ბედმა გაგიღიმათ, რომ მართლმადიდებლები შემწყნარებლები ვართ. სხვა რელიგიებს ამას ვერ გაუბედავდით... და ძალიან გთხოვთ, იქნებ სიკეთის გაკეთებით დაიწყოთ და რაღაცა ერთი კონკრეტული სიკეთე ქვეყანას გაუკეთოთ და იქნებ მოგეწონოთ მერე მაგი და იქნებ შეიცვალოთ და ადამიანებს დაემსგავსოთ“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2093840

ასავალ-დასავალი, 22-28 ივლისი
ბერი იოთამი: „ის დეპუტატები, რომლებიც ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას უყრიან კენჭს, ეკლესიისგან განიკვეთებიან!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი
დავითი ისაკაძე, დეკანოზი: „რატომ გვიქადაგებენ ამ გარყვნილებას საქართველოში სხვადასხვა ევროპული თუ ამერიკული გრანტებით აღჭურვილი ადმიანები? სხვათა შორის, ისინი საკმაოდ აგრესიულები არიან. თავიანთ მანიფესტში პირდაპირ უწერიათ, რომ ყველა ოჯახში უნდა შეიჭრან! ანუ ისინი ჰეტეროსექსუალებს აღიქვამენ, როგორც პოტენციურ მტრებს! ფაქტობრივად, ეს არის ბრძოლა, ომი, რომელშიც ჩართული არიან დიპლომატიური წრეებიც.

ქართველ საზოგადოებაში უკვე გაჩნდა პოზიცია და მოთხოვნა, რომ ის დიპლომატები, რომლებიც საქართველოში გარყვნილების ქადაგებას და კონფლიქტების გაღვივებას უწყობენ ხელს, გამოცხადდნენ პერსონა ნონ-გრატად, ხოლო სახალხო გამოსვლები მათი საელჩოების წინ გაიმართოს“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

ასავალ-დასავალი, 5-11 აგვისტო
დავითი ისაკაძე: „ჩვენ უკვე დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება ისეთი მსვლელობების კანონის დონეზე აკრძალვის მოთხოვნით, რომლებიც უზნეობის დემონსტრირებას ახდენენ... ასეთი მსვლელობები, რომლის ანალოგი 17 მაისს თბილისში სურდათ მოეწყოთ, არის პრელუდია, რომ შემდეგ ერთსქესიანთა ქორწინებისა და ინცესტის დაკანონებაც მოითხოვონ!..“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/981/981.pdf

საზოგადოების წარმომადგენლები

ასავალ-დასავალი, 13-19 მაისი
რეზო ამაშუკელი, პოეტი: „საქართველოში პედარასტებისა და კაცის კაცზე გათხოვების ლეგალიზაცია ვერასოდეს მოხდება. პირდაპირ ვაცხადებ - მეზიზღებიან პედარასტები, იმიტომ, რომ ბინძურები და ავადმყოფობის გამავრცლებლები არიან...“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

კავკასია, სპექტრი, 21 მაისი
რეზო ამაშუკელი: „ეს არის დაგეგმილი თავისუფლების ინსტიტუტში, ქალბატონი მანგუსტა ამ ჩვენი ბოკერიას მეუღლე, იგივე მერაბიშვილი... შენ ხო არ გგონია, რომ ამხელა გავეშება და ეგზალტაცია იყო იმ საცოდავი ადამიანების მიმართ, რომლებიც უკვე თითქოს ავადმყოფები აღარ არიან, ეს იყო იმ ცხრა წლის ბოღმის გადმონთხევა“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2045881

ალია, 23 მაისი
რეზო ამაშუკელი: „რუსს ჩემთვის არ მოუთხოვია, წადი შენი ბიძაშვილი მოიყვანე ცოლადო, ან კაცზე დაქორწინდიო“.

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი
რეზო ამაშუკელი: „17 მაისზე რომ ილაპარაკა პატივცემულმა რასმუსენმა, რატომ არ ილაპარაკა 26 მაისზე?.. ამათ უნდათ ქართველების გარყვნა და გადაგვარება... ეს არის პირდაპირი მოწოდება და დირექტივა, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ქართველობაზე!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

ასავალ-დასავალი, 22-28 ივლისი
რეზო ამაშუკელი: „მალე შედგება ამერიკული ქორწინება ბაქრაძესა და უსუფაშვილს შორის, ოღონდ ჯერ არ ვიცი, ნეფე რომელი იქნება და დედოფალი რომელი!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

კვირის ქრონიკა, 22-28 აპრილი
თამაზ წივწივაძე, მწერალი: „კაცის კაცთან თანაცხოვრება, ანუ დღევანდელი კოჰაბიტაცია, გამრავლების ნაცვლად ეროვნული გამოქლიავებულობის საფუძველთა „საფუძველია“.

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი-5 მაისი
კობა არაბული, მწერალი: „იმათ გვერდით არ დავდგები, ვინც ყველა უბედურებასთან ერთად, ერის თვითლიკვიდაციას გეგმავდა მამაკაცებს შორის სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდის გზით“.

ასავალ-დასავალი, 8-14 ივლისი
ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი: „მათ არ აინტერესებთ ეროვნული თემატიკა, მათი პრიორიტეტია პედარასტებზე გაკეთებული ფილმები.... დარწმუნებული ვარ, კინოცენტრში ძალიან ბევრია ლგბტ წარმომადგენელი, რომლებსაც ბოლომდე მაინც ვერ დამალავენ“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/977/977.pdf

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი
ლევან ანჯაფარიძე: „არ მინდა პედარასტად შევიდე არც ნატოში და არც ევროკავშირში!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/973/973.pdf

რეზონანსი, 20 მაისი
ზაზა ხუციშვილი, მომღერალი: „ვფიქრობ, საჩქაროდაა კანონმდებლობაში შესატანი ისეთი ცვლილებები, რომლებიც მათ უფლებებს დაიცავას, მაგრამ პროპაგანდას აუკრძალავს. შარშან მამაკაცები პირდაპირ ქუჩაში კოცნიდნენ ერთმანეთს... ამის საშუალება მათ ნამდვილად არ უნდა მიეცეთ“.

კვირის პალიტრა, 15-21 ივლისი
ჟანრი ლოლაშვილი, მსახიობი: „...ქალისა და კაცის ალერსს აჯარიმებენ და გეიაღლუმს არა? რომ ითხოვენ გადაგვარებულები, გინდათ თუ არა, მიყურეთ, რას ვიზამ ქუჩაშიო, აი, ეგ არის ადამიანური ღირსების დარღვევა და სწორედ ეგ არის დასაჯარიმებელი. მათთვის არანაირი ჯარიმა არ კმარა – ციხე ალალია!.. კაცი კაცს რომ ენას გადაუგდებს ქუჩაში, რა უბედურებაა?!.. რაც არ შედის ადამიანური ქცევების ნორმებში, დასასჯელია, აბა, რა ოხრობაა?!“

კვირის პალიტრა, 29 ივლისი-4აგვისტო
გივი სიხარულიძე, მსახიობი: „ქალს რომ მოთხოვ, მოწმობა მომეცი, ქალიშვილი ხარ თუ არაო, ქუჩაში უნდა გამოაკრან შენი სურათი, როგორც „პედერასტის“... სამწუხაროდ, იმ ქვეყანაში, სადაც კაცს კაცი მოჰყავს ცოლად და ქალს ქალი, აღარაფერი მიკვირს. ასეთ გახრწნილ სამყაროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და რაღა უნდა გაგიკვირდეს?!..

შემირცხვენია ის ერი, სადაც 17 მაისს გეი აღლუმის წინააღმდეგ გამოსულ მღვდლებს საპატიმროებისკენ უბიძგებენ და ცისფერები გალაღებული დაეთრევიან. ახლა კიდევ ახალი სიმახინჯე მოგვახვიეს თავს... მე თუ მკითხავთ ვაჟიშვილობის მოწმობა უნდა შემოიღონ, რადგან პედერასტებით გაივსო მთელი ქვეყანა... ცისფერებს და გადაგვარებულებს ვერაფერი ვერ შეაშინებთ. ისინი შეაშინებენ ცოტა ხანში სამყაროს“.
http://www.kvirispalitra.ge/public/18030-givi-sikharulidze-qme-thu-mkithkhavth-vazhishvilobis-mots mobac-unda-shemoighon-pederastebith-gaivso-qveyanaq.html

იმედი, ღია ეთერი, 17 მაისი
დიმა ჯაიანი, მსახიობი: „გეები უნდა ვიყოთ ყველა, ნატოში რომ მოვხვდეთ? არ მინდა ბატონო ნატოში მოხვედრა“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2050182

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი
დიმა ჯაიანი: „ამათ უკანალის დაკრულზე უნდა იაროს ათასწლოვანი მართლმადიდებლური კულტურის ერმა?! ამათი უკანალია ჩვენი ბილეთი ნატოში?! არ მინდა, ძმაო! წყეულიმც ვიყო, თუ ამას შევეგუო და წინაპრების საფლავებში ჩავაფურთხო!.. ამ რასმუსენს თუ ასე ემშობლიურება ეს პე-

დარასტები, მოკრიფოს და წაიყვანოს ავღანეთში საომრად — ვნახოთ, როგორ გამოადგება! ქართველი ბიჭები იმიტომ უნდა გავულიტოთ ავღანურ სასაკლაოზე, რომ აქ პედარასტებმა აღლუმი ჩაგვიტარონ?!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

ობიექტივი, ღამის სტუდია, 17 მაისი
გია მაისაშვილი: „ვიღაცა თუ არის ავადმყოფი და თქვენ ვინც დაასახელეთ, ისინი არიან ავადმყოფები [ლგბტ პირები], მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყანა და ჩემი საზოგადოება ამ ავადმყოფების ავანტიურას აჰყვეს და ქვეყანა აფეთქდეს“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11970

ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 ივნისი
ალიკ ესკინი, პოლიტიკური მიმომხილველი: „აი, ყველაზე კარგი გეი აღლუმი [17 მაისის აქციის დაშლა] ჩატარდა საქართველოში... თქვენ არ მისცემთ უფლებას არანაირ უცხოურ დინებებს, რომ თქვენ გაგხრწნან შიგნიდან“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12280

კავკასია, ბარიერი, 24 მაისი
გელა ნიკოლაიშვილი, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის: „იქნებ ამ ეტაპზე მივცეთ ამ ადამიანებს რაღაცა ტერიტორია... იქ შეღწევა უკვე იქნება დანაშაული. როგორც ნუდისტებს აქვთ თავიანთი პლიაჟი“...
http://www.myvideo.ge/?video_id=2049158

პოზიცია, პოზიცია, 17 მაისი
გიორგი გაბედავა, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული: „იმის მაგივრად, რომ ეს ადამიანები სირცხვილით არ გამოვიდნენ და მკურნალობა ითხოვონ და ჩვენ გაუწევთ ამ დახმარებას, პირიქით გადმოდიან აგრესიაზე“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2045641

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 17 მაისი
გიორგი გაბედავა: „ეს მსვლელობა არის ჩვენი ზნეობის დასაცავად. ჩვენ არ დავუშვებთ საქართელოში „გეი-პარადს“ და მსგავს აღვირახსნილ ქმედებებს, რომელსაც ამერიკა აფინანსებს და ევროპა აფინანსებს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2050107

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 24 მაისი
გიორგი გაბედავა: “აიკრძალოს ეს კანონით, საერთოდ. აღვირახსნილობის პროპაგანდა, საქართველოში“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2049001

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 18 მაისი
ევგენი მიქელაძე, ეროვნული ფრონტი: „ჩვენ ვითხოვთ, რომ ხელისუფლებამ საკანონმდებლო დონეზე აკრძალოს გარყვნილების პროპაგანდა, მათ შორის, სექსუალური უკუღმართობა და პროპაგანდა-აგიტაცია“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2044163

ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 მაისი
მალხაზ გულაშვილი, სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა: „მე არავის ვუკრძალავ, თავისი უმსგავსო საქციელი განახორციელოს სადაც უნდა, მაგრამ ამის რეკლამირებას და აფიშირებას ნუ მოახდენს... მე მოვუწოდებ სახელმწიფო ორგანოებს, რომ ის პროვოკაციული ქმედებები, რომლებსაც ესა თუ ის ადამიანები აწყობენ შეგნებულად, შეუზღუდონ მათ თავშეყრის ადგილი...

ასე ხელწამოკვრით ამ ლგბტ-ს ნუ ეხუმრებით... ეს არის უხილავი ანტიქრისტეს არმია. ეს არის ყველაზე ორგანიზებული „მაფია“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12131

ასავალ-დასავალი, 15-21 ივლისი
ავთანდილ უნგიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: „გასული საუკუნის 70-იან წლებში ამერიკაში შეიმუშავეს ჰომოსექსუალური გადახრების ხელშემწყობი გეგმა, რომლის ფარგლებშიც, სკოლებში „სექსუალური განათლების“ პროგრამები უნდა დანერგილიყო...

სამწუხაროდ, ჩვენთან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები პირიქით გადმოდიან შეტევაზე... ეკლესიას უფლება აქვს და მოვალეც არის, აღკვეთოს უზნეობის პროპაგანდა და უკიდურეს შემთხვევაში, ანათემაც კი გამოიყენოს ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურ პირთა მიმართ!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/978/978.pdf

მაესტრო, პოლიტმეტრი, 14 ივნისი
მიხეილ ხუბუტია, რუსეთში საქართველოს კავშირი: „რა გვინდა ჩვენ 2020 წელს, 2030 წელს? მათ შორის გეი აღლუმები გვინდა, რომ ყველგან იარონ, თუ ნატო გვინდა?!.. თუ რუსეთი გვინდა, რას მოგვიტანს?! რეფერენდუმი ჩავატაროთ“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2067624

კვირის ქრონიკა, 29 ივლისი-4აგვისტო
კახა მიქაია, დაიცავი საქართველო: „ახალაია და მისი ამფსონები თხებს, ძროხებს, ღორებს, მამაკაცებს აუპატიურებდნენ, ესენი არიან პოლიტიკური გეები. მეტიც, „ნაციონალური მოძრაობა“ — ეს არის პოლიტიკური „ელგებეტეები“...

ასავალ-დასავალი, 3-9 ივნისი
გოჩა კელენჯერიძე, Amnesty International-ის ესპანეთის სექციის წევრი: „სწორედ სამღვდელოებამ და პოლიციამ აგვაცილა ის სისხლისღვრა, რისთვისაც საზარბაზნე ხორცად ჰყავდათ ჩამოყვანილი 20 სუბიექტი, რომლებიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 1990 წლამდე ავადმყოფებად მიიჩნეოდნენ“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/972/972.pdf

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი
ფრანჩესკო ბრუნო, ფსიქიატრი: „...ჰომოსექსუალიზმი ეს გადახრაა. კონცეპტუალური მოსაზრებით, ჰომოსექსუალისტი იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც ინვალიდია, ყრუ და ბრმა. გეები სექსუალური ხასითის ქმედებებზე არიან ორიენტირებულები და ეს არის ნორმიდან გადახრა“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/973/973.pdf

კვირის ქრონიკა, 17-23 ივნისი
ალექსანდრე პაპიტაშვილი, მეცნიერი: „იმ ადამიანებს, ვისი სქესობრივი განვითარებაც ჩანასახში-

ვე დეფექტურად მოხდა, სქესობრივ ინვალიდებს დავარქმევ, მაგრამ ვინც შეიძინა ეს თვისება და საკუთარი ცხოვრების წესს პროპაგანდას უწევს, ან იქით აპირებს სხვების ჩართვას, მას სქესობრივი დამნაშავე უნდა ვუწოდოთ. 17 მაისს რუსთაველზე გამოსულებს არ ჰქონდათ სამედიცინო ცნობა და დასტური, რომ ისინი მართლაც ავადმყოფები იყვნენ, ამიტომ არ არის გამორიცხული, ვიღაცას ამ ფორმით ავანტიურა და ფულის გაკეთებაც უნდა.

ვისაც კი ლტოლვა არ აქვს საპირისპირო სქესის მიმართ, ის ყველა ვარიანტში სექსუალური პათოლოგია. ასე რომ, საზოგადოების დამოკიდებულება ავადმყოფი ადამიანებისა და ბოროტმოქმედების მიმართ არ უნდა გაიგივდეს, რადგან ავადმყოფ ადამიანს სჭირდება ექიმის დახმარება, მეორე კატეგორიას კი ეს არ უნდა შეეხოს“.

კვირის პალიტრა, 27 მაისი- 2 ივნისი

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: „რისი იმედი უნდა გვქონდეს, აგერ საფრანგეთში ორი „მშვენიერი ვაჟკაცი“ ქორწინდება ერთმანეთზე, „ვაჟკაცი“ რომ ვამბობ, ენა არ მიტრიალდება, ასეთი ევროპის იმედი უნდა გვქონდეს?“

ალია, 29 მაისი

მანანა ნიკოლაიშვილი: „ხელისუფლებამ განსაზღვრა კურსი, რომ გვინდა ერთადერთი ევროსტრუქტურაში ყოფნა. ამიტომ ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში რომ დაგიშვან, უნდა იყოს 12-წლიანი სწავლება და ერთსქესიანთა ქორწინება“.

მაესტრო, პოლიტმეტრი, 20 მაისი

ლევან ვასაძე: „იმ ევროპაში, რომელშიც ერთსქესიანი ქორწინებები არის დაშვებული, მე არაფერი არ მესაქმება... და თუ გამოვლენ და მეტყვიან რომ ეს არის ბიძია, ჩვენი სტანდარტი და თუ გინდათ რომ მოხვიდეთ ჩვენთან, ეგეთები გახდითო, ნუ ჩვენ ვეტყვით, გვაპატიეთ“...
http://www.myvideo.ge/?video_id=2045993

ასავალ-დასავალი, 3-9 ივნისი

მოქალაქეთა ჯგუფის მიმართვა პრემიერ-მინისტრს: „ევროპული ღირებულებები კაცების სექსის დაცვა რომ ჰგონიათ - ეს არის უბედურება... აქნიეთ უკანალები ნატოში და ევროკავშირში შესასვლელად, მაგრამ განა ამით იღებენ ქართველებს ამ პატივცემულ ორგანიზაციებში?

ვინც ვერ გამოვედით, ისინიც გამოვალთ, თუკი ამდაგვარი პროვოკაციული პედარასტული გამოსვლები კვლავ განმეორდება!.. გაემიჯნეთ რესპუბლიკელებს და კოჭლაბუხა მოაზროვნეებს!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/972/972.pdf

რეზონანსი, 20 მაისი

ნუგზარ კვაშალი, მომღერალი: „ეს არ არის ევროპა, სადაც ბევრია მსგავსი სიბინძურე და რაც უნდათ ის უქნიათ, ეს მართლმადიდებლური ქვეყანაა. 50 კაცის გამო მთელი ერი არ უნდა აანერვიულო. ამიტომ მე ვამართლებ ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მათ საკადრისი პასუხი გასცეს“.

ასავალ-დასავალი, 8-14 ივლისი

ფირუზ კინწურაშვილი: „ჩვენ ჩვეულებრივ ადამიანებს, არ გვაინტერესებს, რომელი პედარასტი რას იტყვის ევროპაში ან ამერიკაში!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/977/977.pdf

ობიექტივი, ღამის სტუდია, 29 მაისი
ვაჟა ბერიძე, პოლიტოლოგი: „ქართველი ხალხის რეაქცია [17 მაისს] იყო აბსოლუტურად გონივრული, ლოგიკური... ბუნებრივია, ქართული საზოგადოება... მოჭარბებულ დემონსტრირებას ამ, ასე ვთქვათ, უხამსობის ქუჩაში, ვთქვათ, როგორიც არის აღლუმი ამ სახის არ მიიღებს“.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12161

კავკასია, სპექტრი, 21 მაისი
სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: „პიდარასტების ოჯახში გაზრდილი ბავშვი, ის ნორმალური გამოვა, გეკითხები?.. მოუკვდათ პატრონი მაგათ... მე ისიც ვიცი... აი, ეს გეები ხელისუფლებაში მოსული, რა საფრთხეს უქმნიან ქვეყანას“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2046543
http://www.myvideo.ge/?video_id=2046568

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი
გურამ ფირცხალავა, მსახიობი: „უნდა დააკავონ ეს გარეწარი ქალი ნინია კაკბაძე და გეი-აღლუმის ყველა ორგანიზატორი!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/970/970.pdf

მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 27 მაისი
გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: „...ძალიან სერიოზული საფრთხე გვემუქრება იმიტომ, რომ ამ მამათმავლობის შემოპარვაა და შემოპარება ხდება საქართველოში, რომლის ლეგალიზაციისთვის ძალიან დიდი ბრძოლა მიდის დასავლეთიდან“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2051537

მაესტრო, პოლიტმეტრი, 24 მაისი
გოგა ხაინდრავა: „ეს ქვეყანა მამათმავლობას არ შეეგუება... რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ადამიანის უფლებებზე იმ ადამიანებმა, ვინც ამ უფლებების უკან საკუთარი უკანალის, უფრო სწორედ, მოყვასის უკანალის მეტს ვერაფერს ვერ ხედავენ.

შარვალჩახდილი ადამიანების თბილისში სიარული გინდა? ტანგაში გამოწყობილი კაცების, რომლებიც ერთმანეთს ზასაობას დაუწყებენ?“
http://www.myvideo.ge/?video_id=2048729
http://www.myvideo.ge/?video_id=2048776

ასავალ-დასავალი, 24-30 ივნისი
გოგა ხაინდრავა: „ველოდები, როდის დაიწყებენ ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლები აქციებს იმ ჯალათების დასაცავად, რომელიც პოლიციაში კაცებს აუპატიურებდა! ესეც ხომ მისი პირადი ცხოვრების წესი იყო – კაცებთან ცხოვრობდა და რა მოხდა მერე?”
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/975/975.pdf

4.4. სექსისტური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

მაგალითები:

კავკასია, სპექტრი, 27 ივნისი
კოკი იონათამაშვილი, ნაციონალური მოძრაობა [27 ივნისის მონაცემებით]: „საოცარია ასევე ის, რომ მშვენიერი გარეგნობის გოგონა [ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უწყების პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი] გველაპარაკება მთელი დღე ფინანსთა სამინისტროდან... მშვენიერი გოგონაა, მაგრამ ისეთ მძიმე თემებს ამბობს... ამას არ აქვს მნიშვნელობა, გარეგნულ მონაცემებს ადამიანის, ეს ჩვენ ნახევრად ხუმრობით ვთქვით, თუმცა ის მართლაც მშვენიერი გოგონაა“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2081924
http://www.myvideo.ge/?video_id=2081944

საზოგადოებრივი მაუწყებელი, დიალოგი, 17 ივლისი
შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი: „განმაცვიფრა მისმა [გიორგი მარგველაშვილი, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი] სურათმა, როცა ის ქსოვს...

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?“ — რუსთაველიც კი გმობდა ასეთ ქმედებებს... კაცი უნდა გრდემლზე მუშაობდეს და არა ქსოვდეს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2097235

მე-9 არხი, 30 ივლისი
ზაქარია ქუცნაშვილი, ქართული ოცნება: „მე ვფიქრობ, რომ აქ მთავარ ცნობას გასცემს მეუღლე. ეს არის მთავარი ცნობის გამცემი პირი, მეუღლე. ამიტომაც, თუ მეუღლე, როგორც მთავარი ცნობის გამცემი, დაინტერესებულია იურისტების და ექსპერტების ჩარევაში, აქ მას ვერ დავუშლით. ასე, რომ შევხედოთ ამ საკითხს უფრო მსუბუქად“.

რუსთავი 2, პოზიცია, 7 მაისი
თოქ-შოუ პოზიციაში ფარული ჩანაწერების თემაზე მსჯელობისას, გადაცემის ერთ-ერთმა რესპონდენტმა, გაზეთ რეზონანსის რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა, მეორე რესპონდენტს, ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორს თამარ ჩერგოლეიშვილს მისი მეუღლის, უშიშროების საბჭოს მდივნის ნაცვლად მოჰკითხა პასუხი. საპასუხოდ თამარ ჩერგოლეიშვილმა ოპონენტს ქალთა უფლებების პატივისცემისკენ მოუწოდა:

თამარ ჩერგოლეიშვილი: „რა შუაშია ჩემი მეუღლე? მესაუბრეთ მე. მე არ გესაუბრებით თქვენს მეუღლეზე... მესაუბრეთ, როგორც ჟურნალის რედაქტორს. 21-ე საუკუნეა. ქალებს პატივი ეცით თუ შეიძლება“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2033642

ალია, 14 მაისი
გელა ნიკოლაიშვილი, უფლებადამცველი: „დავიჯერო, ვაშაძე, საყვარელიძე და გოროზია ისე „დაჩმორდნენ“, რომ ქალებს აცემინეს თავი?“

ასავალ-დასავალი, 3-9 ივნისი
თამაზ წივწივაძე, მწერალი: „ახლა, თუ ყველა ქალი ბუტკაში შევა და იქ ქარგვით, ჭრა-კერვით დაკავდება, ხოლო ყველა მამაკაცი ბუტკიდან გამოვა, კავსა და გუთანს მოეკიდება — საშველი უსათუოდ იქნება!“

5. სიძულვილის ენა

- სიძულვილის ენა როგორც ჟურნალისტების, ასევე რესპონდენტთა მხრიდან გარკვეულ შემთხვევებში განპირობებული იყო ოპონენტთა მიუღებელი მოსაზრებებითა და ქმედებებით და არა ადრესატთა ეთნიკური, რელიგიური ან სექსუალური კუთვნილებით და ამ თვალსაზრისით კვლავ გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ლიდერობდა. მაგალითად, ერთ შემთხვევაში „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის სიძულვილის საბაბი ისტორიკოსს ლაშა ბაქრაძის მიმართ ამ უკანასკნელის მხრიდან სტალინიზმის ფენომენის კრიტიკა იყო; მეორე შემთხვევაში მსახიობ დიმა ჯაიანის მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მიმართ მსგავსი გამოხატვის საფუძველი საერთო სასამართლოების კანონზე პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტო აღმოჩნდა;
- სიძულვილის ენის გამოვლენას ძირითადად სექსუალური უმცირესობების მიმართ 17 მაისის აქციასთან კავშირში, ნაციონალური მოძრაობის და მისი ცალკეული წარმომადგენლების მიმართ პოლიტიკურ პროცესებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი წამების კადრების კონტექსტში ჰქონდა ადგილი.
- ფიზიკური ძალადობის ფაქტის შეფასებისას, რომელიც მმართველი პარტიის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იყო მიმართული, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან სიძულვილის გაღვივებას და პოლიტიკურ ნიადაგზე ძალადობის ირიბ წახალისებას ჰქონდა ადგილი.
- თუ აქამდე უმცირესობათა უფლებების დაცვის გამო, ძირითადად კრიტიკის თუ სიძულვილის სამიზნე ნაციონალური მოძრაობა იყო, 17 მაისის მოვლენების კონტექსტში ამ თვალსაზრისით ნაციონალებთან ერთად რესპუბლიკელებიც მოიხსენებიან.
- ამ კონტექსტში ანტიდასავლური, ანტიამერიკული განწყობების გაღვივება და დასავლურ ღირებულებებთან დაუსაბუთებელი პარალელების დაკავშირება ცხადყოფს, რომ სიძულვილის ენის საფუძველი არა იმდენად სექსუალურ ორიენტაციას, არამედ მოდერნიზაციას და ლიბერალურ ღირებულებებს უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენის გამოვლენის მაგალითები სხვა თავებშიც არის წარმოდგენილი, ანგარიშში ცალკეა გამოყოფილი სიძულვილის ენის ყველაზე მძაფრი გამოვლინებები, მეტწილად სექსუალურ უმცირესობებთან და ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით და მაგალითები, როცა სიძულვილის საბაბი ადამიანთა მიუღებელი შეხედულებებია.

5.1. ჟურნალისტები

ასავალ-დასავალი, 15-21 აპრილი

სტატიაში „ფულის გულისათვის იმასაც შეჭამენ“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი ფაქტი, როდესაც 45 წლის ქალბატონს საკუთარი 11 წლის ქალიშვილი პორნო საქმიანობაში იძულებით ჰყავდა ჩართული, ამერიკულ ღირებულებებთან დაუსაბუთებლადაა დაკავშირებული და დანაშაულებრივი ქმედება დასავლური ცხოვრების წესადაა წარმოჩენილი:

> **გიორგი გიგაური:** „დიახ, ამერიკაში მსგავსი რამ უკვე ჩვეულებრივ ამბად ითვლება, რადგან იქ ადამიანების საქონლად გადაქცევამ — ანუ დეგენერაციამ პიკს მიაღწია!“
> http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/965/965.pdf

კვირის ქრონიკა, 15-21 აპრილი

პრეზიდენტ სააკაშვილის ველოსიპედთან დაკავშირებით, თურქეთში მომხდარი ინციდენტი, საზოგადოებაში მოარული ჭორების თანახმად, პრეზიდენტის ველოსიპედით ტრაილერზე შეჯახებას უკავშირდებოდა. ჟურნალისტი გია ბერიძე აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით საუბრისას, სიძულვილის ენას მიმართავს.

> **გია ბერიძე:** „ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ძირითადად ტრაილერის მძღოლს აგინებდა, რომ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა“.

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი

ასავალ-დასავალის ჟურნალისტი ღირსებისშემლახავი სიტყვებით — „უზნეო პრიმიტივი“, „ორფეხი“, „უნუგეშო კრეტინი“, „გარეწარი“, „გადაგვარებული“ — მოიხსენიებს ისტორიკოსს ლაშა ბაქრაძეს და სიძულვილს აღვივებს მის მიმართ.

> **გიორგი გიგაური:** „დიახ, ლაშა ბაქრაძეს და მისნაირ გადაგვარებული, ეროვნებაატროფირებული დეგენერატებს სძულთ ქართველი გლეხი, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მთავარი მესაიდუმლეა „ქრისტეს ხორცისა“... დიახ, ლაშა ბაქრაძეც ერთ-ერთი იმ წრუწუნათაგანია, რომელიც ჯერ კიდევ ტუტუცი ნიკიტა ხრუშოვის მმართველობის დროს დაწყებულ საქმეს აგრძელებს და თავისი პატარა დინგით ცდილობს, სამარე გაუთხაროს ბუმბერაზ სტალინს!“

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი

> **გიორგი გიგაური:** „როგორ უნდა აგვიხდინოს მან [ბიძინა ივანიშვილმა] ქართული ოცნება ანტიქართულ, ქართველთ-მოძულე რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად?!.. თუ საქართველოში პედერასტების, „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და რესპუბლიკური პარტიის პარპაში კვლავ დაუსჯელად გაგრძელდება, მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ქუჩებში 100 000 კი არა, მილიონობით ქართველი გამოვა... რესპუბლიკური პარტია არის სიმსივნე, რომელიც 1990 წლიდან აგერ, უკვე 23 წელია ჭამს ქართულ ეროვნულ სხეულს და რომელიც „ნაცმოსთან“ ერთად უნდა ამოიკვეთოს ქართული პოლიტიკური სინამდვილიდან“.

ასავალ-დასავალი, 8-14 ივლისი

გიორგი გიგაური: „ბატონო ბიძინა, ქართველების მაღალი პოლიტიკური კულტურა რომ არა, სხვა ჩვენს ადგილზე, სააკაშვილის პარტიის ჯალათებს მთელი ქვეყნის მასშტაბით გზის პირას ხეებზე ფეხებით დაჰკიდებდა, ხორცს ჩამოათლიდა და ზედ მარილს დააყრიდა!"
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/977/977.pdf

ასავალ-დასავალი, 24-30 ივნისი

გიორგი გიგაური: „მათი ლოზუნგი უნდა იყოს არა „თავისუფლება ვანო მერაბიშვილს", არამედ „თავის მოკვლის უფლება ვანო მერაბიშვილს!"

„უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელებს, ხელფეხშეკრული კაცების გამაუპატიურებლებს და მათ უზნეო ვექილებს, თუ სისხლის ნაცვლად ძარღვებში სოროსის განავალი არ დაგიდის, აბა, სიძულვილის ენის გარდა, კიდევ რა ენით უნდა ელაპარაკო?!"
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/975/975.pdf

ალია, 12-15 ივლისი

ნინო სამხარაძე: „ჩიორა ხარ თუ ჩიტქალა — მოკეტე და შეეშვი თვალების ბრიალით პროვოკაციულ გამოხტომებს, თორემ გაგიერთიანებენ მაგ დაზომბირებულ სიფათს".

კვირის ქრონიკა, 22 -28 აპრილი

ინკოგნიტო რესპონდენტი: „ქართველებს თავზე თურქი რომ დაგვდის, ჩინელი და ჩალმიანი მაიმუნი, ამერიკელებს რომ ტრ... ვფხანთ და ისიც ჩვენ გვმბრძანელობს, საქართველოში ქართველი ამოწყდა?"

5.2. პოლიტიკოსები

ობიექტივი, ღია სტუდია, 21 მაისი

ბიძინა გუჯაბიძე, ქართული ოცნება: „ჩვენი ბიჭები გმირულად დაეცნენ იქ ავღანეთში და ამის პატივისცემას ვინც არ აპირებს და მომავალშიც ასე თავხედურად და ცინიკურად დაიწყებს რაღაც იმას, თითქოს უფლებები ირღვევა [17 მაისის მოვლენების შესახებ], ის რა თქმა უნდა, საზოგადოების რისხვას დაიმსახურებს".
http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=12032

ალია, 30 მაისი

ლუკა კურტანიძე, პოლიციის აკადემიის პრორექტორი: „კი, საზოგადოების დამპალ ნაწილს წარმოადგენენ ჩიორა თაქთაქიშვილი, აკო მინაშვილი, გოკა გაბაშვილი და სხვები, ამ ადამიანებმა შექმნეს სისტემა ვინმე სააკოვის მეთაურობით..."

გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი: „ე.ი, შენ გადაიფიქრე ამათი გატყავება და ყველაფერი მიანდე სასამართლოს?"

რუსთავი 2, კურიერი, 13 ივნისი

ეკა ბესელია, ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე: „ბუნებრივია, ხელისუფლებას გუშინ კლუბ-რესტორან „ლა ტრუფეში“ მომხდარ [ფიზიკური დაპირისპირების] ინციდენტზე რეაგირება ექნება და გამოძიებული იქნება რა მოხდა, მაგრამ აქვე მინდა შევახსენო „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ თანამდებობის პირებს, ადამიანებს, რომლებსაც ექცეოდნენ სასტიკად და არაადამიანურად, ხომ უნდა ეფიქრათ, რომ შეიძლება მაშინ, როცა თანამდებობა აღარ გექნება, ქუჩაში შეხვდე იმ ადამიანებს, რომლებიც მათივე ქმედების მსხვერპლია და მათი მხრიდან რომ იქნება გარკვეული აგრესია და პროტესტი გამოხატული, ეს ჩვენი ხელისუფლების ბრალია?!“

5.3. საზოგადოების წარმომადგენლები

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი-5 მაისი

დიმა ჯაიანი, მსახიობი: „მითხარით ხალხო, როდემდე უნდა ვუყუროთ ამ გაურკვეველი წარმომავლობის და სქესის აკუკი მინაშვილს [აკაკი მინაშვილი, პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან]?!.. ესენი მხოლოდ ციხეში გაშვებას კი არ იმსახურებენ, იქ ცოცხებით გაუპატიურების ღირსები არიან! მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ბევრ მათგანს ეს ძალიანაც ესიამოვნება!“

იმედი, ღია ეთერი, 17 მაისი

დიმა ჯაიანი: „მე ხომ ვიცი რომ 98 პროცენტს პოლიციის, აი, იმ ადამიანების, ვინც ეს აღლუმი მოაწყო, მათი წინააღმდეგი იყო შინაგანად, თავიანთ თავს აჯობეს და მაინც იცავდნენ ამათ. იმ ავტობუსში, როგორ სვამდნენ, მე ხომ ვიცი, ეზიზღებოდათ ისინი“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2044973

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი

დიმა ჯაიანი: „ნაციონალურ მოძრაობას“ ლინჩით გასამართლება მოუწევს“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

მაესტრო, პოლიტმეტრი, 20 მაისი

ლევან ვასაძე: „მე არ მიმაჩნია, რომ 17 მაისს მე დავუპირისპირდი იმაზე ნაკლებ საზიზღრობას, ვიდრე საბჭოთა არმიას, რომელიც 9 აპრილს მოვიდა და გვხოცავდა ჩვენ რუსთაველზე“.

„ხალხი იყო გაბრაზებული იმაზე, რომ მათ ახვევენ თავს უკიდურესს გარყვნილებას...“
http://www.myvideo.ge/?video_id=2045954
http://www.myvideo.ge/?video_id=2045976

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი

ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი: „სააკაშვილი ურემზე უნდა შევსვათ და მთელი საქართველო შემოვატაროთ, ხალხმა სახეში რომ აფურთხოს... ასევე უნდა მოვექცეთ დანარჩენ ნაციონალებსაც. ყველა ქართულად მოაზროვნე ადამიანს მოვუწოდებ, თავი შეიკავეთ ამ პარაზიტების ხელის გასვ-

რისგან. რესტორანში ან სადმე სხვაგან ნუ გაუსწორდებით, უბრალოდ შეაფურთხეთ და ჩაუარეთ... უნდა ვაიძულოთ ისინი, რომ ქვეყნიდან გაქცევა მოუნდეთ!“

ასავალ-დასავალი, 3-9 ივნისი

თამაზ თამაზაშვილი, პოლიციის გენერალი: „საერთოდ, ნაციონალები ადამიანები არ არიან. ესენი არიან სატანის მოციქულთა ხროვა. ამათ შინაგანი ინტელექტი, ანუ ღვთის მადლი არ გააჩნიათ“.

კვირის ქრონიკა, 24-30 ივნისი

მამა ელიზბარ დიაკონიძე, სამების საკათედრო ტაძრის დიაკონი: „ეს მწვალებელთა სექტა კი არა, არის გარყვნილთა ჯგუფი, ესენი არ უნდა მოკლა, რადგან სისხლით მობან დანაშაულს. ესენი ერთად უნდა შეყარო რეზერვაციაში, გამოუკეტო კარები“...

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი

მამა ელიზბარ დიაკონიძე: „ამათთვის ერთადერთი ზედგამოჭრილი სასჯელი ის იქნება, რომ ციხეში დალპნენ!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

კვირის ქრონიკა, 24-30 ივნისი

თამაზ წივწივაძე, მწერალი: „მე პირადად იმის მომხრე ვარ, „ნაცებს“ კუდი აუწიო და იმ გამოთავისუფლებულ ადგილებში ცოცხი შეტენო!“

კვირის ქრონიკა, 24-30 ივნისი

ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი: „თუ ასეთი საშინელებების ჩადენა უნდოდათ, მაშინ თავიანთ პედარასტებს დარეოდნენ, ცოტა იოლად გამოვიდოდნენ... ამათი დედა ვატირე, აღარ შემიძლია უკვე, ხანდახან ვფიქრობ, დავიჭიროთ და გავაუპატიუროთ ცოცხებით და კეტებით!“

კვირის პალიტრა, 1-7 ივლისი

ჯანსუღ ჩარკვიანი: „ახლა კი ვფიქრობ, ვინც მთავარი დამნაშავეა, პრეზიდენტი და მისი დამქაშები, ისინი კი არ უნდა დაიჭირო, იგივე ამბავი უნდა გაუკეთო, რა წამებაც იმ ფირებზეა ასახული... არ უნდა იყო მორცხვი, რომ გაგირჭონ ცოცხი“...
http://www.kvirispalitra.ge/public/17686-jansugh-charkviani-qar-unda-iyo-morckhvi-rom-gagirtcon-cockhi-prezidents-da-mis-damqashebs-igive-unda-gauketho-rac-im-kadrebzeaq.html

კვირის ქრონიკა, 20-26 მაისი

ჯანსუღ ჩარკვიანი: „17 მაისს მხოლოდ ეს ლექსი დავწერე:
გახედეთ, როგორ მორბიან,
ვაი, ამ დღის დამსწრებსა,
კახეთის ვირი სჯობია
თბილისელ პედარასტებსა!“

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი

რეზო ამაშუკელი: „ნუ ავყვებით ამ ავადმყოფებს, ამ ნაკლულებს, რამდენიც უნდათ იქაქანონ და იქლოშინონ! პირდაპირ ვაცხადებ: ამ მანქურთების, ამ აქოთებული ნაბოზვრების გამო ქართველ ხალხს შესძულდა ამერიკა! მეც, რომელიც პირწავარდნილი ამერიკანისტი ვიყავი, ამერიკელების დანახვა აღარ შემიძლია“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/970/970.pdf

ასავალ-დასავალი, 1-7 ივლისი

რეზო ამაშუკელი: „მე მძულს ამერიკა! ისე მძულს, რომ შეიძლება, ჯაზსაც აღარ მოვუსმინო და აღარ დავუკრა!... ამ მანქურთებმა დათესეს ჩემში ეს სიძულვილი... შეიძლება, რომ ეს ინტერვიუ ჩემთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. დარწმუნებული ვარ, გურამ შარაძე ამერიკელების გარეშე არ მოუკლავთ და არც ჩემი გაგორება გაუჭირდებათ, მაგრამ ფეხებზე მკიდია!

... კი ბატონო, შევიდეთ ნატოში, მაგრამ რატომ გინდა შენ, ამერიკა ხარ თუ დასავლეთი, დამამახინჯო, სული დამისახიჩრო და მერე გამხადო შენი ბინძური ცხოვრების ნაწილი?.. პირდაპირ ვაცხადებ, ამერიკელებმა მოუარონ თავიანთ აქოთებულ ფსიქიკას და ჩვენთვის თითის ქნევას და ჭკუის სწავლებას დაანებონ თავი! დიახ, ამერიკელებმა ჯერ იმას მიაღწიონ, რომ ქვეყანაში ყოველ მეორე დღეს 20 და 25 კაცს არ ხოცავდნენ მანიაკები, სკოლის მოსწავლეები კლასებში ბომბს არ აგდებდნენ და თანატოლებს არ კლავდნენ, შვილი მამას ყელს არ ჭრიდეს და მერე გველაპარაკონ... ფსიქიკა აქვთ გადაგვარებული და გარყვნილი.

ამერიკელებს უნდათ, რომ გარყვნან და გადააგვარონ ქართველობა... დიახ, ამათ უნდა გადაგვაკეთონ ჩვენ? სულიერად და ხორციელად მახინჯმა ჰერმაფროდიტმა აკუკი მინაშვილმა უნდა გადამაკეთოს მე?“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/976/976.pdf

ასავალ-დასავალი, 22-28 ივლისი

რეზო ამაშუკელი: „გული მწყდება, რომ საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, თორემ ესენი ჩამოსახრჩობები არიან, ყველა, სააკაშვილით დაწყებული და კუბლაშვილით დამთავრებული!“
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/979/979.pdf

კავკასია, სპექტრი, 21 მაისი

რეზო ამაშუკელი: „...თუ გამოვა და პომადიან თეძოებს დამანახებს, ისეთს ჩავცხებ, რო პატრონი ვერ იცნობს“.
http://www.myvideo.ge/?video_id=2045901

ასავალ-დასავალი, 20-26 მაისი

რეზო ამაშუკელი: „სულაც არ მწყენია, რომ ამ პედერასტებს და მათ დამცველებს ცხვირ-პირში მოხვდათ“.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/970.html

ასავალ-დასავალი, 3-9 ივნისი

რეზო ამაშუკელი: „მინდოდა იმ გრანტებზე და ფულზეგავეშებული უგვანოდ ამძუვნებული „სამართალდამცველი“ დედაკაცები საქვეყნოდ კედელზე გამეკრა, რომლებიც მალე თავიანთ მშობლებსაც საქვეყნოდ დააცხრებიან, ოღონდ თავის ლიბერასტ დირიჟორებს ასიამოვნონ... ხოლო იმ დედაკაცებს და ვაჟბატონებს მერე მივხედავ და ნათლად დავანახვებ იმ „სიძულვილის ენას“, რომელიც თვითონ დათესეს, მაგ მშობლის საფლავებზე მდოგვის მთესველებმა, სატანის უკანალზე დახატულმა მახინჯებმა და მერე ადგნენ მიჩივლონ თავიანთ აყროლებულ პატრონებთან და ვნახოთ, საით დადგება საქართველო — შარვალჩახდილ უსამშობლო მანქურთებთან თუ მამულის, ოჯახის, დედა-ეკლესიის და ერის გადარჩენის მხარეზე!”

კავკასია, სპექტრი, 24 მაისი

ნაირა გელაშვილი, მწერალი: „მე პირადად, რომელიც ყველანაირი ტოლერანტობის მომხრე ვარ ამ ქვეყნად და ვერ ვიტან ვერანაირ სისასტიკეს და ჩაგვრას, ასეთი საზიზღრობა არ მინახია, რაც გეი აღლუმი არის. რაც მე ტელევიზიით მინახია, ეს არის გულის ამრევი! და არავინ არ არის ვალდებული ის მოეწონოს და აიტანოს! ხო მართალია?“
http://identoba.files.wordpress.com/2013/09/naira-gelashvili.jpg

ასავალ-დასავალი, 8-14 ივლისი

ლალი ანთია, ქალები მშვიდობისათვის: „სააკაშვილი იმის ღირსია, რომ იმ სამალავებში გააუპატიურო, სადაც მისი ჯალათები აუპატიურებდნენ მაგიდაზე დაბმულ მამაკაცებს!“

კვირის პალიტრა, 3-9 ივნისი

თამარ ივერი, მომღერალი: „გამალებული ნუ ეწევით საქართველოს ხალხის მენტალიტეტში დასავლეთის „ფეკალური მასების“ შემოტანა-პროპაგანდას. ნუ გსურთ ეს მასა ლამაზ პაკეტში შეფუთოთ, შანელის სუნამო მოაპკუროთ და ხალხს იგი სამკურნალო, გამაჯანსაღებელ ტალახად წარმოუჩინოთ. რაც არ უნდა ეწყინოს „მეგობარ დასავლეთს“, საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა გენიალურად იცის რა ხილი ჭამოს დასავლეთის მიერ შეთავაზებული მენიუდან და რა არა. ისევე, როგორც ამას ჩემი პატარა ძაღლი ხვდება...

დღეს კიდევ, ბატონმა ამერიკის ელჩმა განაცხადა, ვინც გუშინ აქციას არბევდა, ის ხალხი ნატოს წინააღმდეგიაო. არა, ბატონო ელჩო: გუშინ ვინც აქციას არბევდა, ის ჯერ კიდევ თქვენგან გაურყვნელი „სუფთა სისხლის“ ქართველი ახალგაზრდები იყვნენ... ჩემის მხრიდან კი გეტყოდით, ბატონო ელჩო, რომ მიმიფურთხებია იმ თქვენი ნატოსთვის, ვინც მაიძულებს ჯერ ამ ყოველივეს შევეგუეო, ნება დართე, გააპიარე და მერე მიგიღებთო. ასეთი შეიძლება 20, 30 და თუნდაც 100 კაცი გამოერიოს თქვენდა საამებლად, მაგრამ მთელ ერს ამ გზით ნატოში მისაღებად ვერ წაკ...ზავთ!!!“
http://www.kvirispalitra.ge/public/17399-qbatono-elcho-mthel-ers-am-gzith-natoshi-misaghebad-ver -tsakzavthq.html

მაესტრო, კვირის არგუმენტი, 1 მაისი

ირაკლი პეტრიაშვილი, გაერთიანებული პროფკავშირები: „მე ვიცი თბილისის ერთ-ერთ სამსახურში, როგორ ძალადობს მანდილოსნებზე ხელმძღვანელი... სექსუალური თვალსაზრისით.

ამასთან დაკავშირებით საზოგადოებამ ნუ, არ ვიცი ახლა, უნდა დაწვას ეს კაცი, რა ვიცი, მინიმუმ ციხეში უნდა...“
http://www.myvideo.ge/?video_id=2026201

6. დაუსაბუთებული პარალელები

6.1. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

რესპონდენტები

წყარო	უმცირესობების თემატიკა	დაუსაბუთებელი პარალელები
პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები; სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი	თურქული ინვესტიციები	ოსმალეთის იმპერიის აღდგენა
გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია	დეპორტირებული მესხების რეპატრიაცია	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მეანაბრეთა პრობლემები
კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო	რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირება	სეპარატიზმის საფრთხე
მირზა დავითაია, ნაციონალური მოძრაობა	რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირება	რუსი ჯაშუშების, ვაჰგან ჩახალიანის პატიმრობიდან გათავისუფლება
თამარ კორძაია, ქართული ოცნება	რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირება	ტერიტორიული მთლიანობის საფრთხე
სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი	რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირება	თვითმმართველობის რეფორმის შედეგად, ეთნიკურად არაქართული რეგიონებისთვის თვითმართველობის უფლების მინიჭება
ელენე კახნიაშვილი, საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდი	მიწების უცხოელებზე გასხვისება	იუგოსლავიის დაშლა

მედია

წყარო	უმცირესობების თემატიკა	დაუსაბუთებელი პარალელები
კვირის ქრონიკა	ჩინელების მიგრაცია	წინაპრების ბრძოლა
რუსთავი 2, რესპონდენტი	ინდოელების საკუთრებაში არსებული მიწები	რუსეთის ტანკების შემოსვლა
იმედი	რელიგიური კონფლიქტი	მკვლელობა

6.2. სექსუალური უმცირესობები

რესპონდენტები

წყარო	უმცირესობების თემატიკა	დაუსაბუთებელი პარალელები
ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა	ჰომოსექსუალობის პროპაგანდა	ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა, სიღარიბე
	სექსუალური უმცირესობები	დამოკიდებულება ბოროტმოქმედების, ნაციონალური მოძრაობის მიმართ
მანუჩარ მაჩაიძე, პატრიოტთა ალიანსი	სექსუალური უმცირესობების ძალოვან უწყებებში დასაქმების უფლების შეზღუდვა	ციხეში წამებისა და გაუპატიურების ფაქტები
ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი	სექსუალური უმცირესობების უფლებები	ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი სააკაშვილი
გოგა ხაინდრავა, ქართული დასი	ლგბტ უფლებადამცველები	ციხეებში წამება
გიორგი თარგამაძე, ქრისტიან-დემოკრატები	ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვა	აფხაზეთსა და შიდა ქართლში ეროვნული თვითმყოფადობისთვის დაღუპულები
ინკოგნიტო რესპონდენტი	17 მაისის აქცია	პედოფილიის შემთხვევა
მანანა ნიკოლაიშვილი, განათლების ექსპერტი	ერთსქესიანთა ქორწინება	სკოლებში 12 წლიან სწავლებაზე გადასვლა
ლევან ვასაძე, ბიზნესმენი	17 მაისის აქციის მონაწილეებთან დაპირისპირება	1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიასთან დაპირისპირება

მედია

წყარო	უმცირესობების თემატიკა	დაუსაბუთებელი პარალელები
ასავალ-დასავალი	სექსუალური ორიენტაცია	აკვარიუმის ფლობა, სკოლებში დედა ენის სწავლება
ასავალ-დასავალი	17 მაისის აქცია	ნაციონალური მოძრაობის გასამართლება
ასავალ-დასავალი	გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის სექსუალური ორიენტაცია	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის კრიტიკა სტალინის მიმართ
ასავალ-დასავალი	კონკრეტული კრიმინალური ინციდენტი	სიძულვილის ენა ამერიკელების მიმართ
კვირის ქრონიკა	17 მაისის აქცია	სააკაშვილის რეჟიმის მიმართ პროტესტი

წყარო	უმცირესობების თემატიკა	დაუსაბუთებელი პარალელები
ალია	17 მაისის აქცია	წამების კადრები
მე-9 არხი, რესპონდენტი	სექსუალური ორიენტაცია	ქრისტიანული მრწამსი
იმედი	პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამართული აქცია, რომელიც პირის შესახებ ჰომოსექსუალური სცენების ამსახველი კადრების გამო გაიმართა	აქციის წინასააღდგომო დღეებში გამართვა
ობიექტივი	ერთსქესიანთა ქორწინება	მსოფლიოში სურსათის პრობლემა
ობიექტივი	ჰომოსექსუალობა, ინგლისური ენის პედაგოგის ტომას ფლეტჩერის სექსუალური ორიენტაცია	მამაკაცის მიერ თმის შეღებვა, განათლების სამინისტროს ინგლისური ენის სწავლების პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“
ობიექტივი	უმცირესობების ინტერესები	ბოროტმოქმედების ინტერესები, სააკაშვილის მმართველობის გასამართლება

7. სამოქალაქო სექტორი

საანგარიშო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატი და რელიგიური ორგანიზაციები აქტიურად რეაგირებდნენ მედიასა და პოლიტიკურ დისკურსში სიძულვილის ენასა და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე; ფუნდამენტური უფლებების ხელყოფის ცალკეულ გამოვლინებებზე, მათ შორის, რელიგიური მოტივით ჩადენილ ინციდენტებზე, 17 მაისის ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის დარბევის, სექსუალური უმცირესობების, პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტებზე; ასევე მედიის მხრიდან უმცირესობების სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე.

ამ თვალსაზირისით განსაკუთრებით აქტიურობდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) , ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), მედიის განვითარების ფონდი (MDF), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), იდენტობა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (TI), ფონდი ALPE, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

აღნიშნულ თემებზე სპეციალურ განცხადებებს ავრცელებდა სახალხო დამცველის აპარატი, ასევე შემდეგი რელიგიური გაერთიანებები: საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, მუსლიმთა სამმართველო, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია.

8. რეკომენდაციები

მედიას, პროფესიულ ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს:

- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის და არსებული სხვა მედია რეგულიაციების ეფექტიანი დანერგვის მიზნით, მნიშვნელოვანია, მედია საშუალებებმა ჩაატარონ შიდა ტრენინგები და ამ მიმართულებით ითანამშრომლონ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მათ როგორც ტრენინგების, ასევე მედია კვლევებით უზრუნველყოფენ. სასურველია, მედია საშუალებებმა გაანალიზონ მონიტორინგის შედეგები და გამოვლენილი ხარვეზები თავიანთ შემდგომ საქმიანობაში გაითვალისწინონ;
- მნიშვნელოვანია მედიისა და სამთავრობო უწყებების, მედიისა და უმცირესობათა ჯგუფების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა მრავალფეროვნების თემატიკის მედია პროდუქციაში კვალიფიციურად და ინფორმირებულად ასახვის მიზნით;
- სასურველია, ბეჭდურმა მედიამ ანალოგიის პრინციპით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დებულებებით იხელმძღვანელოს ან საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსად, შეიმუშაოს შიდა სარედაქციო კოდექსები, რომელთა დაცვასაც ჟურნალისტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სავალდებულო ხასიათი ექნება;
- სასურველია, მედია საშუალებებმა დანერგონ შიდა მონიტორინგის მექანიზმები, გამოვლენილ დარღვევებზე დროული და ეფექტური რეაგირების მიზნით ან საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლონ ამ მიმართულებით მედიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- თვითრეგულირების მექანიზმების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, რათა მედია მომხმარებელმა შეძლოს, კანონმდებლობით გარანტირებული უფლებით სარგებლობა.

მედიის განვითარების ფონდმა (MDF) და საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) 16 ივნისს ერთობლივი ინიციატივით მიმართეს სამოქალაქო სექტორს და პოლიტიკურ პარტიებს:

- ქსენოფობიასთან ბრძოლის მიზნით, მნიშვნელოვანია ერთიანი სამოქალაქო პლატფორმის ჩამოყალიბება, რომლის ფორმატში, ერთი მხრივ, განხორციელდება ეფექტიანი მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში რეაგირებაც) ამ რიტორიკის გამოყენების თითოეულ ფაქტზე და მეორე მხრივ, მოხდება საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირების ხელშეწყობა.
- აუცილებელია, საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა შექმნან ან გააძლიერონ შიდაპარტიული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ საქმიანობაში ქსენოფობიის ყველანაირი გამოვლინების აღმოფხვრას.

დანართი

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი

თავი IX. მრავალფეროვნება, თანასწორობა და შემწყნარებლობა

მუხლი 31. მრავალფეროვნებისა, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპი

მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

მუხლი 32. მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და შემწყნარებლობის პრინციპების დაცვისადმი წაყენებული მოთხოვნები (წესები)

1. მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადეში განათავსოს ზუსტი და სარწმუნო, დაბალანსებული, პროპორციული და თანაზომადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე და სოციალურ ფენაზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.
2. მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს აზრის, სინდისის, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებებს და თავიდან აიცილოს ნებისმიერი ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან სოციალური ჯგუფის შეურაცხყოფა.
3. მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 33. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვის შესახებ

1. მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან.
2. მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, აუცილებლობის გარეშე არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი.
3. მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება.
4. თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლო-

ბას, რელიგიურ მრწამს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.

5. მაუწყებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს სახელების მართლწერას და სწორად გამოთქმას.
6. მაუწყებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა აღწეროს არაშეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას, ფიზიკურ და მორალურ კეთილდღეობას და თანხმობის მიღებას.

მუხლი 56. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის შესახებ.

1. აუდიტორიის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას.
5. დაუშვებელია ძალადობის სენსაციად გადაქცევა. შესაძლებელია საჭირო იყოს შოკისმომგვრელი მასალის გამოყენება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ძალზე ფრთხილი ანალიზის შემდეგ უნდა იქნას მიღებული.
6. ძალადობის გაშუქებაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამაც შეიძლება აუდიტორიაზე ძალადობის ემოციური ზემოქმედების ხარისხი გაზარდოს:
   ა) საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი ძალადობა: ოჯახური ძალადობა, გასართობ დაწესებულებებსა და კვების ობიექტებში მომხდარი ძალადობა, ხულიგნობა, საგზაო შემთხვევების შედეგად დაპირისპირება და ყაჩაღობა.
   დ) შემთხვევები, სადაც დაზარალებულნი მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობების პირები, ქალები ან ბავშვები არიან.
   ე) ვერბალური და არავერბალური აგრესია;
7. დაუშვებელია სექსუალური და ნებისმიერი სხვა ძალადობის მისაღებად წარმოჩენა.

მაუწყებლის შესახებ კანონი

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ შემდეგ შინაარსობრივ ვალდებულებებს განსაზღვრავს:

მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;

კანონი მაუწყებლებს შემდეგ შეზღუდვებს უწესებს:

მუხლი 56. პროგრამული შეზღუდვები

2. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისაკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.
3. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ლუსტრირებას.
4. იკრძალება პრონოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითადი უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი

მრავალფეროვნება – სამართლიანად გავაშუქოთ ქვეყანაში მცხოვრებ უმცირესობებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული თემები.

თანასწორობა – არ დავუშვათ ადამიანთა დისკრიმინაცია რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, გენდერული თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

15. მრავალფეროვნების ასახვა

15.1 ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

სსმ ვალდებულია, პროგრამებში ასახოს საქართველოში მცხოვრები ყველა უმცირესობის და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები და მათი რეალური ცხოვრება.

სსმ-ის მიზანია, სრულფასოვნად და სამართლიანად გააშუქოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი და კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებზე გადაცემებისა და რეპორტაჟების მომზადებისას:

- დაუშვებელია უმცირესობათა დისკრიმინაცია რასის, სქესის, რელიგიური აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურული და სოციალური კუთვნილების, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკისა ან ნებისმიერი სხვა ნიშნის მიხედვით;

- არ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, გამოთქმები ან კადრები, რომლებმაც ინდივიდის ან საზოგადოების ნაწილის რომელიმე ზემოჩამოთვლილი ნიშნით დისკრიმინაცია შეიძლება გამოიწვიოს;
- პირის, განსაკუთრებით ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება აღნიშნეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას სიუჟეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს;
- არ აღწეროთ ისეთი ფიზიკური მონაცემები, რომლებმაც დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება სრულიად არასწორად ეთნიკურ წარმომავლობას დაუკავშიროს;
- არ გაავლოთ უმცირესობებსა და სოციალურ პრობლემებს შორის დაუსაბუთებელი პარალელები;
- განასხვავეთ უმცირესობის ინდივიდუალური წარმომადგენლისა და ზოგადად მთელი უმცირესობის საქმიანობა. ნუ გააიგივებთ ინდივიდს მთელ უმცირესობასთან;
- ხელი შეუწყვეთ უმცირესობების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

გახსოვდეთ, რომ უმცირესობების წარმომადგენლების აზრთა და შეხედულებათა პროგრამებში ასახვით ხელს უწყობთ მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში და შემწყნარებლობის ხარისხის ამაღლებას საზოგადოებაში.

უმცირესობების შესახებ გადაცემის მომზადებისას:

- ინტერვიუ აიღეთ უმცირესობის წარმომადგენლებისგან და ასახეთ მათი მოსაზრებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სიუჟეტის „ობიექტები“ იქნებიან და არა „სუბიექტები“. დაუშვებელია სიუჟეტში რომელიმე ერთი ჯგუფის კრიტიკა, თუ ამ ჯგუფის წევრებს საკუთარი შეხედულებების გამოთქმის და პასუხის გაცემის საშუალება არ ეძლევათ;
- გადაცემაში, სხვა სტუმრებს შორის, შესაბამისი კვალიფიციკაციის მქონე უმცირესობის წარმომადგენლიც მოიწვიეთ;
- რეაგირება მოახდინოთ უმცირესობების შესახებ გამოთქმულ ნეგატიურ შეხედულებებზე მაშინაც კი, როდესაც მათი ავტორები ადმინისტრაციული, პოლიტიკური ან კულტურული ელიტის წარმომადგენლები არიან;
- უმცირესობების წარმომადგენელთა მოსაზრებების ასახეთ არა მარტო უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების, არამედ სხვა თემების გაშუქების შემთხვევაშიც.

15.2 უმცირესობების ნეგატიურად ასახვა

არ გააშუქოთ უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ან ძალადობა ისეთი ფორმით, რომელიც „მედია პანიკის“ სახელწოდებით არის ცნობილია. ბუნებრივია, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების უარყოფით მხარეებს გვერდი არ უნდა აუაროთ, მაგრამ არც „უცვლელ რეპერტუარად“ უნდა აქციოთ.

თავი აარიდეთ კრიმინალურ ქრონიკებში ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის არასათანადო სიხშირით წარმოჩენას, რადგან ეს ხელს შეუწყობს უარყოფითი სტერეოტიპის ჩამოყალიბებას.

15.3 ეთნიკური/რელიგიური დაპირისპირების გაშუქება

ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები, ამ ნიშნით წარმოქნილი კონფლიქტები და დაპირისპირებები გააშუქეთ ობიექტურად, სრულყოფილად და შესაბამის ისტორიულ კონტექსტში. ასეთ საკითხზე მომზადებული მასალა უნდა შეიცავდეს დაპირისპირების ისტორიას, მიზეზებს, კონფლიქტის ყოველ მხარეს და ნეიტრალურ მოსაზრებებს, რათა აუდიტორია გაერკვეს პრობლემის არსში.

15.4 რელიგიური პროგრამები

მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, აღიაროს ნებისმიერი რელიგია თუ კონფესია, ქადაგებდეს მას და ასრულებდეს რელიგიურ რიტუალებს.

რელიგიურ თემებზე გადაცემებისა თუ სიუჟეტების მომზადებისას უნდა იცოდეთ, რამ შეიძლება შეურაცხყოს აუდიტორია. გადაცემის ავტორებმა და წამყვანებმა, ასევე, ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ

საქართველოში არსებული რელიგიური ჯგუფების შეხედულებანი და თავისებურებანი. ის, რაც ერთი რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენლისთვისაა მისაღები, შეიძლება მიუღებელი იყოს მეორისათვის.

როდესაც გადაცემის მთავარი საკითხი ერთი კონკრეტული რელიგია ან კონფესიაა, აუდიტორიას აცნობეთ მისი სახელწოდება. რესპონდენტებს, პროგრამის მონაწილეებს არ მისცეთ უფლება, უდიერად მოიხსენიონ სხვების რწმენა ან შეურაცხყოფა მიაყენონ განსხვავებული რელიგიისა თუ კონფესიის მიმდევრებს. არ წარმოაჩინოთ კონკრეტული რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენლის მოსაზრებები ამ რელიგიის ყველა მიმდევრის მოსაზრებად, არც რომელიმე რელიგიურ ჯგუფს მისცეთ უფლება, ყველა აღმსარებლის სახელით ისაუბროს.

დაუშვებელია რელიგიური გადაცემების მეშვეობით მაყურებლის გრძნობებით მანიპულირება, რომელიმე რელიგიური შეხედულებისა თუ მრწამსის გაქილიკება ან ერთი რწმენის ფარულად პოპულარიზაცია.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ ინფორმაციას, რომელიც ზოგადად ადამიანის, ამა თუ იმ პირის (ან ადამინთა ჯგუფის) ზებუნებრივ უნარებსა და შესაძლებლობებს აღწერს. ასევე, ინფორმაციას, რომელიც აღწერს ზოგადად ადამიანის, ამა თუ იმ პირის (ან ადამინთა ჯგუფის) ზებუნებრივ უნარებს მკურნალობის (ფიზიკური/ფსიქოლოგიური) ან ნათელმხილველობის თვალსაზრისით. ასეთი მასალა არ უნდა მიეწოდოს მაყურებელს, როგორც დადგენილი და დადასტურებული ფაქტი. იგი უნდა გატარდეს კვალიფიციური კომენტარის პრიზმაში (კონტექსტში).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოთ, როდესაც ასეთი ინფორმაცია ან განცხადება რელიგიური ხასიათის გადაცემაში კეთდება.

ასეთი მასალა არ უნდა გადაიცეს ისეთ დროს, როდესაც მაყურებელთა/მსმენელთა შორის ბევრი ბავშვი და მოზარდია.

თავი შეიკავეთ ისეთი მასალის გადაცემისაგან, რომელმაც შეიძლება შეურაცხყოს ესა თუ ის რელიგიური ჯგუფი.

ეთერში (ან ზოგადად ინფორმაციაში) ჰოროსკოპების ტირაჟირებისას მიუთითეთ, თუ რომელ ქვეყანაშია ესა თუ ის ჰოროსკოპი გავრცელებული. ასტროლოგიური პროგნოზების ტირაჟირების დროს მიუთითეთ ამ პროგნოზის ავტორი (ან მეტნაკლებად კვალიფიციური წყარო) და თავი აარიდეთ ამ ავტორის (წყაროს) არააკადემიური წოდებების (თუ კი მას ასეთი აქვს) მოხსენიებას (უკიდურეს შემთხვევაში აღნიშნეთ, რომ ეს წოდებები არააკადემიური ხასიათისაა).

მსოფლიოს უდიდესი რელიგიები სამართლიანად უნდა აისახოს პროგრამებში. დაუშვებელია ხალხისა და სახელმწიფოების რელიგიური ნიშნით იდენტიფიცირება, თუ ეს პროგრამის თემას არ უკავშირდება.

15.5 პოზიცია არატოლერანტობის მიმართ

როდესაც გადაცემის სტუმარი ან რესპონდენტი უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას ან რელიგიურ მრწამსს, როგორც რაიმე მოვლენის გამომწვევ მიზეზს, აუცილებლად უნდა აცნობოთ აუდიტორიას ამ მოვლენის რეალური მიზეზები და ხაზგასმით აღნიშნოთ, რომ ეთნიკური წარმომავლობა და რელიგია არავითარ კავშირში არ არის მოცემულ საკითხთან.

არ დატოვოთ რეაგირების გარეშე გადაცემის სტუმრის/რესპონდენტის რასისტული ან ქსენოფობიური გამონათქვამები. გააკრიტიკეთ მსგავსი განცხადებები. მასალიდან აშკარა უნდა იყოს, რომ არ იზიარებთ რასისტულ და ქსენოფობიურ გამონათქვამებს.

15.6 ტერმინოლოგია

არ გამოიყენოთ ისეთი ტერმინები, რომლებიც კონკრეტული ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობისთვის შეურაცხმყოფელი შეიძლება აღმოჩნდეს.

რეაგირება მოახდინეთ ისეთ სიტყვებზე, რომლებიც ამცირებს და შეურაცხყოფს პიროვნებას ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით. რესპონდენტებს, რომლებიც აღნიშნულ სიტყვებს პირდაპირ ეთერში გამოიყენებენ, მკაფიოდ განუმარტეთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ეთანხმება მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და გამოხატვის ფორმას.

ვინაიდან საქართველოში არსებული სხვა აღმსარებლობებიც იყენებენ სიტყვას „ეკლესია", ნუ გამოიყენებთ ამ სიტყვას მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის სინონიმად; გადაცემაში აღნიშნეთ, რომელ ეკლესიაზეა საუბარი: მართლმადიდებლურზე, კათოლიკურზე თუ სხვაზე. თუ გადაცემა ერთ აღმსარებლობას (მაგალითად, მართლმადიდებლობას) ეხება, რაც სავსებით აშკარაა აუდიტორიისათვის, დაკონკრეტების გარეშე შეიძლება სიტყვა „ეკლესიის" აღმსარებლობის სინონიმად გამოყენება.

ხელაღებით ნუ გამოიყენებთ ისეთ ტერმინების, როგორებიცაა, მაგალითად, „ფუნდამენტალისტი", „ისლამისტი". ის, რაც ერთი ჯგუფის დახასიათებისთვის არის შესაფერისი, მეორისათვის შეიძლება შეუფერებელი აღმოჩნდეს.

ადამიანის ეთნიკური წარმომავლობა არ აღნიშნოთ ისეთი სიტყვით, რომელსაც უარყოფითი ელფერი დაჰკრავს. მაგალითად, „ურია" არ თქვათ „ებრაელის" ნაცვლად, „თათარი" კი „აზერბაიჯანელის" ნაცვლად და ა.შ.

15.7 ქალები

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ქალებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და დღევანდელ საქართველოში ქალები საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწევიან, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი სტერეოტიპები, რომლებიც ბევრი ქალისათვის შეურაცხმყოფელია. ქალებზე მსჯელობისას უნდა მოვერიდოთ სექსისტური გამოთქმების გამოყენებას, სექსისტური შეფასებებისა თუ შედარებების გაკეთებას.

სექსიზმი ნიშნავს დისკრიმინაციულ აზრს, გამონათქვამს, ქცევას, დამოკიდებულებას ერთი სქესის მიმართ.

მაგალითად, ქალის ისეთი დახასიათება, როგორიცაა: „კაცს ტოლს არ უდებს", „კაცივით ჭკვიანია" და სხვ. ზოგმა ქალმა შეიძლება შეურაცხყოფად აღიქვას.

15.8 სექსუალური უმცირესობები

ჰომოსექსუალები ხშირად შეურაცხმყოფელი სტერეოტიპების მსხვერპლნი ხდებიან. ჰომოსექსუალები და ბისექსუალები უმცირესობას შეადგენენ და გადაცემის ავტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინიც, სხვების მსგავსად, საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ.

გადაცემაში ჰომოსექსუალის სექსუალური ორიენტაცია აღნიშნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თემას უშუალოდ უკავშირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაარღვევთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და ხელს შეუწყობთ სტერეოტიპის გაძლიერებას.

ყურადღება გმართებთ სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევისას. თქვით ჰომოსექსუალი ან ბისექსუალი. დაუშვებელია ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა „მამათმავალი", „პედერასტი", „ცისფერი". ნურც გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს მისცემთ უფლებას, ამგვარი სიტყვები გამოიყენონ.

მუხლი 7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

მუხლის განმარტება: ამ მუხლის განხილვისას კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პირდაპირ ეტერში მოწვეული სტუმრის მიერ გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს ჟურნალისტი პირდაპირ ეთერშივე უნდა გაემიჯნოს და დაუპირისპირდეს. თუ ჩანაწერია, მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რომ არატოლერანტული გამონათქვამები არ არის ჟურნალისტის პოზიცია. საჯარო პირს დისკრიმინაციული გამონათქვამი უნდა დაუტოვოს ჟურნალისტმა, კერძო პირს კი, შეიძლება, ამოუჭრას – თუ მიზანი არატოლერანტული გარემოს ჩვენება არ არის.

ზოგადად, ევროპული ტენდენცია იმგვარია, რომ ჟურნალისტი უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციულ გამონათქვამებს.

დანართი 2. ტერმინების განმარტება

ანტისემიტიზმი — ებრაელთა დისკრიმინაცია მათი რელიგიური რწმენის და ადათ-წესების მიმართ არსებული სტერეოტიპების ან ეთნიკურ საფუძველზე.

განტევების ვაცის ძიება — ხალხის მთელი კატეგორიის ან ამ ჯგუფის წევრებად მიჩნეული პირებისათვის სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების გამო ბრალის დადება, როდესაც, სინამდვილეში, ეს პრობლემები მრავალი და მეტად რთული მიზეზებით არის გამოწვეული.

დისკრიმინაცია — მთელ რიგ სფეროებში სხვა კულტურის, ეთნიკური საზოგადოების და სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთათვის სამართლიანად ან თანასწორად მოპყრობის უარყოფა. ეს შეეხება დასაქმებას, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, პოლიტიკურ უფლებებს და საზოგადოებრივი მომსახურების ადგილებს.

დოგმატიზმი — საკუთარი შეხედულებების, ცხოვრების წესისა და რწმენის ბრმა და უსაფუძვლო მიმდევრობა და ჯიუტი წინააღმდეგობის გაწევა განსხვავებული შეხედულებებისა და მათი მიმდევრებისათვის.

ეთნოცენტრიზმი — ადამიანის მიერ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, სხვა ეთნიკური ჯგუფის შეფასება, მის საკუთარ ეთნიკურ ჯგუფში გაბატონებული ფასეულობების, სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით და ალტერნატიული შეხედულებებისა და მიდგომების იგნორირება.

ეიჯიზმი — ადამიანის დისკრიმინაცია ასაკობრივი ნიშნით ან მოხუცების მიმართ არსებული სტერეოტიპის საფუძველზე.

ზიზღის გამომჟღავნება — პირზე ან მის ქონებაზე თავდასხმა, შევიწროვება ან რაიმე სხვა აგრესიული, ძალადობრივი ქმედება, რომელიც ამ ადამიანის რასობრივი წარმომადგენლობის, რელიგიური მრწამსის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან რაიმე სხვა ნიშნის გამო ხდება.

თანასწორუფლებიანობა — მდგომარეობა, როდესაც რომელიმე პირს ისეთივე ღირსება, რანგი ან პრივილეგიები აქვს მიკუთვნებული, როგორც ყველა დანარჩენს.

კლასიზმი — ადამიანის დისკრიმინაცია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე.

მრავალკულტურულობა — პიროვნებებსა და ჯგუფებს შორის განსხვავებული მახასიათებლებისა და თვისებების არსებობა, მიუხედავად იმისა, ეს მისი პირადი არჩევანის შედეგი იქნება [განათლება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ოჯახური მდგომარეობა, რელიგიური მრწამსი] თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით განპირობებული [ასაკი, სქესი, სექსუალური ორიენტაცია...].

რასიზმი — დისკრიმინაცია და ცრურწმენა რასობრივი ნიშნით იმის ბრალდებით, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფი ბუნებრივად აღემატება მეორეს თავისი ინტელექტით, მორალური თვისებებით, რწმენით, ცხოვრების წესითა და სხვა მახასიათებლებით.

სექსიზმი — დისკრიმინაციული აზრი, გამონათქვამი, ქცევა, დამოკიდებულება ერთი სქესის მიმართ.

სიძულვილის ენა — გამოხატვის ნებისმიერი ფორმა, რომელიც აღვივებს, აქეზებს და ამართლებს ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფის დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური მრწამსის ან სხვა მახასიათებლების ნიადაგზე.

სტერეოტიპი — ფართოდ განზოგადებული შეხედულება მთელი ჯგუფის შესახებ, რომელიც გამორიცხავს მათ შორის ინდივიდუალური განსხვავებების არსებობის შესაძლებლობას.

ტოლერანტულობა — კულტურების, სოციალური ჯგუფების ან ეთნიკური საზოგადოებების წეს-ჩვეულებების და რწმენის აღიარება, მათთან საღი აზრისა და მოთმინებით მიდგომა; შემწყნარებლობა.

ქსენოფობია — უცხოელების, სხვა კულტურისა თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ღრმა ანტიპათია, შიში ან ზიზღი.

წინასწარგანწყობა — ხალხის მთელი კატეგორიის მიმართ ირაციონალური ეჭვი ან ზიზღი. სხვა ხალხის უარყოფითი შეფასება მხოლოდ ან ძირითადად მათი ეთნიკური, რელიგიური ან სოციალური ჯგუფების წევრობის გამო.